პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2011
№ 277 (13 574) ფასი 80 თეთრი



საქართველოს თასი, 1/4 ფინალის წილისყრა

## მეოთხედი რომ არ იყოს, ფინალივით წყვილია

ვინ შემოსძახებს იმერულ მაყრულს?

3-4

# რა პატარა და რა მუშა!

## მილიონები გაზის? ზენიტს თავზე აპოელი აზის!

**გასულები**

- ბაიერნი
- ინტერი
- რეალი
- ბარსელონა
- მილანი
- არსენალი
- აპოელ



ზენიტი-აპოელ 0:0. კვიპროსულმა კლუბმა ისტორია შექმნა



# კარლიტო და ბექჰი იტალიაში მიდიან

## ღამის ამბები ევროპიდან

ინგლისური პრესის ცნობით, „მანჩესტერ სიტის" არგენტინელი ფორვარდი **კარლოს ტევესი** უახლოეს მომავალში იჯარის წესით „მილანში" გადავა. იტალიურ კლუბთან ტევესის ხელშეკრულება ნახევარწლიანია, რომლის დროსაც კარლიტო 3 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. მილანელთა ჩანაფიქრით, ტევესი კარგი შემცვლელი უნდა გახდეს **ანტონიო კასანოსთვის**, რომელმაც ნოემბრის დასაწყისში გულზე ოპერაცია გაიკეთა.

„სიტისა" და „მილანს" შორის მოლაპარაკებები დაადასტურა „მილანის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **მაურო ტასოტიმ**, მაგრამ იტალიელებს თავიდან რამდენიმე ტესტის ჩატარება სურთ, რათა დარწმუნდნენ არგენტინელის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში.

■ ■ ■

როგორც ჩანს, MLS-ის ჩემპიონატის მოგების შემდეგ **დევიდ ბექჰემმა** „ლოს ანჯელეს გელაქსიში" თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. მართალია, პრესა ინგლისელს ჯიუტად უშვებს „პარი სენ-ჟერმენში", მაგრამ თავად დევიდმა გუშინ განაცხადა, რომ რომელიმე იტალიურ კლუბში გადასვლა აქვს დაგეგმილი.

■ ■ ■

რთულ მდგომარეობაშია „ჩელსის" ფორვარდი **ნიკოლა ანელკა**, რომელიც არ ჯდება **ანდრე ვილაშ-ბოაშის** სქემებში. ფრანგი საერთოდ ვერ მოხვდა „ლევერკუზენთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის განაცხადში.

ანელკამ თავად განაცხადა, რომ „ჩელსის" აუცილებლად დატოვებს, თუმცა არ დაუკონკრეტებია, სად წავა სათამაშოდ. ნიკოლას ჩინეთში, MLS-ის რომელიმე კლუბში ან მახაჩყალის „ანჟიში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

# ზამთრის ზრახვები, მოლაპარაკებები, კითხვის ნიშნები







# გაგრა
# ოვონიკოკო
# ზესტაფონი
# გელაშვილი
# ლოკერენი

2

საავარაუდო ტრანსფერები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● სავარაუდო ტრანსფერები

# გელაშვილი ლოკერენში...


ნიკა გელაშვილი

# ...ოვონიკოკო ზესტაფონში?


აბაიომი ოვონიკოკო

ზამთრის სატრანსფერო პერიოდი ჯერ არ დაწყებულა, კლუბები კი უკვე სამზადისში არიან. შევიტყვეთ, რომ "ზესტაფონი" თავდამსხმელ **ნიკა გელაშვილის** გაყიდვას აპირებს. სავარაუდოდ, ის კარიერას გააგრძელებს ბელგიურ „ლოკერენში", რომელთანაც ზესტაფონელთა პრეზიდენტ **ილია კოკაიას** საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ბელგიელები ქართველით ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაინტერესდნენ, მაგრამ მაშინ ტრანსფერი ნიკას ტრავმის გამო ჩაიშალა.

მაგრამ ლოკერენელთა დაინტერესება არათუ შემცირდა, ევროთასებზე ნიკას საკმაოდ დამაჯერებელი თამაშისა და საქართველოს ნაკრების ფორმის მორგების შემდეგ 26 წლის თავდამსხმელის აყვანის სურვილი უფრო გაუძლიერდათ.

ინფორმაცია გადავამოწმეთ და გვითხრეს, გელაშვილის "ლოკერენში" გადასვლა საბოლოოდ ჯერ არ გადაწყვეტილა, ისე კი, ბელგიელებს მისი ზამთარშივე წაყვანა სურთ, კლუბებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და ამ გარიგების ალბათობა ძალიან დიდიაო. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპსა და ევროპის ლიგის პლეი ოფში მონაწილეობის შემდეგ გელაშვილის ფასი "ტრანსფერმარკტმა" საგრძნობლად გაზარდა და 600 ათას ევროდ შეაფასა.

წამყვანი თავდამსხმელის გაშვება იმას არ ნიშნავს, რომ "ზესტაფონს" საჩემპიონო მადა დაეკარგა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჭიაბრიშვილი** გელაშვილის შემცვლელს ეძებს და შევიტყვეთ, რომ "გაგრას" 19 წლის თავდამსხმელ **აბაიომი სეუნი ოვონიკოკოს** იჯარით დათმობაზე დაელაპარაკა.

"გაგრა" თანახმაა, ოვონიკოკო "ზესტაფონში" გაუშვას, თუ ფეხბურთელი დროულად მომჯობინდა. „გაგრაში" 2009 წლის დასაწყისში ჩარიცხულმა ნიგერიელმა საოცარი პროგრესი განიცადა და გუნდის უმაღლეს ლიგაში ალზევებასა და თასის ფინალში გასვლაში უდიდესი როლი ითამაშა. განსაკუთრებით შთამბეჭდავად „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო ნახევარფინალში გამოიყურებოდა და ოთხი გოლიც გაიტანა, მაგრამ ქუთაისის "ტორპედოსთან" ფინალური მატჩის წინადღეს ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა და ფეხბურთს რამდენიმე თვით ჩამოშორდა.

ოვონიკოკო ფიქრობს, რომ ტრავმა მისი შეცდომის შედეგი იყო, რადგან მარტვილში „მერანთან" დაშავებულს თასის ფინალში თამაში ისე უნდოდა, ვარჯიში ნაადრევად განაახლა და ფინალის წინადღეს იოგები ამიტომაც დაუზიანდა. აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ „ლელომ" ოვონიკოკო სეზონის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელა.

ნიგერიელი პირველ ეტაპზე თბილისში, სამედიცინო ცენტრ „სიტი სპორტში" მკურნალობდა, აგვისტოში კი ოპერაცია ცნობილ ბელგიელ დასტაქარ **მარკ მარტენსთან** გაიკეთა. გამოჯანმრთელების პროცესი კარგად წარიმართა და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს ასრულებს, თუმცა, შესაძლოა, მოედანს მარტამდე ვერ დაუბრუნდეს, ანუ მოსამზადებელი ეტაპი გაუცდეს. სწორედ მის გამოჯანმრთელებაზეა დამოკიდებული, ითამაშებს თუ არა "ზესტაფონში".

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ „ოვონის" სრულად რეაბილიტაციაში ხელს აფრიკელობა უშლის, კერძოდ, ევროკავშირში არსებული სავიზო შეზღუდვები. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ვერ ჩაირიცხა ნიგერიელი წლის დასაწყისში ბელგიურ და ფრანგულ კლუბებში.

ამ სავიზო ხათაბალის მიზეზით, მარტენსმა, რომელიც ვარსკვლავებსაც კი სამშობლოში იბარებს, ოვონიკოკოს გამო გამონაკლისი დაუშვა და პაციენტს ოპერაცია თბილისში გაუკეთა. ახლა, როდესაც ფეხბურთელის ფეხზე დასაყენებლად გადამწყვეტი ეტაპი დადგა, ძნელი სათქმელია, რა როგორ იქნება - ოვონიკოკო ვერ მიდის ბელგიაში, სადაც რეაბილიტაციის პროცესი ბელგიელი დასტაქრის ხელმძღვანელობით უნდა დაასრულოს.

შეგახსენებთ, რომ ნიგერიელს სურდა, საქართველოს მოქალაქეობა მიეღო და ჩვენს ნაკრებშიც ეთამაშა, „გაგრას" ხელმძღვანელობაც ყაბულს იყო ამაზე, მაგრამ ოვონიკოკოს ქართული პასპორტი არ მისცეს. ახლა მას სასწრაფოდ გაუკეთეს ბინადრობის უფლება (დროებითი სამუშაო და საცხოვრებელი ვიზა), მალე კი, როგორც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მოქალაქეობაზე განაცხადის შეტანას კიდევ აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● მომავალი მეტოქე

# ეს ბიჭები სიძეებად თუ გამოდგებიან, პერ

## წაიბურტყუნა ბელარუსი მებრძოლების გერმანელი გენერლის ადიუტანტმა


ბერნდ შტანგე

## წაიკითხეთ: ჩვენი მეტოქეების ისტორიაში ბევრი რამ გენიშნებათ. ოღონდ, თავში ბუცის ჩარტყმა არ იყოს!

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქე, ბელარუსის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა – 5-წლიანი მუშაობის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტმა **ბერნდ შტანგემ** პოსტი დატოვა.

ამის შემდეგ შტანგემ ბელარუსთა გუნდსა და იქ არსებულ ვითარებაზე ჩვენთვის საინტერესო განცხადებები გააკეთა.

*"ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი დამიმთავრდა. სამწუხაროდ, გუნდი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიყვანე, ამოცანა ვერ შევასრულე და იმედგაცრუებული ვარ.*

*არადა, სენსაციური სტარტი გვქონდა – გასვლაზე საფრანგეთს 1:0 მოვუგეთ. მერე კი იყო კატასტროფული თამაშები ლუქსემბურგთან, ალბანეთთან, ბოსნიასთან. ბევრი ფეხბურთელი დაგვიშავდა, ბევრიც კლუბში სათადარიგოთა შორის მოხვდა, იყო დისციპლინის პრობლემებიც. კარგად ვთამაშობდით დაცვაში, მაგრამ სულ რვა გოლის გატანა მოვახერხეთ. სად იყვნენ ჩვენი თავდამსხმელები? ჩვენ კორნილენკოს, როდიონოვის, კუტუზოვის იმედი გვქონდა, მაგრამ ისინი ვერ თამაშობდნენ და ვის უნდა გაეტანა?"* – ამბობს შტანგე უეფას ვებგვერდთან ინტერვიუში.

გერმანელი სპეციალისტი მომავალ შესარჩევ ციკლსაც შეეხო და მისი ნაუბარიდან შევიტყვეთ, რომ ბელარუსის ნაკრებში მუშაობის პერიოდში ადგილობრივ მწვრთნელებთან სისტემატურად ატარებდა სამწვრთნელო სემინარებს: *"ბელარუსის ნაკრები 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმძიმეს ჯგუფში მოხვდა. საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს მიმართულება, რომლითაც გუნდი ივლის და გეზს არ შეიცვლის. მე ვცდილობდი, ჩემი გზა მკაფიო და ყველასთვის გასაგები ყოფილიყო. ამიტომ ვიწვევდი ბელარუს მწვრთნელებს მინსკში სემინარებზე.*

*რას მივაღწიეთ ჩემი ყოფნის პერიოდში? "ბატე" საშუალო-ევროპულ დონეზე თამაშობს, ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ორჯერ გავიდა, მაგრამ ამჟამად ბელარუსის ფეხბურთს ახალი ბიძგი სჭირდება".*

"პრესბოლთან" ინტერვიუში ბერნდ შტანგე უფრო დეტალურად შეეხო გუნდში არსებულ პრობლემებს. *"ბელარუსებს გამარჯვების სულისკვეთება აკლიათ. ფეხბურთელები ერთმანეთის მიმართ მეტისმეტად მომთმენები არიან და ნაგება იოლად გადააქვთ. ვარჯიშებზე უზუსტო გადაცემისას არავის უჩნდებოდა პრეტენზია. არ გვყოფნიდა ანთება, აგრესია. როცა მე მსურს მოგება, მეგობარი კი პრიმაბალერინასავით იქცევა და ხელს მიშლის მიზნის მიღწევაში, ის ჩემგან საკადრის პასუხს მიიღებდა, გასახდელში თავში ბუცს ჩავარტყამდი! ამაში ბელარუსებსა და გერმანელებს შორის დიდი განსხვავებაა. ჩემი თანაშემწე ხუმრობდა, ასეთ ბიჭებს სიძედ ვისურვებდი, იმდენად თბილები და გულიანები არიანო. მაგრამ ფეხბურთი ბრძოლა, კაცური სახეობაა...*

*წასვლამდე ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციაში მოვიწვიე უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელი, თანამდებობიდან გადაყენებულებიც კი. საათნახევრიან შეხვედრაზე გავაანალიზე ნაკრების გამოსვლა და შედეგები შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მაგალითად, ორთაბრძოლების მაჩვენებლები, ტაქტიკური ქმედებები და სამედიცინო მონაცემები. ეს იყო კონკრეტული ციფრები, პლუსები და მინუსები. მხოლოდ სამ შეხვედრაში მოვახერხეთ ორთაბრძოლების მოგება. ამიტომაც ვიმსჯელეთ ფეხბურთელთა მენტალიტეტზე: რატომ იქცევიან ასე?"*

ბერნდ შტანგეს თავკაცობით ბელარუსებმა ჯგუფის 10 მატჩში 13 ქულა დააგროვეს და მეოთხე ადგილი დაიკავეს. სულ მისი მწვრთნელობისას ბელარუსის ნაკრებმა 49 მატჩი ჩატარა, 17 მოიგო, 14 ფრედ ითამაშა და 18 წააგო (ბურთების შეფარდება 65:54). სწორედ შტანგეს ხელში მიაღწიეს ბელარუსებმა მანამდე არნახულ შედეგს – ერთი ხანობა ფიფას რეიტინგში 36-ე პოზიციაზე იყვნენ.

ამის მიუხედავად, ბელარუსის ფედერაციამ შტანგეს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და ცივილიზებულად დაშორდა. ლოგიკურიც არის - ციკლში წარუმატებლობამ გუნდი 61-ე ადგილამდე ჩამოაქვეითა.

ვინ გაწვრთნის ჩვენს მომავალ მეტოქეს, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ბელარუსის ფედერაციაში აცხადებენ, გერმანელის მემკვიდრეს დეკემბრის დასაწყისში დავასახელებთო.

**მერაბ მამულაშვილი**

● დინამო

# აი, უიღბლობა...



**ლევან კაკუბავა** გამოჯანმრთელების გზაზე იყო და უმაღლესი ლიგის ბოლო ტურში თბილისის "დინამოს" 18-კაციან განაცხადშიც მოხვდა, მაგრამ ვარჯიშზე დედაქალაქელთა 21 წლის მცველს მორიგი უსიამოვნება შეემთხვა – "დინამოს" ვებგვერდის ცნობით, მან მცირე წვივის ძვალი გაიტეხა და უმალ გადაიყვანეს ღუდუშაურის კლინიკაში.

კაკუბავას ოპერაცია სჭირდება და მისი რეაბილიტაციის ვადები სწორედ ამის შემდეგ დადგინდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ზესტაფონის ბიბლიოთეკა

ტორპედო

# ომარ მიგინეიშვილი
# იმერული დერბი ფინალში ჯობდა

**წინა სეზონშიც და ახლაც ყველა თანხმდება, რომ "ტორპედოს" შემადგენლობის გაძლიერება სჭირდება. თუმცა არავინ დავობს იმაზე, უდგათ თუ არა ქუთაისელებს მეკარის პრობლემა, რადგან 27 წლის ომარ მიგინეიშვილი "ტორპედოს" კარს დამაჯერებლად და სტაბილურად იცავს. იგი თავის გუნდში საუკეთესო იყო "დინამოსთან" უიმედოდ წაგებულ მატჩშიც. მიგინეიშვილს ჩემპიონატშიც და თასზეც ტიტულის მოპოვების იმედი აქვს.**

**- ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ "დინამოსთან" შეხვედრაში მიღებული შოკი "ზესტაფონთან" მატჩზეც გადაგყვეთ?**

- ეს გამორიცხულია, რადგან ყველანაირად ვცდილობთ, ის მწარე მარცხი დავივიწყოთ და კონცენტრაცია სათასო მატჩზე მოვახდინოთ. მუდმივი არაფერია და ჩვენი გამარჯვებათა სერიაც ოდესმე უნდა დასრულებულიყო. ასე რომ, "ტორპედოში" ყველაფერი რიგზეა და "ზესტაფონთან" გამარჯვების იმედი გვაქვს.

**- შარშან "ზესტაფონს" თასის ნახევარფინალში შეხვდით, ახლა კი უფრო ადრეულ ეტაპზე ეთამაშებით.**

- ჩემი აზრით, ჯობს, ასეთი ძლიერი გუნდები ერთმანეთს უფრო გვიან შეხვდნენ. იმერული დერბი ფინალი რომ ყოფილიყო, ამას არაფერი აჯობებდა, თანაც, როგორც ვიცი, ფინალი ქუთაისშია დანიშნული და წარმომიდგენია, რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვებოდა ამ მატჩს. თუმცა, ახლაც ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი გაიმართება — დარწმუნებული ვარ, ქუთაისის სტადიონი ბოლომდე შეივსება.

**- რა სიახლეები დანერგა გია გეგუჩაძემ "ტორპედოში"?**

- ამ მოკლე დროში მან ბევრი რამის შეცვლა მოასწრო, რაც გუნდის შედეგებზეც აისახა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს და მჯერა, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დიდ შედეგებს მივაღწევთ. გეგუჩაძის იდეები ფეხბურთელებისთვის აბსოლუტურად მისაღებია და მასთან მუშაობა ძალიან გვსიამოვნებს.

**- ხომ არ მიგაჩნია, რომ ოდნავ გვიან "გაიხსენი"?**

- მეკარისთვის 27 წელი ისეთი ასაკია, რომ ყველაფერი წინ აქვს, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემი კარიერა ნორმალურად ვითარდება. რამდენიმე გუნდში მითამაშია, მაგრამ წინსვლისთვის ასეთი კარგი პირობები არსად მქონია.

**- კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე თუ გიფიქრია?**

- აქამდე არასოდეს, რადგან ჯერ აქ საკუთარი შესაძლებლობები არ ამომიწურავს. საქართველოს ჩემპიონატი არც ისე სუსტია, როგორც ბევრს ჰგონია და ჩვენთანაც შეიძლება ოსტატობის სრულყოფა. არ ვიცი, რა იქნება მომავალში, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ გაურკვეველი პერსპექტივით სადმე წასვლას სტაბილურ გარემოში თამაში სჯობს.

**- იმის იმედი თუ გაქვს, რომ საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში მაინც მოხვდები?**

- საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი უპირველესი ოცნებაა და ბედნიერი ვიქნები, შანსს მეც თუ მომცემენ. თუმცა, ეს რთული იქნება, რადგან მეკარეების კარგი თაობა წამოვიდა. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს და ზოგადად ვიტყვი, უცხოეთშიც და საქართველოშიც ამ ამპლუის რამდენიმე კარგი ფეხბურთელი გვყავს.

**- "ტორპედომდე" "სამტრედიასა" და თბილისის "ლოკომოტივში" თამაშობდი. ამათგან რომელში უფრო მეტი ისწავლე?**

- სამტრედიელი კი ვარ, მაგრამ უფრო თბილისის "ლოკომოტივში", რადგან იქ დავით გვარამაძე იყო. ჯერ მისი კონკურენტი ვიყავი, შემდეგ კი დათო "ტორპედოში" ჩემი მწვრთნელი იყო და მან ორივეგან ჩემს მეკარედ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

**- კონკურენტი არც "ტორპედოში" გყავს ურიგო.**

- მაქსიმე ქვილითაია შესანიშნავი მეკარეა და გარდა იმისა, რომ ჩემი კონკურენტია, ახლო მეგობრებიც ვართ და ერთმანეთისგან ბევრს ვსწავლობთ.

**- რომელ კომპონენტში გჭირდება მომატება ყველაზე მეტად?**

- სიმაღლიდან გამომდინარე, გამოსვლებზე ნორმალურად ვთამაშობ, კარის ხაზზე კი, ვისურვებდი, უკეთ გამოვიყურებოდე.

**- შესწევს "ტორპედოს" იმის ძალა, რომ ორივე ფრონტზე პირველობისთვის იბრძოლოს?**

- ჩვენ ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. პირადად მე ბედნიერი ვიქნები, ერთ-ერთ ტიტულს მაინც თუ მოვიპოვებთ და ევროთასებზე გავალთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

წინათქმა

საქართველოს ჩემპიონატში ტური არ გავა, ერთი გამორჩეული მატჩი რომ არ გვქონდეს, დღეს კი არანაკლებ საინტერესო პაექრობები გველოდება: თასის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრებია. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტა არ იყოს, უცნაურადაც ჩანს ამ ეტაპს შემორჩენილ რვა გუნდში... თბილისის „დინამოს" არყოფნა; გასაგებია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში სათასო დაპირისპირებებს გარკვეული სენსაციასიურპრიზები უყვარს, მაგრამ ჩვენთან წლევანდელი გათამაშების უმთავრესი მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, „დინამოს" გამოვარდნა იყო. არადა, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი მეოთხედფინალში რომ არ ყოფილიყო, ეს მხოლოდ და მხოლოდ მესამედ ხდება (1990 წლიდან მოყოლებული). თუმცა, მეორე მხრივ, „დინამოს" გარკვეული უპირატესობაც შეიძლება რომ ჰქონდეს თავის კონკურენტებთან — ალექს გარსიას გუნდი ამიერიდან მხოლოდ ჩემპიონობაზე იბრძოლებს, მაშინ როცა იმავე „ზესტაფონს", „ტორპედოსა" თუ „მეტალურგს" ძალების გადანაწილება „ორ ფრონტზე" მოუწევს. ძალების გადანაწილება კი შემთხვევით არ გვიხსენებია: თასს შემორჩენილ გუნდებს ხომ 7 დეკემბრამდე ლამის ყოველ მესამე-მეოთხე დღეს მოუწევთ ოფიციალური მატჩების ჩატარება.



30 ოქტომბერი. ჩემპიონატის XII ტური. ზესტაფონი-ტორპედო 0:1. რა იქნება დღეს თასზე?

# უფავორიტო წყვილები

**ტორპედო-ზესტაფონი**

**24.11. ქუთაისი. ცენტრალური 18:00**

**Live რეპორტაჟი პირველ არხზე**

მეოთხედფინალების მთავარი ინტრიგა, რაღა თქმა უნდა, მეზობლებისა და პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირებაა; თანაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ამ ორრაუნდიან დაპირისპირებაში ფავორიტის დასახელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია: „ტორპედოსაც" და „ზესტაფონსაც" ნახევარფინალში გასვლის ერთნაირი შანსი გააჩნიათ! ისიც გვეეჭვება, რომ ამ იმერული დერბის მონაწილეებმა ჩემპიონატსა და თასს შორის საპრიორიტეტო არჩევანი გააკეთონ; ორივე კლუბს საკმარისზე მეტად ამბიციური ხელმძღვანელები (გნებავთ, მწვრთნელები) ჰყავს და მეტოქის ფაქტორსაც თავი რომ დავანებოთ, „ტორპედოც" და „ზესტაფონიც" თასის ამ გათამაშების ერთ-ერთ რეალურ ფავორიტებად მოიაზრებიან. დღევანდელი მეტოქეები ამ სეზონში უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: ჩემპიონატის პირველ ტურში „ზესტაფონმა" გაიმარჯვა (2:1), მეორე წრის შეხვედრაში კი „ტორპედომ" შეძლო რევანშის აღება და ასევე მინიმალური სხვაობით აჯობა პრინციპულ მოწინააღმდეგეს. თანაც, ამ მატჩში ტორპედოელებს **გია გეგუჩაძე** თავკაცობდა, ვისი ხელმძღვანელობითაც „ზესტაფონმა" პირველი საჩემპიონო ტიტულიც მოიპოვა და საერთოდაც ამ კლუბისათვის დიდი ამაგი აქვს გაწეული. თუმცა, ამ სეზონზე ბევრად უფრო დაძაბულად (ამასთან, სკანდალურადაც) წარიმართა „ტორპედოსა" და „ზესტაფონის" წინა სათასო დაპირისპირება, ქუთაისელთა გამარჯვებით რომ დამთავრდა. შეგახსენებთ, 2010-11 წლების საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ მატჩს, ქუთაისში რომ ჩატარდა, 15 000 მაყურებელი ესწრებოდა და მასპინძელთა მინიმალური გამარჯვებით დამთავრდა - ერთადერთი ბურთი **გიორგი მეგრელაძემ** გაიტანა. განმეორებით შეხვედრაში „ზესტაფონმა" სუპერ შემტევი ფეხბურთი უჩვენა, მაგრამ „ტორპედომ" შეძლო და პირველ მატჩში მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნა, - ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვოდა ქუთაისელთა მეკარეს **ომარ მიგინეიშვილს.** სამწუხაროდ, „ტორპედო" მხოლოდ ფინალისტობას დასჯერდა - გადამწყვეტ შეხვედრაში „გაგრასთან" დამატებითი დროის ბოლო წუთზე დამარცხდა...

დანარჩენი მატჩების წინათქმა იხილეთ მე-4 გვერდზე





ზესტაფონი

# კაპიტანი მოედანზე და მოედნის მიღმა

**ბოლო ხანს "ზესტაფონს" ტრავმის გამო როინ კვასხვაძე ვერ ეხმარება და მის ნაცვლად საქართველოს ჩემპიონთა კარს გუნდის კაპიტანი ზურაბ მამალაძე იცავს – საერთო შეფასებით, კონკურენტზე არანაკლებ დამაჯერებლად. დღეს "ტორპედოსთან" მატჩში "ზესტაფონის" კარში სწორედ მამალაძე იდგება და სათასო დაპირისპირებისა და სხვა თემების შესახებ ფეროელთა 29 წლის კიპერს ვესაუბრეთ.**

**- მიმდინარე სეზონში "ტორპედოს" წინააღმდეგ თამაში უკვე მესამედ გიწევს.**

- სეზონის სტარტზე როინ კვასხვაძეს არაფერი აწუხებდა, მაგრამ ქუთაისში კარის დაცვა მე მომანდეს. "ტორპედოსთან" საშინაო შეხვედრაშიც ვითამაშე. ქუთაისში გავიმარჯვეთ, შინ დავმარცხდით, ახლა კი იმედი გვაქვს, რომ ქუთაისიდან კვლავაც გამარჯვებულები დავბრუნდებით.

**- ზესტაფონში "ტორპედოსთან" გაშვებულ ბურთში ბრალი მიგიძღვის, თუმცა შემდეგი მატჩები უფრო მაღალ დონეზე ჩაატარე...**

- სათამაშო პრაქტიკა ყველა ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი მეკარისთვის. ის შეცდომა უკვე დავივიწყე, ბოლო შეხვედრებმა საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა და მომავალ წელს ოპტიმისტურად ვუყურებ. ფიზიკურად ყოველთვის კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ პრაქტიკა სულ სხვაა და მიხარია, რომ ახლა პოზიტიური პერიოდი მაქვს. თუმცა კვასხვაძეს მალე გამოჯანმრთელებას მთელი გულით ვუსურვებ.

**- რამდენად მისაღებია შენთვის სათადარიგო მეკარის სტატუსი?**

- იმის მიუხედავად, რომ მოედანზე გასვლა არცთუ ხშირად მიწევს, თავს გუნდის სრულფასოვან წევრად ვგრძნობ, თანაც, "ზესტაფონის" კაპიტანი ვარ და ეს დამატებით პასუხისმგებლობას მაკისრებს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ამბიციურ კლუბში ვთამაშობ და არც მაქვს უფრო სუსტ გუნდში წასვლის სურვილი. უთამაშებლობას ყველა ფეხბურთელი განიცდის და წლების წინ სკამზე ჯდომა ჩემთვისაც ტრაგედია იყო, ახლა კი ვცდილობ, მოვლენებს ცივი გონებით შევხედო და მოთმინებით დაველოდო ჩემს შანსს. მიხარია, რომ ახლა ზუსტად ის პერიოდია, როცა "ზესტაფონს" განსაკუთრებით ვჭირდები და მაქვს იმის საშუალება, რომ გუნდისთვის თავი არ დავზოგო.

**- მისაღებია თუ არა შენთვის "ტორპედოსთან" ასეთ ადრეულ ეტაპზე დაპირისპირება?**

- ჩემი აზრით, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, უშუალო კონკურენტს ფინალში შეხვდები თუ მეოთხედფინალში. ადრე თუ გვიან ძლიერ გუნდს მაინც გადაეყრები და თუ ტიტულის მოგება გინდა, მას ყველგან უნდა აჯობო. ასე რომ, წილისყრის შედეგები მშვიდად მივიღეთ და "ტორპედოსთან" დაპირისპირებისთვის მშვიდადვე ვემზადებით.

**- წესით, "ზესტაფონისთვის" ქუთაისში ფრეც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი.**

- ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გვინდა, გოლი გავიტანოთ, რაც განმეორებითი მატჩისთვის კარგ ფორას მოგვცემს.

**- ხომ არ გგონიათ, რომ "ტორპედო" "ზესტაფონის" წინააღმდეგ ისევე სუსტად ითამაშებს, როგორც თბილისში "დინამოსთან"?**

- ჩემი აზრით, ეს გამორიცხულია, რადგან არ შეიძლება, ასეთ კარგ გუნდს ჩავარდნა დიდხანს გაუგრძელდეს. გარდა იმისა, რომ გია გეგუჩაძე მაღალი დონის სპეციალისტია, კარგი ფსიქოლოგიცაა და ტორპედოელებს საბრძოლოდ აუცილებლად განაწყობს.

**- "ზესტაფონს" საკმაოდ მძიმე კალენდარი აქვს, რადგან "ტორპედოსთან" სათასო მატჩების შუალედში ჩემპიონატში "დინამოს" მასპინძლობს. მზადაა "ზესტაფონი" ასეთი დაძაბული გრაფიკისთვის?**

- ვფიქრობ, რომ მზად ვართ. უნდა შევძლოთ და ეს მნიშვნელოვანი ბრძოლები ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. მეოთხედფინალები

# უფავორიტო წყვილები

მესამე გვერდიდან

**გაგრა–მერანი** 24.11. თბილისი. მერანი (ზემაი) 14:00

„გაგრა" თასის მფლობელის რანგში აგრძელებს ასპარეზობას და ახალგაზრდა სპეციალისტის, **ზვიად ჯელაძის** გუნდი, ალბათ, არც ახლა იტყვის უარს ამ საპატიო პრიზზე. მთავარია, რამდენად შეძლებს ეს ახალგაზრდული კრებული ერთდროულად ორივე ამოცანის შესრულებას: ჩემპიონატში „გაგრა" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრისათვის იბრძვის, მაშინ, როცა მის დღევანდელ სათასო მეტოქეს ეს პრობლემა, ფაქტობრივად, გადაჭრილი აქვს. ჰო, უკვე მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ მარტვილური გუნდის წარმატებული ასპარეზობა ამ სეზონის მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მერანს", ფაქტობრივად, განაღდებული აქვს საუკეთესო რვა გუნდში ასპარეზობა, ახლა კი, ახალგაზრდა სპეციალისტის, **მალხაზ ჟვანიას** შეგირდები თასზეც „იფიქრებენ". მით უფრო, რომ მარტვილელთათვის „უცხო" ნამდვილად არ არის მეოთხედფინალში ასპარეზობა, ეგ კი არა, შარშან სულაც ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც თასის მომავალ გამარჯვებულთან „ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდნენ.

**მეტალურგი–ვიტ ჯორჯია** 24.11. რუსთავი. ფოლადი 14:00

ერთი შეხედვით, ამ წყვილის ფავორიტად რუსთაველები უნდა მივიჩნიოთ: **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდში ხომ ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ და თითქმის ყველა მათგანს საჩემპიონო თუ სათასო ტიტულიც არაერთხელ მოუპოვებია. ამას გარდა, „მეტალურგი" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტადაც მიგვაჩნია და რუსთავული კლუბის ამბიციური ხელმძღვანელობა ამ სეზონში „დუბლის" შესრულებაზეც არ იქნება უარს. ისე, ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოსადგენია მოვლენების ისეთი განვითარება, მომავალ ზაფხულს „მეტალურგი" ევროტურნირების გარეშე რომ დარჩეს — ანუ, ჩემპიონატიდან ან თასიდან რუსთაველები ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის ერთ-ერთ საგზურს, ალბათ, მოიპოვებენ; აი, ახალგაზრდულ „ვიტ ჯორჯიას" კი, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ევროტურნირებზე მოსახვედრად სწორედ თასზე წარმატებული ასპარეზობა მართებს. მოკლედ, „ვეტერინარებმა" ამ ორრაუნდიან დაპირისპირებაში რუსთაველებს თუ აჯობეს, მერე უკვე კენჭისყრის იმედადაც შეიძლება იყვნენ („ტორპედო"-„ზესტაფონის" წყვილში გამარჯვებულს უნდა ასცდნენ); თუმცა, ეს უკვე ვარაუდებია და დანამდვილებით კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდული გუნდი უბრძოლველად არაფერს დაუთმობს ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს.

**ბაია–დილა** 24.11. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე 14:00

ორივე გუნდისთვის მეოთხედფინალში გასვლა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ მეოთხედფინალის საგზური „ბაიამ" და „დილამ" აშკარად განსხვავებული სიძლიერის მეტოქეებთან მოიპოვეს. ასე მაგალითად, ზუგდიდურ გუნდს წინა ეტაპზე არანაირი პრობლემა არ შექმნია ბოლნისის „სიონთან" (ორივე მატჩი მოუგო — 3:0, 2:1); მაშინ, როცა გორის „დილამ" თასის ამ გათამაშების ყველაზე ხმაურიანი სენსაცია მოახდინა და მერვედფინალში ორი მატჩის ჯამში თბილისის „დინამოს" აჯობა! შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი (საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" რომ ჩატარდა) ერთობ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და ის უშელავათო პაექრობაც ფრედ, 2:2 დამთავრდა. ამის მიუხედავად, ცოტა თუ იფიქრებდა იმას, რომ „დინამო" სტუმრად ვერ შეძლებდა გამარჯვების მოპოვებას და მეოთხედფინალში გასვლას. თუმცა, რაც უნდა „დააბრალოს" ვინმემ გორის „ქართლის" სტადიონის უხარისხო მოედნის საფარს, ფაქტი -ფაქტად დარჩა: „დილამ" შეძლო მატჩი თავისთვის სასურველი ანგარიშით (0:0) დაემთავრებინა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მეოთხედფინალშიც გავიდა. ისე, ცოტა არ იყოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია: „დინამოსთან" პირველ დაპირისპირებაში „დილას" **გია ცეცაძე** თავკაცობდა, განმეორებით შეხვედრაში გუნდი **რამაზ სოლოლაშვილმა** გამოიყვანა, დღესდღეობით კი გორელების მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე გახლავთ; სპეციალისტი, რომელსაც თასზეც და ჩემპიონატშიც უდიდესი გამოცდილება გააჩნია...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ გიორგი მანწკავასთან



ბურთით გიორგი მანწკავა

# გურულებმა თუ იმღერეს გურია, ჩვენც ვამღერებთ მეგრელებს

**ის, რომ მარტვილის „მერანი" სასიამოვნოდ აოცებს ფეხბურთის ქომაგებსა და სპეციალისტებს, არახალი ამბავია და ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. გუნდის წარმატებაში კი თავისი და საკმაოდ წონადი წილი უდევს 30 წლის ნახევარმცველ გიორგი მანწკავას, რომელთან ინტერვიუსაც დღეს გთავაზობთ.**

**-გულშემატკივარს თბილისის „დინამოდან" ახსოვხართ. გაიხსენეთ საფეხბურთო კარიერის დასაწყისი...**

- ფეხბურთის თამაში 35-ე სკოლაში დავიწყე, ჩემი პირველი მწვრთნელები გოჩა ავსაჯანაშვილი და სოსო გილაური იყვნენ. შემდეგ ვთამაშობდი წნორის „მილანში", თბილისის „ლოკომოტივში", ბათუმის „დინამოში", ცხინვალის „სპარტაკში", ჩემს კარიერაში ყველაზე წარმატებული სამი წელი კი „დინამოს" წევრობა იყო — მაშინ ჩემპიონებიც გავხდით და თასსაც დავეუფლეთ.

**- როგორ მოხვდით მარტვილში?**

- „მერანამდე" პირველ ლიგაში, ბათუმის „დინამოში" გამოვდიოდი. როდესაც „მერანი" უმაღლეს ლიგაში გადავიდა, ამ კლუბიდან დამიკავშირდნენ, შევხვდით, მოვილაპარაკეთ და ეს სეზონია, მარტვილში ვარ. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან გუნდმა ჩინებული თამაშით ბევრი გააოცა და, ზოგადადაც, აქ ძალიან სასიამოვნო გარემოა. ხალხი არა მხოლოდ თამაშებზე, ვარჯიშებზეც მოდის, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ მათ სიყვარულსა და პატივისცემას. მარტვილში მოგებული თამაში, ფაქტობრივად, სახალხო ზეიმია.

**- ჩემპიონატის ცხრილში „მერანის" მეოთხე ადგილი მართლაც დიდი მოულოდნელობაა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს წინსვლა?**

- გუნდი სტაბილურად ასპარეზობს, თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს და ეს თვალნათლივ ჩანს. ამ საქმეში, ცხადია, დიდია სამწვრთნელო შტაბის წვლილი, კერძოდ კი მალხაზ ჟვანიასი, რომლის დაუღალავ შრომასაც მოაქვს შედეგი. მისი ხელმძღვანელობით სანახაობრივ ფეხბურთსაც ვთამაშობთ და, საბედნიეროდ, შედეგიც გვაქვს. ეს არ არის მაქსიმუმი, „მერანს" მეტის მიღწევა შეუძლია.

**- უფრო კონკრეტულად: რას უმიზნებს, რისი მიღწევა შეუძლია „მერანს" და უშუალო კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- დებიუტანტი გუნდისათვის, წესითა და რიგით, რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა უნდა იყოს უმთავრესი ამოცანა, თუმცა ჩვენ ამას არ დავჯერდებით და ვეცდებით, ხუთეულში დავიმკვიდროთ ადგილი. მთავარ კონკურენტებად „მეტალურგი" და „ტორპედო" მიმაჩნია. სამწუხაროდ, რუსთავში დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, ქუთაისელები კი მეორე წრისთვის უფრო სოლიდურ გუნდად ჩამოყალიბდებიან, მათ ხომ ძლიერი მწვრთნელი ჩაუდგათ სათავეში.

**- ამ სეზონში უკვე ორი „დუბლი" შეასრულეთ და ბომბარდირთა დავაშიც მონაწილეობთ. „ვიტ ჯორჯიასთან" გატანილ ეფექტურ გოლზეც მინდა გკითხოთ.**

- ისე მოხდა, რომ ბოლო პერიოდში გამაქვს გოლები, რასაც, ცხადია, ვერ დაგეგმავ, თანაც, ბომბარდირობა ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის, მთავარი ამ შემთხვევაში გუნდი და საერთო წარმატებაა. მერწმუნეთ, ჩემთვის ნამდვილად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, გოლს მე გავიტან თუ ჩემი რომელიმე თანაგუნდელი, თუმცა, რასაკვირველია, მსიამოვნებს, რომ გამაქვს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ხშირად ვხვდები. რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიასთან" გატანილ გოლს, მართლაც ლამაზი გამოვიდა, ალბათ, მომენტი სწორად შევაფასე და გამიმართლა კიდეც.

**- რას ფიქრობთ მოახლოებულ სათასო დაპირისპირებაზე?**

- წილისყრამ მეტოქედ „გაგრა" გვარგუნა, რომელიც საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწევი მეტოქეა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ორმატჩიან დუელში ჩვენ გავიმარჯვებთ. გუნდის მიზანი ორი წლის წინანდელი შედეგის — ნახევარფინალში გასვლის გაუმჯობესებაა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, მარტვილელი გულშემატკივრები რომ გავახაროთ.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- „მერანში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. დიდი სურვილი მაქვს, ახალი წლიდან კიდევ უფრო გავძლიერდეთ და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ამის რეალური შესაძლებლობა ნამდვილად გვაქვს. წარმოშობით გურული ვარ და მახსოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ლანჩხუთის „გურია" რომ თამაშობდა, რა ზეიმები იყო, მაშინ ხალხი „გურიაზე" სიმღერებს ქმნიდა. ალბათ, გავა დრო და ჩვენზეც იმღერებენ.

**ბესიკ გვაზავა**

ფიფას რეიტინგი

# საქართველო ჩამოშვიდდა

გუშინ ფიფასა და "კოკა კოლას" ნოემბრის რეიტინგი გამოქვეყნდა და გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრებს მოლდოვის ამხანაგურად დამარცხება ვერაფერში წაადგა – **თემურ ქეცბაიას** გუნდი ერთბაშად 7 ადგილით დაქვეითდა და დღეისთვის მსოფლიოში 74-ეა.

შედეგად, იმ გუნდების სიას, რომლებსაც აქამდეც ჩამოვრჩებოდით, მალი, ლატვია, სალვადორი, ზიმბაბვე, ავსტრია და კანადა შეემატნენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს ნაკრებს უსწრებენ რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, ესტონეთი, ბელარუსი და ლატვია, ხოლო იმ გუნდებიდან, რომლებიც ჩვენი მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, მხოლოდ ფინეთს ვუსწრებთ, რომელიც 88-ე საფეხურზეა.

საქართველოს ნაკრების სხვა თანაჯგუფელების საქმე კი ასეა: ესპანეთი პირველია, საფრანგეთი — მე-15, ბელარუსი კი – 65-ე.

რაც შეეხება რეიტინგის ზედა ათეულს, მისი საუკეთესო ოთხეული უცვლელი დარჩა და ემთხვევა 2010 წლის მუნდიალზე დაკავებული ადგილების თანმიმდევრობას. ინგლისმა მეშვიდედან მეხუთე პოზიციაზე აინაცვლა, ხორვატიამ ათეულში ოთხადგილიანი ნახტომის შედეგად შეაღწია, იქიდან კი საბერძნეთი გამოაძევა, რომელიც მე-8-დან მე-14 ადგილამდე დაეშვა.



ზეათეული ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. ჰოლანდია
3. გერმანია
4. ურუგვაი
5. ინგლისი
6. ბრაზილია
7. პორტუგალია
8. ხორვატია
9. იტალია
10. არგენტინა

...74. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი



# ბურუსი გაიფანტა და გამოჩნდა ვაკო

თურქეთში გამართული ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წარმატებით დასრულების შემდეგ **ვაკო ყაზაიშვილი** "ვიტესს", რომ იტყვიან, გამგელებული დაუბრუნდა. გუშინ უკვე გაუყწყეთ, რომ არნემელები სარეზერვო გუნდების ჩემპიონატში პსვ-ს შეხვდნენ და ეინდჰოვენში 4:2 მოუგეს, 18 წლის ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა კი სამი გოლი მიითვალა. დღეს ამ მატჩის პერიპეტიებზე უფრო დეტალურად მოგითხრობთ.

შეხვედრამდე მოედანზე ისეთი ნისლი ჩამოწვა, მსაჯი მატჩის გადადებასაც კი ფიქრობდა, თუმცა ბოლოს მაინც გარისკა და ჩასტვინა, ეგაა, ფეხბურთელებს თავისიანების და მეტოქეების გარჩევა უჭირდათ.

მეორე ტაიმში ბურუსი გაიფანტა, მოთამაშეებმა კარები დაინახეს და ექვსი ბურთიც გაიტანეს, მთავარი მოქმედი პირი კი ქართველი ნახევარმცველი გახლდათ - ის პსვ-ს დუბლიორთა კარში გატანილ ოთხივე გოლში მონაწილეობდა — ჰეთ თრიქიც მიითვალა და საგოლე გადაცემაც.

ყველაზე დასამახსოვრებელი მისი არა რომელიმე გოლი, არამედ ის შეტევა იყო, რომლის შედეგადაც "ეინდჰოვენის" კარის ბადე პირველად შეირხა: ვაკომ ბურთი საჯარიმოსგან საკმაოდ შორს, ბრძოლაში მიიღო, მცველი ეფექტურად ჩამოიცილა, კარისკენ დაიძრა, კიდევ სამ მეტოქეს გასცდა და მეკარესთან პირისპირ გავიდა - "ეინდჰოვენის" კიპერმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ახლო მანძილიდან მექსიკელმა **ულისეს დავილამ** დაამატა და ანგარიში გაიხსნა - 0:1.

59-ე წუთზე ანგარიში ყაზაიშვილმა გაზარდა: თანაგუნდელმა კარის წინ გადააწოდა ბურთი, მცველი იქაც მოატყუა და - 0:2.

62-ე წუთზე ვაკო საჯარიმოში კარგად გაიხსნა, ბურთიც დროულად მიიღო და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა - 0:3. 82-ე წუთზეც მსგავსი ეპიზოდი იყო — გახსნა, პასი და ზუსტი დარტყმა შორეულ დაბალ კუთხეში - 1:4.

ყაზაიშვილის ჰოლანდიაში ჩასვლისას ითქვა, რომ იქაურ ფეხბურთთან და "ვიტესთან" ადაპტაციისთვის მას პირველ წრეს ადროვებდნენ და მთავარ გუნდში მეორე წრიდან ათამაშებდნენ, მაგრამ ვაკო იმდენად შთამბეჭდავად ათამაშდა, შესაძლოა, ერედივიზიონში მისი დებიუტი პირველ წრეშიც ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ ყაზაიშვილი არნემის "ვიტესში" წლეულს, ზაფხულში ჩაირიცხა და კონტრაქტი 3+1 სისტემით გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი

# ენამახვილი ვილაშ-ბოაში დააჯარიმეს



ანდრე ვილაშ-ბოაში

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 23 ოქტომბერს, „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ შეხვედრის შემდეგი კომენტარებისთვის „ჩელსის“ პორტუგალიელი მწვრთნელი **ანდრე ვილაშ-ბოაში** 12 000 ფუნტით დააჯარიმა და კატეგორიულად გააფრთხილა, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ვილაშ-ბოაშმა განაცხადა, რომ ასოციაციის ბრალდებას არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ გრძნობს, თუმცა არაფერი გაუსაჩივრებია. შეგახსენებთ, რომ 34 წლის პორტუგალიელს საქმეები ცუდად მიუდის — პრემიერლიგის ბოლო ოთხი თამაშიდან ამბიციურმა „ჩელსიმ“ სამი წააგო და მედიაში აქტიურად დაიწყეს ვილაშ-ბოაშის მოხსნაზე ლაპარაკი.

მეორე მხრივ, „პორტუს“ ყოფილმა თავკაცმა, იმთავითვე არ უარყო, რომ „რეინჯერსთან“ შეხვედრის მსაჯი **კრის ფოი** მეტისმეტად აგრესიულად გააკრიტიკა. პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ არბიტრი გუნდების მიმართ ერთნაირად არ იყო განწყობილი. შეგახსენებთ, რომ „ლოფტას როუდზე“ გამართულ შეხვედრაში, რომელიც „ჩელსიმ“ 1:0 წააგო, ფოიმ სტუმრების ორი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან. პირველად არბიტრს **ჟოზე ბოსინგვა** „ემსხვერპლა“, როდესაც ერთ-ერთი რეინჯერსელი წააქცია, მსაჯმა კი მიიჩნია, რომ ეს ბოლო იმედის ჯარიმა იყო. ინგლისურ მასმედიაში აღნიშნავენ, რომ მისი ეს გადაწყვეტილება საკამათო იყო. მეორე მსხვერპლი კი გახლდათ **დიდიე დროგბა** რომელმაც შეტყუპებული ფეხებით შეუტია მოწინააღმდეგეს.

აი, სიტყვასიტყვით რა თქვა ვილაშ-ბოაშმა 23 ოქტომბერს: *„მსაჯი მეტისმეტად სუსტი იყო და ეს შედეგზე აისახა. თამაში რომ დამთავრდა, მასთან მივედი და აგრესიულად ველაპარაკე. არ მაინტერესებს, ამ ლაპარაკის შემდეგ როგორ გრძნობს თავს. ქვეყნად ცუდი დღეები ყველას აქვს, მაგრამ ეს დღე ჩვენთვის კი არა მსაჯისთვის იყო ძალიან ცუდი“.*

გაძევებები გაძევებებად და, იმ დღეს კრის ფოიმ „ლურჯების“ კიდევ შვიდ მოთამაშეს ყვითელი ბარათი ამოუღო. ფეხბურთელების ასეთი ქცევისთვის დასავლეთლონდონელებს 20 000 ფუნტის ტოლი ჯარიმის გადახდაც მოუხდათ. ვილაშ-ბოაშმა ყვითლების თაობაზე ასე თქვა:

*„ერთი-ორი ფეხბურთელი ნამდვილად იმსახურებდა გაფრთხილებას, დანარჩენი ეპიზოდების შემყურემ კი ვიფიქრე, რომ არბიტრს ყვითელი ბარათი დაკარგული ჰქონდა და რომ იპოვნა სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა. იქნევდა და იქნევდა. მეოთხე მსაჯზე ამას ვერ ვიტყვი, ძირითადი სამი არბიტრი კი „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ფანების ზემოქმედების ქვეშ მოექცა. ასეთი შეხვედრისთვის თავის გართმევა, რასაკვირველია გამიჭირდებოდა. „ჩელსის“ სამ შედეგზე არბიტრებმა გავლენა იქონიეს. ასეთი რამ პრემიერლიგაში არ უნდა ხდებოდეს. არც ვწუწუნებ და არც შეთქმულების თეორიის მიმდევარი გახლავართ, მაგრამ რაც ხდება, ფაქტია და თვალს ხომ ვერ დავხუჭავ“.*

● ადამიანის ბედი



გარი პარკინსონი

# გახსოვთ გარი პარკინსონი?

პრემიერლიგის ყოფილი ვარსკვლავი, **გარი პარკინსონი** სრულიად პარალიზებულია და ლოგინად ჩავარდნილს მხოლოდ თვალის დახამხამებით შეუძლია გარე სამყაროსთან ურთიერთობა, მაგრამ მაინც ახერხებს სკაუტად მუშაობას.

პარკინსონი ფეხბურთელობის წლებში მარჯვენა მცველი გახლდათ. თამაშობდა „მიდლსბროში“, „ბოლტონში“, „ბარნლიში“ და ბევრ სხვა კლუბში. ყველაზე მეტი, 202 შეხვედრა „მიდლსბროს“ შემადგენლობაში აქვს ჩატარებული. 2003 წელს ის საბოლოოდ დაემშვიდობა ფეხბურთელის კარიერას, 2010 წელს კი... ინსულტის შედეგად ლოგინს მიეჯაჭვა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად 43 წლის პარკინსონი „სკაუტობას“ შეუდგა. ამ საქმის კეთება მას „მიდლსბროს“ დღევანდელმა მწვრთნელმა, **ტონი მოუბერიმ** სთხოვა. მასთან მიაქვთ DVD დისკები, ის კი ამ ჩანაწერებს უყურებს და მეუღლის, **დებორას** დახმარებით ფეხბურთელებს ნიშნებს უწერს. პარკინსონის შეფასება ოთხქულიანია. ყოველი ვიდეოს ნახვის შემდეგ დებორა მეუღლეს ნელა უთვლის ოთხამდე და როდესაც ნიშნის შესაბამის ციფრს ასახელებს, პარკინსონი ქუთუთოს ამოძრავებს.

*„ტონი და მისი თანაშემწეები გარის მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენენ — უთხრა ჟურნალისტებს დებორამ — როდესაც ტონი ჩემი მეუღლის სანახავად პირველად მოვიდა, მიხვდა, რომ ის სრულ გონზე იყო, ყველაფერს ხედავდა, ძველებურადაც აზროვნებდა და სთხოვა, თუ უარს არ მეტყვი ფეხბურთელების შერჩევაში დამეხმარეო. ჩვენთან მოაქვთ DVD და ფურცლები, რომლებზეც ამობეჭდილია მოთამაშის გვარ-სახელი, ასაკი და მისი დახასიათება. აგრეთვე მითითებულია პოზიცია და წინა კლუბები“.*

გარი პარკინსონი სამი შვილის მამაა.

● ფეხბურთელის ცხოვრება

# ბარტონი ანაფორას იკერავს


ჯოი ბარტონი

ინგლისური ფეხბურთის კოლორიტი, ცუდი ბიჭის რეპუტაციის მქონე **ჯოი ბარტონი** ამბობს, რომ თამაშისთვის თავის დანებებასა და კათოლიკე მღვდლად კურთხევაზე ფიქრობს. „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 29 წლის ნახევარმცველი, რომელმაც ერთხელ თანაგუნდელს თვალში ანთებული სიგარა ატაკა, მღვდლობასთან ერთად ბრაზის რეგულირების მრჩევლობასაც აპირებს.

დასავლეთლონდონელთა გუნდის კაპიტანი, როგორც პრემიერლიგის ფეხბურთელი, შეძლებული ადამიანია. ის, შესაძლოა, შემოსავლით პირველხარისხოვან ვარსკვლავებს ვერ სჯობს, მაგრამ საიმისოდ, რომ თავისი სახსრებით ქველმოქმედება და ადამიანთა დახმარების პროგრამები წამოიწყოს, ნამდვილად ჰყოფნის. გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც აქამდე აყალმაყალითა და შარით იყო ცნობილი წერასაც ცდილობს. მაწანწალათათვის დასარიგებელ ჟურნალ The Big Issue-ში მას, თითქმის უკვე წელიწადია თავისი სვეტი აქვს. ჟურნალის ბოლო ნომერში ბარტონი წერდა:

*„მე დიდი სიცარიელე დავინახე და ვიფიქრე, რომ ფეხბურთის თამაშს თავი უნდა დავანებო. უკვე მზად ვარ ცხოვრებაში სხვა რამ გავაკეთო. ვფიქრობ რისკიან კაპიტალისტობაზე, ფილანთროპისტობაზე, ბრაზის რეგულირების მრჩევლობაზე, კათოლიკე მღვდლობაზე... ვიცი, რომ თუ გადავწყვიტე ხალხს რაიმე ვუქადაგო, შეხედულება შევაცვლევინო, დავუმტკიცო, რომ არასწორად ცხოვრობს, შედეგს მივაღწევ“.*

თუმცა, იმავდროულად, ბარტონი ამბობს, რომ ფეხბურთიდან დღესვე გაქცევას არ აპირებს: *„ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ჯერ კიდევ ვთამაშობ, ფეხბურთის სიყვარულია. სხვა საქმეა, რომ მე, როგორც ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელზე მეტი ვარ. ჩემი პიროვნების დახასიათებისთვის იმის თქმა, რომ ბურთს ვთამაშობ საკმარისი არ არის. ფეხბურთი აღარც გამდიდრებისთვის მინდა და არც საკუთარი თავისთვის რამის დასამტკიცებლად. აქ, უბრალოდ, განვითარების საშუალებას ვხედავ“.*

● ნაძლევი

# უილშირი და სამი ათასი ფუნტი

„არსენალის“ ნახევარმცველმა, ინგლისური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, 19 წლის **ჯეკ უილშირმა** „ტოტენჰემის“ ფანებთან ნაძლევი დადო, რომ „მეთოფეები“ პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში „დეზებზე“ მაღალ ადგილს დაიკავებენ. თავად უილშირი, მოგეხსენებათ, კოჭის ოპერაციის გამო იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებს, თუმცა თანაგუნდელების იმედი აქვთ. „ტოტენჰემის“ ფანებს კი ნახევარმცველი სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ გადაეყარა.

დღეს როგორი მდგომარეობაა ცხრილში? ორშაბათს, „ტოტენჰემის“ მიერ „ასტონ ვილას“ 2:0 ძლევის შემდეგ **ჰარი რედნაპის** ბიჭები მესამე ადგილზე არიან, „არსენალს“ სამი ქულით უსწრებენ და თან, ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. შეგახსენებთ, რომ როგორც „ტოტენჰემ ჰოთსპური“, ასევე „არსენალი“ ჩრდილო ლონდონის გუნდებია და მათ შორის ქიშპს ასწლოვანი ისტორია აქვს.

„დეზების“ უპირატესობის მიუხედავად უილშირმა მათ ფანებს მისწერა: *„დღეს თქვენ ყველანი ხარობთ, რომ ცხრილში ჩვენზე წინ გახვედით, მაგრამ პრემიერლიგის სეზონი სპრინტი კი არ არის, მარათონია. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, თუ სეზონის ბოლოს „სფურზი“ ცხრილში „არსენალზე“ მაღლა იქნება, ხმის ამოუღებლად ავდგები და 3 ათას ფუნტს ერთ-ერთ საქველმოქმედო ფონდს გადავურიცხავ, ხოლო თუ „არსენალი“ იქნება „სფურზზე“ მაღლა, თითოეულმა თქვენგანმა, რომელიც „ტვიტერში“ ჩემთან მეგობრობთ, თითო ფუნტი გადმომირიცხეთ და მე ამ თანხას ზუსტად იმავე ფონდში შევიტან. განყობთ, „ტოტენჰემის“ ფანებო?“*


ჯეკ უილშირი

● ტოტენჰემი


ემანუელ ადებაიორი

# ადებაიორს დარჩენა უნდა

ტოგოელმა თავდამსხმელმა, 27 წლის **ემანუელ ადებაიორმა** „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ შეუთვალა, თქვენ ფულს გამოდით და „უაით ჰართ ლეინზე“ დარჩენა ჩემზე იყოსო. მოგეხსენებათ, ადებაიორი „დეზებში“ იჯარის წესით არის მივლინებული, თორემ ისე „მანჩესტერ სიტის“ საკუთრებაა.

ისტლენდელები ტოგოელის გაყიდვაზე, რასაკვირველია, უარს არ იტყვიან, მაგრამ შეძლებს კი „ტოტენჰემი“ საკმარისი თანხების შოვნას? საქმე ის გახლავთ, რომ „არსენალისა“ და „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელის შესაძენად 17 მილიონი ფუნტია საჭირო, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ, რაც მთავარია, გადასახდელია ფეხბურთელის ხელფასი, რომელსაც დღესდღეობით „სფურზი“ და „სიტი“ ერთობლივად აგროვებენ - ლაპარაკია კვირაში 160 ათას ფუნტზე.

რომელიმე მკითხველი შეიძლება ფეხბურთელზე გაბრაზდეს და ის ხარბ ადამიანად მიიჩნიოს, მაგრამ თავად ადებაიორი ამბობს, რომ თანხა, რომელსაც მას პრემიერლიგაში უხდიან, მარტო მისი არ არის — ვარსკვლავი ტოგოსა და კოტ დ'ივუარში ქველმოქმედებას ეწევა, ბავშვთა დახმარების პროექტებს უდგას სათავეში. აფრიკული ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა თქვა:

*„ყველა ფეხბურთელი ფულის შოვნას ცდილობს. მეც ასე ვარ, რადგან ჩემს სამშობლოში, აფრიკის კონტინენტზე პროექტები მაქვს წამოწყებული და სანამ ფეხბურთს ვთამაშობ, მათ დაფინანსებას შევძლებ. რაც შეეხება ჩემს მომავალს, დაე „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ და „მანჩესტერ სიტიმ“ გადაწყვიტონ, რომელ გუნდში გავაგრძელებ კარიერას. ჩემთვის მთავარია ვითამაშო და ამ თამაშით ვისიამოვნო“.*

თუ ადებაიორის ბოლო თამაშებს გადავხედავთ, ის მართლაც სიამოვნებით თამაშობს და წარმატებაც აქვს — ორშაბათს, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ასტონ ვილას“ 2:0 მისი გოლების წყალობით მოუგო. დღეს „დეზები“ პრემიერლიგის ცხრილშე მესამე ადგილზე არიან, მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან, ლიდერ „სიტის“ კი, ცხრით.

ტოგოელი ვარსკვლავი, რომლის „არსენალისგან“ ყიდვა „სიტის“, თავის დროზე, 27 მილიონი ფუნტი დაუჯდა, ამბობს:

*„არა მგონია, ჩვენი ამოცანა „მანჩესტერ სიტის“ დაწევა იყოს. ჩვენი ამოცანა ოთხეულში შესვლა უფროა. ეს მწვრთნელმა, ჰარი რედნაპმა იმთავითვე მითხრა, როდესაც „ტოტენჰემში“ გადმოვდიოდი. ცუდადაც არ ვთამაშობ, მთავარია ასე გავაგრძელო. პირადად მე ვფიქრობ, რომ თუ „სფურზს“ ოთხეულში შესვლაში ვერ დავეხმარები, ესე იგი ჩავფლავებულვარ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

## არგენტინა. აპერტურა. XV ტური



ასე ეთხოვებოდა არგენტინა დონია ტოტეს

# რაღა დარჩა ბოკას ჩემპიონობამდე?

## მსაჯმა დებიუტი მატჩის ჩაშლით აღნიშნა

**ნიუელსი-ტიგრე 0:1**

გოლი: 0:1 კასტელიონე (37)

**არხენტინოსი-გოდოი კრუსი 1:0**

გოლი: 1:0 ობერმანი (37)

**ინდეპენდიენტე-ოლიმპო 3:0**

გოლები: 1:0 ტუციო (34), 2:0 ხ. პერესი (49), 3:0 პარა (77)

გაძევება: მუსტო (69)

**ბელგრანო-ველესი 1:3**

გოლები: 0:1 ბელა (24), 0:2 ფრანკო (30), 1:2 ფ. ვასკესი (69), 1:3 რესკალდანი (74)

**სან ლორენსო-სანტა ფე 0:1**

გოლი: 0:1 როსალესი (73)

**ბოკა-რასინგი 0:0**

გაძევება: პელიეტიერი (49. რასინგი), გუტიერესი (76. რასინგი)

**კოლონი-ატლეტიკო 1:0**

გოლი: 1:0 ფუერტესი (73)

**ლანუსი-არსენალი 0:1**

გოლი: 0:1 ბურდისო (20)

**ესტუდიანტესი-ბანფილდი შეწყდა**

**სან მარტინი-ოლ ბოისი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 15 | 9 | 6 | 0 | 17-3 | 33 |
| 2. რასინგი | 15 | 5 | 10 | 0 | 11-4 | 25 |
| 3. ტიგრე | 15 | 6 | 6 | 3 | 17-13 | 24 |
| 4. ველესი | 15 | 7 | 3 | 5 | 17-13 | 24 |
| 5. კოლონი | 15 | 6 | 6 | 3 | 13-11 | 24 |
| 6. სანტა ფე | 15 | 6 | 6 | 3 | 14-13 | 24 |
| 7. ლანუსი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-12 | 23 |
| 8. არსენალი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-13 | 23 |
| 9. ატლეტიკო | 15 | 7 | 2 | 6 | 20-20 | 23 |
| 10. ბელგრანო | 15 | 5 | 6 | 4 | 14-13 | 21 |
| 11. გოდოი კრუსი | 15 | 5 | 5 | 5 | 24-20 | 20 |
| 12. ინდეპენდიენ. | 15 | 5 | 4 | 6 | 14-15 | 19 |
| 13. ოლ ბოისი | 15 | 3 | 8 | 4 | 14-19 | 17 |
| 14. სან მარტინი | 15 | 3 | 7 | 5 | 11-14 | 16 |
| 15. სან ლორენსო | 15 | 4 | 3 | 8 | 12-17 | 15 |
| 16. არხენტინოსი | 15 | 3 | 6 | 6 | 13-20 | 15 |
| 17. ოლიმპო | 15 | 2 | 8 | 5 | 15-21 | 14 |
| 18. ნიუელსი | 15 | 1 | 9 | 5 | 10-15 | 12 |
| 19. ესტუდიანტესი | 14 | 2 | 4 | 8 | 15-22 | 10 |
| 20. ბანფილდი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-16 | 10 |

**ბომბარდირები:** 10 - რ. რამირესი (გოდოი კრუსი); 7 - მატოსი (ოლ ბოისი); 6 - განდინი (ატლეტიკო), როლე (ოლიმპო).

### მომდევნო ტური

25 ნოემბერი: ტიგრე-ატლეტიკო.

26 ნოემბერი: ოლ ბოისი-ლანუსი, ოლიმპო-სან მარტინი, რასინგი-ბელგრანო, ნიუელსი-სან ლორენსო.

27 ნოემბერი: არსენალი-ესტუდიანტესი, ველესი-კოლონი, ბანფილდი-არხენტინოსი, გოდოი კრუსი-ბოკა.

28 ნოემბერი: სანტა ფე-ინდეპენდიენტე.

**აპერტურა სრულდება, 4 ტურით ადრე, ვფიქრობთ, მთავარ კითხვას პასუხი გაეცა - „ბოკა ხუნიორსის“ მორიგ ტრიუმფს ხელი რამ უნდა შეუშალოს. თქვენ წინაშეა, პრიმერას მე-15 ტურის მიმოხილვა.**

### ტურის მოვლენები

„ბოკას“ ერთი, ალბათ, უკანასკნელი წინაღობა ჰქონდა დასაძლევი - ერთადერთი რეალური კონკურენტი, „რასინგი“ ეწვია და მიუხედავად იმისა, რომ 9 კაცის ამარა დარჩა, მაინც არ წააგო - 0:0. ბუნებრივია, ეს ფრე ისევ „ბოკას“ აძლევს ხელს, რომელმაც 8-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა. თამაში კი ვერ გამოდგა თვალსასეირო, არც ველოდით, რადგან „ბოკაც“ და „რასინგიც“ წლეულს არასანახაობრივ, მაგრამ შედეგიან ფეხბურთს თამაშობენ. „ბოკამ“ უფრო ცუდად ითამაშა, როგორ შეიძლებოდა რიცხობრივი უპირატესობის ასე განიავება. ის კი არა, რომ არა რეფერი, მასპინძლებს შეიძლება წაეგოთ კიდეც - პენალტი ასპროცენტიანი იყო - **რონკალიამ გუტიერესი** საჯარიმოში აშკარად წააქცია. შემდეგ ტურში „ბოკა“ მენდოსაში „გოდოი კრუსს“ ეწვევა. ესეც რთული მატჩი იქნება, თუმცა წარმოუდგენელია, რომ ლიდერმა ქულები უხვად კარგოს, ხოლო მისმა მდევრებმა - არა. თუნდაც ბოლო ტურის მაგალითი ავიღოთ - „ლანუსს“ შეეძლო მე-2 ადგილზე გადასვლა და ჩამორჩენის 7 ქულამდე შემცირება და... „არსენალთან“ წაგება „მოახერხა“.

ჩაიშალა ორი აუტსაიდერის, „ესტუდიანტესისა“ და „ბანფილდის“ მატჩი - მას მერე, რაც „ესტუდიანტესის“ ყოფილმა ფეხბურთელმა **როდრიგო ლოპესმა** ყოფილ გუნდს გოლი გაუტანა, აფეთქების ხმა გაისმა, რომელმაც კინაღამ დააზარალა მეკარე **ლოკეტი**. „ესტუდიანტესის“ ფეხბურთელები **ხუან სებასტიან ვერონის** მეთაურობით, ამაოდ ცდილობდნენ ტრიბუნების დაწყნარებას. მალე, მსაჯმა **ფერნანდო ეჩენიკემ**, რომელსაც ბედის ირონიით პრიმერაში დებიუტი ჰქონდა, თამაშის შეწყვეტა ოფიციალურად დაადასტურა. მეკარე ლუკეტის ასაფეთქებელმა ნივთიერებამ ფეხი დაუზიანა. ალბათ, სტუდენტები ტექნიკურ მარცხს და სტადიონის დისკვალიფიკაციას (ჯარიმითურთ) გამოჰკრავენ ხელს.

ამ ტურმა ერთბაშად ორი მწვრთნელის სკამი შეიწირა - „სან ლორენსო“ **ომარ ასადს** შეელია, ხოლო „ოლიმპო“ - **ომარ დე ფელიპეს**. პირველის გადაყენება თუ იკითხებოდა, მეორის გაგდება მოულოდნელი იყო არგენტინისთვის, დე ფილიპემ „ოლიმპო“ პრიმერაში გადაიყვანა ბოლოს და ბოლოს. მის ნაცვლად 36 წლის **მაურო ლასპადა** დანიშნეს, გუნდის ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც სამწვრთნელო გამოცდილება საერთოდ არა აქვს. „სან ლორენსოში“ კი **ლეონარდო მადელონი** მივიდა.

ჩემპიონატის ყველა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო - არგენტინა **დიეგო მარადონას** დედის, დონია **ტოტეს** სიკვდილს გლოვობს. ის 81 წლის იყო. ის კი არა - „ინდეპენდიენტე“-“ოლიმპოს“ მატჩი უკვე დაწყებული იყო, როცა მარადონას დედის გარდაცვალების შესახებ გაიგეს და... გუნდებმა მე-2 ტაიმი დაიწყეს წუთიერი დუმილით.

### ტურის სკანდალი

ჩაშლილი მატჩის გარდა დიდი აურზაური გამოიწვია **ნესტორ პიტანას** მსაჯობამ ტურის ცენტრალურ მატჩში. თუკი რასინგელი **პელიეტიერის** გაძევებას კიდევ რაღაც საფუძველი ჰქონდა, გაუგებარია, რატომ გაუყენა თანაგუნდელის გზას კოლუმბიელი **ტეო გუტიერესი.** გუტიერესი უსამართლოდ არდანიშნულმა პენალტმა გამოიყვანა მწყობრიდან და თვალწინ წითელი ბარათი იხილა. მთელი მატჩის განმავლობაში მსაჯი „ვერ ხედავდა“ მასპინძელთა უხეშობებს, სამაგიეროდ, კარგად არჩევდა სტუმართა ჯარიმებს.

### ტურის ციფრები

შედეგიანობა კვლავ საშინელია - სულ 13 გოლი გავიდა (ლოპესის გოლის ჩათვლით ჩაშლილ მატჩში) - 1,3 მატჩში საშუალოდ. 7:6 სტუმართა სასარგებლოდ. ამდენი გოლი ხანდახან ჰოკეის ერთ მატჩში გადის ხოლმე.

დუბლი არავის შეუსრულებია, **რუბენ რამირესს** კვლავ 10 გოლი აქვს ბომბარდირთა დავაში. „ნიუელს ოლდ ბოისს“ 11 ტურია არ მოუგია, „ოლიმპოს“ - 5. „ბოკა“ და „რასინგი“ ისევ დაუმარცხებლად ასპარეზობენ. აბსურდი - მეორეადგილოსან გუნდს მოგებებზე ორჯერ მეტი ფრეები აქვს აქტივში.

### ტურის მატჩი

**არხენტინოსი vs გოდოი კრუსი**

ერთადერთი შეხვედრა, სადაც ორივე გუნდმა ითამაშა, კომბინაციური, შემტევი ფეხბურთი.

### ტურის გმირი

**სებასტიან საჯა (რასინგი)**

„რასინგის“ 32 წლის მეკარემ კარი „მშრალად“ შეინახა. არადა, ბოლოს მისი გუნდი 9 კაცის ამარა დარჩა მისი ჩათვლით. სხვათა შორის, საჯამ ჩემპიონატში სულ 4 გოლი გაუშვა.

### ტურის გოლები

**პაულო როსალესი (სანტა ფე)**
**ფრანკო ვასკესი (ბელგრანო)**
**გილერმო ფრანკო (ველესი)**

### ვინ გავარდება

20. სან მარტინი - 1,066; 19. ტიგრე - 1,164; 18. ოლიმპო - 1,169; 17. სან ლორენსო - 1,252.

## ბრაზილია. სერია A. XXXVI ტური

# კვანძი მალე გაიხსნება

ბრაზილიის ჩემპიონატში ყველაფერი მალე გაირკვევა - სერია A-ს დასრულებამდე ორი ტურით ადრე „კორინთიანსი“ ორი ქულით უსწრებს „ვასკუ და გამას“. ჩემპიონობის შენარჩუნების თეორიული შანსი „ფლუმინენსესაც“ შერჩა. მომდევნო ტურში ჩემპიონი „ვასკუს“ ეთამაშება, ბევრი რამ ამ შეხვედრაზეა დამოკიდებული. ამ ტურში ორი ჰეთ თრიკი ვიხილეთ, პირველის ავტორი „სეარას“ ფორვარდი **ფელიპე აზევედოა**, მეორის „ფლუს“ თავდამსხმელი **ფრედი.** ამ ტურის შემდეგ ელიტიდან ოფიციალურად გავარდა „ავაი“.

**სან პაულუ-ამერიკა 3:1**

გოლები: 1:0 ლუიშ ფაბიანო (25), 2:0 ლუიშ ფაბიანო (42), 3:0 ჟუანი (51), 3:1 ალესანდრო (78)

გაძევება: შანდაო (57. სან პაულუ)

**ვასკუ და გამა-ავაი 2:0**

გოლები: 1:0 ფელიპე (51), 2:0 ელტონი (65)

გაძევება: ჟუნიორ ურსო (20. ავაი)

**გრემიო-სეარა 1:3**

გოლები: 0:1 ფელიპე აზევედო (29), 1:1 დუგლასი (37), 1:2 ფელიპე აზევედო (49-პენ), 1:3 ფელიპე აზევედო (58)

**ბოტაფოგო-ინტერნასიონალი 1:2**

გოლები: 0:1 ლეანდრო დამიაო (45), 0:2 ოსკარი (74), 1:2 ფელიპე მენეზესი (77)

**კორინთიანსი-ატლ. მინეირო 2:1**

გოლები: 0:1 ლეონარდო სილვა (55), 1:1 ლიედსონი (77), 2:1 ადრიანო (90)

**კრუზეირო-ატლ. პარანაენსე 1:1**

გოლები: 0:1 მარკინიო (26), 1:1 შარლესი (43)

**ბაია-პალმეირასი 0:2**

გოლები: 0:1 ბუენო (19), 0:2 ასუნსაო (90)

**კორიტიბა-სანტოსი 1:0**

გოლი: 1:0 ლეონარდო (61)

**ფიგეირენსე-ფლუმინენსე 0:4**

გოლები: 0:1 ფრედი (48), 0:2 ფრედი (57), 0:3 მარკინიო (72), 0:4 ფრედი (85)

**ატლ. გოიანიენსე-ფლამენგო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 36 | 20 | 7 | 9 | 52-36 | 67 |
| 2. ვასკუ | 36 | 18 | 11 | 7 | 54-38 | 65 |
| 3. ფლუმინენსე | 36 | 20 | 2 | 14 | 58-48 | 62 |
| 4. ინტერნასიონ. | 36 | 15 | 12 | 9 | 56-42 | 57 |
| 5. ფიგეირენსე | 36 | 15 | 12 | 9 | 45-43 | 57 |
| 6. ფლამენგო | 36 | 14 | 15 | 7 | 57-46 | 57 |
| 7. სან პაულუ | 36 | 15 | 11 | 10 | 53-44 | 56 |
| 8. ბოტაფოგო | 36 | 16 | 7 | 13 | 51-44 | 55 |
| 9. კორიტიბა | 36 | 15 | 9 | 12 | 56-40 | 54 |
| 10. სანტოსი | 36 | 15 | 7 | 14 | 53-50 | 52 |
| 11. გრემიო | 36 | 13 | 8 | 15 | 47-54 | 47 |
| 12. პალმეირასი | 36 | 10 | 16 | 10 | 42-39 | 46 |
| 13. ატლ. გ. | 36 | 11 | 11 | 14 | 43-42 | 44 |
| 14. ატლ. მ. | 36 | 12 | 6 | 18 | 45-54 | 42 |
| 15. ბაია | 36 | 10 | 12 | 14 | 40-47 | 42 |
| 16. კრუზეირო | 36 | 10 | 9 | 17 | 40-48 | 39 |
| 17. სეარა | 36 | 10 | 8 | 18 | 44-60 | 38 |
| 18. ატლ პ. | 36 | 9 | 11 | 16 | 36-53 | 38 |
| 19. ამერიკა | 36 | 7 | 13 | 16 | 48-63 | 34 |
| 20. ავაი | 36 | 7 | 9 | 20 | 44-73 | 30 |

**ბომბარდირები:** 23 - ბორჟესი (სანტოსი); 20 - ფრედი (ფლუმინენსე); 15 - დეივიდი (ფლამენგო); 14 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ვილიამი (ავაი).

### მომდევნო ტური

27 ნოემბერი: პალმეირასი-სან პაულუ, სანტოსი-ბაია, ფლამენგო-ინტერნასიონალი, ფლუმინენსე-ვასკუ და გამა, გრემიო-ატლ გოიანიენსე, ატლ. მინეირო-ბოტაფოგო, ფიგეირენსე-კორინთიანსი, კორიტიბა-ავაი, ამერიკა-ატლ. პარანაენსე, სეარა-კრუზეირო.



ფრედი მორიგ გოლს ზეიმობს

## MLS

# ესეც ჩემპიონი

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან უკვე წაიკითხავდით, რომ ამერიკის ჩემპიონი (ანუ მლს-ის თასის მფლობელი) **დევიდ ბექჰემის, რობი კინისა** და **ლენდონ დონოვანის** „ლოს ანჯელეს“ გელექსი“ გახდა, რომელმაც ფინალში დონოვანის ერთადერთი გოლის წყალობით „ჰიუსტონ დინამოს“ მოუგო. გაგაცნობთ ჩემპიონის სასეზონო სტატისტიკას.

**მეკარეები:** *სოუნდერსი (23 თამაში), რიკეტსი (15), პერკი (1).*

**მცველები:** *დანივენთი (36), დელაგარზა (34), გონსალესი (33, 2 გოლი), ფრანკლინი (32, 4), ბერჰალტერი (10), ჰეიდუკი (10), რობინსონი (1).*

**ნახევარმცველები:** *ჟუნინიო (33, 4), ბექჰემი (30, 2), ბირჩოლი (27, 1), სტივენსი (27), ლოპესი (24, 1), კარდოსო (18), კიროვსკი (13), კიტი (5), ხიმენესი (2).*

**თავდამსხმელები:** *მეგი (31, 8), ბარეტი (30, 7), დონოვანი (27, 15), კრისტმენი (14, 1), ჯორდანი (13), კინი (8, 3), ლეონარდო (7, 1), მაკბინი (1, 1).*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეს ეს არის, თასი „გელექსის“ დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ანტონიო კასანო

# მთავარი მიზანი ევროპის ჩემპიონატია

## კასანო დასაბრუნებლად ემზადება

დაახლოებით სამი კვირის წინ, მთელი საფეხბურთო ევროპა შეძრა ანტონიო კასანოს შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ – "რომასთან" პაექრობის შემდეგ, "მილანის' ფორვარდი მოულოდნელად ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა. რამდენიმე დღე ექიმები ამაოდ ცდილობდნენ დიაგნოზის დასმას, ბოლოს კი გაცხადდა რომ კასანოს გულთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემები. წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, სარეაბილიტაციო პერიოდიც განისაზღვრა, რომელიც 5-დან 6 თვემდე მკურნალობას გულისხმობს. რამდენიმე დღის წინ, ანტონიო "მილანელოზე" გამოჩნდა, სადაც ის "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს შეხვდა და საინტერესო ინტერვიუ მისცა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ...



**- როგორ გრძნობთ თავს?**

- ჩვეულებრივად, ისე, როგორც იმ ავად სახსენებელ დღემდე, როდესაც კლინიკაში გადასაყვანი გავხდი. აბსოლიტურად არაფერი მაწუხებს, უბრალოდ, ექიმები მეუბნებიან, რომ ჩემთვის დიდი დატვირთვები არ შეიძლება. რა გაეწყობა, უნდა დავემორჩილო მათ რჩევებს და იმედი დავიტოვო, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**- დასრულდა სეზონი თქვენთვის თუ დასკვნით ეტაპზე მაინც დაეხმარებით "მილანს"?**

- თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ექიმები მეუბნებიან, მოედანს აპრილის ბოლოს უნდა დავუბრუნდე, ეს კი იმას ნიშნავს რომ დასკვნით მატჩებში თამაშს შევძლებ. ჩემი მთავარი მიზანია, ზაფხულისთვის ფორმა ალვიდგინო და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა შევძლო. მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება ძალიან განვიცადე და არ მინდა იგივე ევროპაზეც განმეორდეს.

**- ცნობილია, რომ ჩეზარე პრანდელიმ ჰოსპიტალში მოგინახულათ და სწრაფად გამოჯანმრთელება გისურვათ, მის მხარდაჭერას მუდმივად გრძნობთ?**

- რა თქმა უნდა. მასთან ხშირი სატელეფონო კავშირი მაქვს, რაც ძალიან მახარებს. მითხრა, რომ მოუთმენლად ელოდება ჩემს საფეხბურთო მოედანზე დაბრუნებას, რაც დიდი სტიმულია ჩემთვის, რომ ექიმთა თითოეულ მოთხოვნას დავმორჩილდე.

**- კიდევ უამრავმა ადამიანმა გაგამხნევათ, რომელიმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

- მთელი მსოფლიოდან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდი, რაც არასოდეს დამავიწყდება. რა დამავიწყებს მადრიდის "რეალის" ჟესტს, როდესაც მაისურებზე ჩემი სახელი წაიწერეს. ან თუნდაც "სან სიროზე" შექმნილ ატმოსფერს, როდესაც მთელი სტადიონი ჩემს სახელს სკანდირებდა. ყველაზე დიდი მხარდაჭერა კი, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებისგან ვიგრძენი. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ და ყველაფერი ნათელი გახდება: ჰოსპიტალში შემოსულმა ჩემმა მეუღლემ პირველი ის მითხრა, რომ ფეხბურთის თამაში აუცილებლად უნდა გამეგრძელებინა, ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმული და მხარდაჭერა.

**- იქამდე, სანამ შეუძლოდ გახდებოდით, განაცხადეთ, რომ ფეხბურთის თამაში უწინდელ სიამოვნებას აღარ განიჭებთ და რომ კარიერის დასრულებაზე ფიქრობთ, დღეს კი ენთუზიაზმით ალსავსე მეჩვენებით...**

- საკუთარ თავს ჯამბაზი ვუწოდე და დავძინე, რომ თანამედროვე ფეხბურთი ზედმეტად პრაგმატულია. შესაბამისად, ფეხბურთისგან სიამოვნების მიღება დღეს რთულია, რამაც დამაფიქრა კარიერის დასრულებაზე. თუმცა, მაშინვე ვთქვი, რომ მინიმუმ სამი წელი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ ვგეგმავ. ჟურნალისტთა ნაწილმა ბოლო წინადადება ამოჭრა და ბევრმა ჩათვალა, რომ კარიერის დასრულებას უკვე ამ ზაფხულს ვაპირებდი. როგორც ფეხბურთელს, კიდევ ბევრი რამ მაქვს დასამტკიცებელი.

**- მაინც?**

- ის, რომ კლუბთან და ეროვნულ ნაკრებთან უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შემიძლია. მინდა "მილანის" და იტალიის ნაკრებში ჩემი კვალი დავტოვო, ეს კი ტიტულების მოგების გარეშე წარმოუდგენელია.

**- როგორ ფიქრობთ, სჭირდება "მილანს" თქვენი შემცვლელი?**

- სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის საფუძველს ვერ ვხედავ, "მილანს" ჰყავს ოთხი უმაღლესი კლასის ფორვარდი, რომლებსაც ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა ძალუძთ. მით უმეტეს, ალეშანდრე პატო გამოჯანმრთელდა, რომელსაც ზლატან იბრაგიმოვიჩთან ერთად, თანამედროვეობის უძლიერეს ფორვარდად მივიჩნევ. დავუმატოთ მათ წარმოუდგენლად ტექნიკური რობინიო და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ფილიპო ინძაგი. ყველაფერი ცხადზე უცხადესია, "მილანს" ყველაზე ძლიერი თავდასხმა ჰყავს მსოფლიოში.

**- დავიჯეროთ, ამ მხრივ არც "ბარსელონას" ჩამორჩება?**

- "ბარსელონას" ძალა გუნდურობაშია და ამ მხრივ ისინი საუკეთესონი არიან მსოფლიოში. თუ ლიონელ მესის არ ჩავთვლით, "ბარსას" თავდასხმაში განსაკუთრებულს ვერავის ვხედავ. მაგალითად, პედრო კატალონიურ გრანდში ბრწყინვალეა, მაგრამ მეეჭვება, რომ სხვაგან ანალოგიური წარმატებით იასპარეზოს. "მილანი" სწორად ვითარდება და თუ ასევე გავაგრძელებთ, "ბარსას" ძალიან მალე დავეწევით.

**- ანუ, ჩემპიონთა ლიგაში "მილანის" მთავარი კონკურენტი "ბარსაა" და სერია A-ში?**

- "ბარსელონასთან" ერთად "რეალს" ვიტყოდი, რომელიც მიმდინარე სეზონში უბრალოდ შეუჩერებელია. ჟოზე მოურინიომ ნამდვილი მანქანა შექმნა, რომელიც გზად ყველაფერს ანადგურებს. ჩემპიონთა ლიგის უმთავრეს ფავორიტთა შორის "ბარსელონასთან" და "მილანთან" ერთად, აუცილებლად "რეალს" დავასახელებდი. რაც შეეხება სერია A-ს, იქ კიდევ უფრო ჩახლართულად არის საქმე; სეზონის წინ, "მილანის" უმთავრეს კონკურენტად "ინტერს" დავასახელებდი, მაგრამ დღეს თანაქალაქელთა სასკუდეტო შანსებზე მსჯელობა აშკარად გადამეტებული იქნება. ჩემი აზრით, ჩვენთვის ყველაზე სახიფათო მეტოქეები "იუვენტუსი" და "ნაპოლი" არიან. ვალტერ მაძარის გუნდის შესაძლებლობები ყველას კარგად მოგვეხსენება, "იუვე" კი ანტონიო კონტეს ხელში ძველ დიდებას იბრუნებს.

**ლაშა ნიკლაური**

● რომა



ნიკოლას ბურდისო

# მგლები ბურდისოს შემცვლელს ეძებენ

მას შემდეგ, რაც **ნიკოლას ბურდისომ** უმძიმესი ტრავმა მიიღო და პრაქტიკულად სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა ფეხბურთს, "რომას" მესვეურებმა მისი შემცვლელის მოძიება დაიწყეს და ამ მიმართულებით გადადგეს კიდეც გარკვეული ნაბიჯები. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იანვრიდან დედაქალაქური კლუბის ღირსებას "მანჩესტერ სიტის" უკანახაზელი **სტეფან სავიჩი** დაიცავს. 20 წლის ჩერნოგორიელი იშვიათად ხვდება "სიტის" შემადგენლობაში და **რობერტო მანჩინი** მის გაშვებას უპრობლემოდ დაყაბულდა. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ხელშეკრულება საიჯარო იქნება და სეზონის ბოლომდე გასტანს.

ბუნებრივია, მხოლოდ სავიჩის გადაბირებით რომაელები სიმშვიდეს ვერ მოიპოვებენ და ამად არის, რომ **ფაბიანო სანტაკროჩეს** გადაბირებაც დაუსახავთ მიზნად. ეს უკანასკნელი "ნაპოლის" საკუთრებაა, მაგრამ ამ გუნდში ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი. **ვალტერ მაძარი** წესით არ უნდა იყოს წინააღმდეგი, შეელიოს მისთვის უსარგებლო ფეხბურთელს, მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლოა კონკურენტის გაძლიერებაზე თქვას უარი. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

**ლაშა ნიკლაური**

● სანქცია



ახლახან კლოს გომესმა მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო

# ჩხვლეტა ქოლგით 6 ათასი ევრო დაჯდა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა იმ ინციდენტზე, რომელიც მე-12 ტურში ანდალუსიაში მოხდა - „გრანადა"-"მალიორკას" მატჩის 64-ე წუთზე ტრიბუნიდან ნასროლი ქოლგა შეხვედრის თანამსაჯს, **ხოსე აგილარ როდრიგესს** თავში მოხვდა. კონსულტაციის შემდეგ მატჩის არბიტრმა **კარლოს კლოს გომესმა** მიიღო გადაწყვეტილება, მატჩი აღარ გაეგრძელებინა, რის გამოც მატჩი ჩაიშალა. ფედერაციამ იმსჯელა და „გრანადა" ამ ინციდენტისთვის 6 000 ევროთი დააჯარიმა. დარჩენილი 26 წუთი იმავე სტადიონზე, ოღონდ, გულშემატკივართა გარეშე დასრულდება (შეგახსენებთ, რომ მასპინძლები 2:1-ს იგებდნენ). თარილი კი უახლოეს დღეებში დადგინდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● იუვენტუსი

# კრასიჩი არსად მიდის

გასულ სეზონში, **მილოშ კრასიჩი** "იუვენტუსის" ლამის ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, წელს კი ჩრდილშია მოქცეული და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. იტალიურ სპორტულ პრესაში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ 27 წლის სერბი ნახევარმცველი უკმაყოფილოა არსებული ყოფით და სხვა გუნდში გადასვლაზე უჭირავს თვალი. ითქვა იმის შესახებაც, რომ კრასიჩის გადაბირებით "მილანი" დაინტერესდა, რომელიც ამ ბოლო დროს ყველას ეპოტინება, ვისაც ტრანსფერზე დაყენება უწინასწარმეტყველეს. აღნიშნულ ცნობებს "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:



მილოშ კრასიჩი

*"კრასიჩთან დაკავშირებით არავითარი პრობლემები არ გვაქვს და შესაბამისად, მის გასხვისებას არ ვაპირებთ. მართალია, დღეს ის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ გუნდისთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ანტონიო კონტესთან მქონდა საუბარი და მითხრა, რომ ამ ეტაპზე სხვები უკეთეს ფორმაში არიან, მაგრამ შეიძლება ყველაფერი ძალიან მალე შეიცვალოს და კრასიჩი კვლავაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდეს. მისით "მილანის" დაინტერესების შესახებ არაფერი მსმენია, არადა, ადრიანო გალიანის სულ ახლახან შევხვდი და რამე რომ ყოფილიყო, აუცილებლად მეტყოდა. ასე რომ, კრასიჩი არსად მიდის".*

**ლაშა ნიკლაური**



ჩემპიონთა ლიგა. V ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# განსაკუთრებული გუნდი

## ჯგუფი A

### ბაიერნი–ვილიარეალი 3:1

**გოლები**: 1:0 რიბერი (3) 2:0 გომესი (24) 2:1 დე გუზმანი (50), 3:1 რიბერი (69)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 16-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე "ბაიერნმა" პლეი ოფის საგზურთან ერთად ე.წ. "სიკვდილის ჯგუფში" გამარჯვება დაიბევა. რეკორდმაისტერმა აუტსაიდერთან ძალები დაზოგა და ამის მიუხედავად მისი უპირატესობა აშკარა იყო. უკვე მე-3 წუთზე **კროოსის** პასით **რიბერი** მეკარესთან ერთი ერთზე დარჩა. **დიეგო ლოპესი** ფრანგის იოლ ლუკმად იქცა - 1:0. სასტარტო შტურმი და მეტოქის ნოკდაუნში ჩაგდება "ბაიერნის" სტილია. რატომ არ აღმოჩნდა ამისთვის მზად ესპანური კლუბი, ამაზე პასუხი **ხუან კარლოს გარიდომ** უნდა გაგვცეს. მე-10 წუთისთვის ანგარიში შეიძლებოდა უკვე 3:0 ყოფილიყო, ჯერ **ტიმოშჩუკს** და შემდეგ **რობენს** უკეთ რომ ეთამაშათ. პირველად მეტოქის კარისკენ "სუბმარინებმა" მე-17 წუთზე დაარტყეს – **ანხელ ლოპესის** შორეულმა დარტყმამ **ნოიერი** ვერ შეაშინა, რადგან ბურთი დიდი მანძილით ასცდა მის კარს. 24-ე წუთზე ისევ გერმანელების ჯერი დადგა - თავი **მარიო გომესმა** გამოიჩინა. უნდა აღინიშნოს რომ შვედმა არბიტრმა **მარკუს სტრემბერგსონმა** შეცდომა დაუშვა. ტიმოშჩუკის დარტყმის დროს, რომელიც ძელს მოხვდა და გომესს მიუვიდა, "სუპერმარიო" თამაშგარეში იყო. რაც არის, არის. გომესს ბურთი ჩაუთვალეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ანგარიშზე ჩემპიონთა ლიგაში უკვე 17 გოლია, რაც საუკეთესო შედეგია გერმანელ ფეხბურთელებს შორის. აქამდე ყველაზე შედეგიანი **მიხაელ ბალაკი** იყო 16 ბურთით. პირველი ტაიმის დასრულებამდე "ბაიერნს" კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ სიზუსტე არ ჰყოფნიდა. მეორე ტაიმის დებიუტიც გერმანელების შეტევებით დაიწყო, მაგრამ გოლი აქეთ გაუშვეს. **ხოან არეოლის** პასი დიდებული დარტყმით გადაგზავნა კარში **ჯონათან დე გუზმანმა**. 69-ე წუთზე მატჩს წერტილი დაესვა - ეს ისევ ფრანკ რიბერიმ გააკეთა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფრანკ რიბერი

### ნაპოლი–მანჩესტერ სიტი 2:1

**გოლები**: 1:0 კავანი (17) 1:1 ბალოტელი (33) 2:1 კავანი (49)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 39%-61%

პრემიერლიგაში წარმატებული გამოსვლის მიუხედავად "ქალაქელები" ჩემპიონთა ლიგაში სუსტად გამოიყურებიან. "ნაპოლიმ" მეტოქე ვერ დაჩაგრა, მაგრამ დაამარცხა და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუკი **ვალტერ მაცარის** გუნდი "ვილიარეალს" გასვლაზეც მოუგებს, "სიტის" ველარც "ბაიერნთან" საშინაო გამარჯვება უშველის.



პირველი 5 წუთი გუნდებმა ერთმანეთის დაზვერვას მოანდომეს. ბურთს უმეტესად ინგლისელები აკონტროლებდნენ, თუმცა კარში დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. ამის შემდეგ "ქალაქელებმა" საქმეს ხელი მოჰკიდეს. ჯერ **იაია ტურემ** დაარტყა არაზუსტად, შემდეგ - ბალოტელიმ. "ნაპოლიმ" **ლავესი-ჰამშიკის** კომბინაციით უპასუხა, რომელიც **ჰარტმა** იოლად აილო. მე-17 წუთზე ანგარიში გაიხსნა. **ინლერის** პასი **კავანიმ** თავი ლამის ვარდნაში წაჰკრა, ბურთი მიწაზე დაეცა, ჰარტმა სცადა კუთხის დაფარვა, მაგრამ ვერას გახდა. ურუგვაელს ორიოდე წუთში შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ ბურთი ბადეს გარედან გაარტყა. სტუმრებმა გათანაბრება მალევე მოახერხეს. **ჯეკომ სილვას** პასი საჯარიმოში შეუგდო. ესპანელმა მახვილი კუთხიდან დაარტყა. **დე სანკტისმა** მოიგერია, მაგრამ **ბალოტელის** მიმართულებით, ვინც ბურთი დაუცველ კარში გადაგზავნა – 1:1. მეორე ტაიმის დებიუტში "ნაპოლიმ" ისევ გაიტანა და ისევ მოულოდნელად. გოლი კლასიკურ კონტრშეტევას მოჰყვა, რომელშიც ნახევარმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა – **არონიკამ**, კავანიმ, ლავეციმ და **დოსენამ** ბურთი წამებში გადაიტანეს მეტოქის ნახევარზე, სადაც საჭირო ადგილას მას ისევ კავანი დახვდა - 2:1. ყოველივეს მასპინძლების შტურმი მოჰყვა. ჰამშიკის დარტყმა **ლესკოტმა** გამოიტანა ცარიელი კარიდან. მალე ჯერ ისევ ჰამშიკმა დაარტყა არაზუსტად, შემდეგ - ინლერმა. 76-ე წუთზე ისევ სლოვაკს შეეძლო გატანა, მაგრამ შტანგას გაარტყა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ედინსონ კავანი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| 2. ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 3. მანჩ. სიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 4. ვილიარეალი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

**ბოლო ტური**

**7 დეკემბერი:** სიტი-ბაიერნი, ვილიარეალი-ნაპოლი

## ჯგუფი B

### ცსკა–ლილი 0:2

**გოლები**: 0:1 ვ. ბერეზუცკი (49 ს.კ.), 0:2 სოვი (64)

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 6-10 (3-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მოსკოველმა არმიელებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს. ისინი ბურთის გათამაშებას მოედნის ორივე ნახევარზე ერთნაირად იოლად ახერხებდნენ. პირველი სახიფათო სიტუაცია სტუმართა კართან **ვაგნერ ლავს** შეექმნა, მაგრამ ბრაზილიელმა ზუსტად ვერ დაარტყა. ორიოდე წუთში **მამაევს** შეეძლო გატანა. მის დარტყმულს წინ მცველი აღუდგა. მე-19 წუთზე **დებიუში-აზარი-სოვის** კომბინაცია სენეგალელის დარტყმით დასრულდა. ბურთი ამჯერადაც მცველმა მიიღო თავის თავზე. მე-40 წუთზე იგნაშევიჩმა არ მისცა მუსა სოვს დარტყმის საშუალება, თორემ ანგარიში ნამდვილად გაიხსნებოდა. ერთი სიტყვით პირველმა ტაიმმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა. მეორე ნახევრის დებიუტში **ბალმონმა** სოვს მისცა ჭკვიანური პასი. სენეგალელის წინ ბურთი მიწაზე ახტა. რითაც **ვასილი ბერეზუცკიმ** ისარგებლა და ბურთი ფეხიდან ააცალა. მისდა სამწუხაროდ, **გაბულოვის** კარი ერთადერთი იყო, საითაც ბურთს გაფრენა შეეძლო. მეკარეს რეაქცია არ ჰქონია. 64-ე წუთზე **ედენ აზარმა ჯო კოულს** დიდებული პასი მიაწოდა საჯარიმოში. ინგლისელმა ის ერთი შეხებით გადაგზავნა კარში და ძელს გაარტყა. დამატებაზე ყველას სოვმა დაასწრო. ფრანგებს მეტოქის განადგურებაც შეეძლოთ, მაგრამ 93-ე წუთზე მომენტით **ტულიო დე მელომ** ვერ ისარგებლა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ედენ აზარი

### ტრაბზონსპორი–ინტერი 1:1

**გოლები**: 0:1 ალვარესი (18), 1:1 ალტინტოპი (23)

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

"ინტერმა" ვერ შეძლო "ტრაბზონსპორთან" საშინაო მარცხისთვის რევანშის აღება. არადა, შეეძლოთ ამის გაკეთება. მე-18 წუთზე **ალვარესი-მილიტო**-ალვარესის კომბინაციას "ტრაბზონის" დაცვა პირდაღებული უყურებდა. 23 წლის არგენტინელი ნახევარმცველი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ბურთი ტექნიკური დარტყმით შორეულ დაბალ კუთხეში გაახვია – 0:1. სამ წუთში თურქებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ **ილმაზის** ვარდნაში დარტყმული კარს სანტიმეტრებში ასცდა. საპასუხო გოლი მაინც მალე გავიდა. **ჰალილ ალტინტოპმა** 30 მეტრიდან დასცხო. ბურთი ჯერ **სამუელის** ზურგს მოხვდა, მერე ხარიხას და კარის ხაზი ისე გადაკვეთა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბურაქ ილმაზი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ტრაბზონი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 3. ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 5 |
| 4. ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |

**ბოლო ტური**

**7 დეკემბერი:** ლილი-ტრაბზონი, ინტერი-ცსკა

## ჯგუფი C

### მანჩესტერ იუნ.–ბენფიკა 2:2

**გოლები**: 0:1 ჯონსი (3 ს.კ.), 1:1 ბერბატოვი (30), 2:1 ფლეტჩერი (59), 2:2 აიმარი (61)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 10-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%

მატჩი ასე დაიწყო: ტექნიკურმა პორტუგალიელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია ცენტრში გაათამაშეს. **გაიტანის** დაბალი ჩაწოდების ჩაჭრა **ფილ ჯონსმა** მოინდომა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. თითქოს ამას "მანჩესტერ იუნაიტედის" გაბრაზება უნდა გამოეწვია, მაგრამ **უეინ რუნის** გარეშე დარჩენილი "ეშმაკები" უკბილოდ იკბინებოდნენ. 30-ე წუთზე ძირითადში დაბრუნებულმა **დიმიტარ ბერბატოვმა** გამოიჩინა თავი. თუმცა ჩვენი აზრით არბიტრი **გიუნეთ ჩაქირი** შეცდა. პასის მომენტში ბულგარელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო. რეალური მომენტი ჰქონდა გასატანად **ეშლი იანგს**, როცა **დე ხეას** მიერ წამოწყებულ კომბინაციას აგრძელებდა, მაგრამ ინგლისელმა **არტურს** ვერ აჯობა. 59-ე წუთზე მასპინძელთა ქაოსური შეტევა გოლით დასრულდა. კარში დარტყმის რამდენიმე მცდელობის შემდეგ ბურთი **ევრას** მიუვიდა. ფრანგმა **ფლეტჩერი** მონახა. შოტლანდიელმა ანგარიში 2:1 გახადა. ანგარიში ზუსტად 2 წუთში გათანაბრდა. დე ხეამ ბურთი ცუდად გამოიტანა, **ფერდინანდმა** საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა ცუდად ჩაჭრა, **აიმარმა** კი "მანიუს" დაცვის შეცდომათა მთელი "თაიგულით" ისარგებლა – 2:2.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** აქსელ ვიტცელი

### ოცელული–ბაზელი 2:3

**გოლები**: 0:1 ფ. ფრაი (10), 0:2 ა. ფრაი (14), 0:3 შტრელერი (37), 1:3 გურგიუ (75), 2:3 ანტალი (86)

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-9 (4-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

შეხვედრა **ჰაიკო ფოგელის** შეგირდების უპირატესობით დაიწყო. მე-14 წუთზე ისინი უკვე 2:0-ს იგებდნენ. **შტრელერის** პასებით შემდეგ ჯერ **ფაბიან ფრაიმ** გამოიჩინა თავი, შემდეგ **ალექსანდრ ფრაიმ** 37-ე წუთზე - უკვე თავად მარკო შტრელერმა. პირველი ტაიმი ასევე დასრულდა. 75-ე წუთიდან კი რუმინელებმა თამაში შემოაბრუნეს. თავი გამოიჩინეს ჯერ **გაბრიელ გურგუიმ**, შემდეგ დიდებული გოლი გაიტანა საჯარიმოს მისადგომებიდან „ოცელულის" კაპიტანმა **ლივიუ ანტალმა**. თითქოს მატჩის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სენსაცია არ შედგა. შვეიცარიელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარკო შტრელერი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 3. ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 4. ოცელული | 5 | 0 | 0 | 5 | 3-10 | 0 |

**ბოლო ტური**

**7 დეკემბერი:** ბაზელი-მანჩესტერი, ბენფიკა-ოცელული

## ჯგუფი D

### ლიონი–აიაქსი 0:0

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14-11 (7-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

ჰოლანდიის ჩემპიონისა და საფრანგეთის ბრინჯაოს პრიზიორის შეხვედრებმა ღარიბი სანახაობები გვაჩუქა. გუნდებმა 180 წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს ერთმანეთისთვის გოლის გატანა. ბოლო ტურში "აიაქსს" "რეალთან" საშინაო შეხვედრაში ქულაც ჰყოფნის, რათა პლეი ოფის საგზური გაინაღდოს. "ლიონს" კი ჯგუფიდან გასასვლელად მიზერული შანსი დარჩა. ამსტერდამელებმა კარგა გვარიანად უნდა წააგონ, თავად კი ზაგრებში დიდი ანგარიშით მოიგონ. ეს ფეხბურთია და თითქმის ყველაფერი ხდება, მაგრამ"თითქმის ყველაფერი" საკმარისი არ არის. **რემი გარდის** ახალგაზრდულ გუნდს 90%-ით ევროპის ლიგაში მოუწევს თამაშის გაგრძელება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კენეტ ვერმეერი

### რეალი–დინამო(ზ) 6:2

**გოლები**: 1:0 ბენზემა (2), 2:0 კალოხონი (7), 3:0 იგუაინი (9), 4:0 იოზილი (20), 5:0 კალოხონი (49), 6:0 ბენზემა (66), 6:1 ბეჩირაი (81), 6:2 ტომეჩაკი (90)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 17-4 (13-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%

ამ "რეალის" ყველას უნდა ეშინოდეს. აშკარაა, "სამეფო ბიჭებმა" დანდობა რას ნიშნავს, არ იციან. ჩემპიონთა ლიგაში მატჩის მე-20 წუთზე 4:0 იშვიათად ყოფილა, თუ ყოფილა ოდესმე. **ჟოზე მოურინიოს** შეგირდები მინდორზე სავარჯიშოდ გამოვიდნენ, მაგრამ დინამოელებმა სახელოვან მეტოქესთან სპარინგპარტნიორის როლიც კი ვერ ითამაშეს. ხორვატიული გუნდი უფრო მეტად საკრივო მსხალს ჰგავდა, ვიდრე ღირსეულ მეტოქეს. და ის, რომ "დინამომ" ბოლო 10 წუთში ორჯერ გაიტანა და სახე შეინარჩუნა, უფრო მადრიდელთა დამსახურება გვგონია, რადგან "რეალი" მეტისმეტად ძლიერია იმისთვის, რომ ასეთ მეტოქესთან კონცენტრაცია 90 წუთი შეინარჩუნოს. გულშემატკივარს გულწრფელად ვურჩევთ შეხვედრა თავიდან ბოლომდე ნახონ. გოლების აღწერით კი თავს ნამდვილად არ შეგაწყენთ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კარიმ ბენზემა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-2 | 15 |
| 2. აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. ლიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| 4. დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

**ბოლო ტური**

**7 დეკემბერი:** დინამო-ლიონი, აიაქსი-რეალი

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# დღეს კვიპროსის დღეა



დღე იმით დაიწყო, რომ კვიპროსული ფეხბურთის ისტორია ოქროს ასოებით გადაიწერა - აპოელ პირველი კლუბია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში თამაში გაინაღდა. თანაც ეს კუნძულელებმა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ტურით ადრე შეძლეს! სუსტ გუნდს შეიძლება ერთხელ გაუმართლოს, მაგრამ ხუთჯერ? ხუთი ტურის შემდეგ აპოელ-ს 2 მოგება და 3 ფრე აქვს და ის დაუმარცხებელია. ეს მატჩი დაგეგმილზე გვიან დაიწყო, რადგან მასპინძელი გუნდის ფანებმა ტრიბუნებზე ცეცხლი გააჩინეს. „ზენიტის" უპირატესობას დიდი ეთქმოდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა **ბუხაროვსა** და **დანის** ას-პროცენტიანი საგოლე მომენტები შეექმნათ, მაგრამ კვიპროსელებმა რუსულ ყინვასა და მასპინძელთა შAეტევებს გაუძლეს - 0:0. გაგაცნობთ კვიპროსული სასწაულის მთავარ შDემოქმედს - 49 წლის მწვრთნელ **ივან იოვანოვიჩს**. სერბი სპეციალისტი 2003 წლიდან (პაუზებით) თავკაცობს აპოელ-ს. მან გუნდს სამჯერ მოაგებინა ჩემპიონატი და მეორედ გაიყვანა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

ამის შემდეგ ისტორია გადაწერა ჩეხურმა „ვიქტორიამაც", რომელმაც სტუმრად 1:0 მოუგო ბორისაუს ბატე-ს. ეს პლზენელთა პირველი გამარჯვებაა ჩემპიონთა ლიგაში. მატჩის ერთადერთი გოლი **მარეკ ბაკოშმა** პირველ ტაიმში ახლო მანძილიდან გაიტანა და ახლა ჩეხებს უკეთესი შანსები აქვთ ევროპალიგაზე გააგრძელონ ბრძოლა, ვიდრე - ბელარუსებს.

ამ ჯგუფში დღის ცენტრალური მატჩი „სან სიროზე" გაიმართა, „მილანი" და „ბარსელონა" ფაქტობრივად პირველი ადგილისთვის შეიბნენ (პლეი ოფი მათ უკვე გარანტირებული ჰქონდათ). მე-14 წუთზე ჰოლანდიელმა **ვან ბომელმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მაგრამ 6 წუთში ექს-ბარსელონელმა **იბრაჰიმოვიჩმა** ანგარიში გაათანაბრა. მალე **მესიმ** (მე-2 ცდით) პენალტის ნიშნულიდან ისევ „ბარსელონა" დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ბოატენგმა** სუპერგოლი გაიტანა. 9 წუთში ესპანელები ისევ წინ გავიდნენ **ჩავის** წყალობით - 2:3.

„ვალენსიას" **რობერტო სოლდადომ** უკვე პირველ ტაიმში შეასრულა ჰეთ თრიკი „გენკის" კარში, მანამდე კი იყო **ჟონასის** გოლი. მოკლედ, „ვალენსიამ" ქვა-ქვაზე არ დატოვა ბელგიური გუნდისგან. „ლოს ჩე" პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლებს. მეორე ტაიმში სოლდადომ ცოტა ითამაშა, თუმცა „გენკს" არც მისმა თანაგუნდელებმა დააკლეს - 7:0. ამ ჯუფში ყველაფერი თავდაყირა მას შემდეგ დადგა, რაც **მიხაელ ბალაკის** ამჟამინდელმა გუნდმა „ლევერკუზენმა" ყოფილს, „ჩელსის" ბოლო წუთზე 2:1 მოუგო.

გერმანიის ჩემპიონი „ბორუსიის" ძლევით „არსენალმა" პლეი ოფში გაალწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## E ჯგუფი

### ლევერკუზენი–ჩელსი 2:1

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო - შვააბი (57. შიურლე), ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი (71. დერდიოკი) - ლ. ბენდერი, როლფესი - კასტრო, ბალაკი, სემი - კისლინგი (82. ოკუიპკა).

**ჩელსი (4-1-2-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, დავიდ ლუიზი (68. ალექსი), ბოსინგვა - მეირელეში (80. ობი მიკელი) - ლამპარდი, რამირესი - სტარიჯი, დროგბა, მატა (65. მალუდა).

**გოლები:** 0:1 დროგბა (49), 1:1 დერდიოკი (73), 2:1 ფრიდრიხი (90)

**გაფრთხილება:** კისლინგი, კადლეცი, ბალაკი - ივანოვიჩი, მეირელეში

**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 6-13 (5-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 000

### ვალენსია–გენკი 7:0

**ვალენსია (4-4-2):** დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი (46. პარეხო), მატიო - პ. ერნანდესი, თოპალი, ტ. კოსტა, ფეგული (57. პიატი) - ჟონასი, სოლდადო (65. ადურისი).

**გენკი (4-4-2):** კოტელესი - ვანდენ ბორე, ნადსონი, ჰილანდი (61. ლიმბომბი), პუდილი - ბუფელი, კამუსი, ტოცერი, დე ბრუინი - ბარდა (71. ნვანგანგა), ვოსენი (46. სარი).

**გოლები:** 1:0 ჟონასი (10), 2:0 სოლდადო (13), 3:0 სოლდადო (36), 4:0 სოლდადო (39), 5:0 პ. ერნანდესი (68), 6:0 ადურისი (70), 7:0 კოსტა (81)

**გაფრთხილება:** რუისი, სოლდადო

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (17-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 |
| 2. ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 12-4 | 8 |
| 3. ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-4 | 8 |
| 4. გენკი | 5 | 0 | 2 | 3 | 1-15 | 2 |

## F ჯგუფი

### არსენალი–ბორუსია 2:1

**არსენალი:** შჩესნი – ანდრე სანტოსი, მერტეზაკერი, ვერმალენი, კოშელნი (ჯურუ 83) – არტეტა, რემსი, სონგი – ჟერვინიო (ბენაიუნი 74), უოლკოტი (დიაბი 85) – ვან პერსი

**ბორუსია:** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – კელი (ბარიოსი 64), გიოტცე (პერიშიჩი 28), გროსკროიტცი, ს. ბენდერი (ლაიტნერი 25), კაგავა - ლევანდოვსკი

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (50), 2:0 ვან პერსი (86) 2:1 კაგავა (90)

**გაფრთხილება:** უოლკოტი, რემსი, ბენაიუნი - შმელცერი,

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 4-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 60 000

### მარსელი–ოლიმპიაკოსი 0:1

**მარსელი:** მანდანდა – ნ'კულუ, ტრაორე, ს. დიავარა – ა. დიარა, შეირუ (მბია 61), კაბორე, ვალბუენა (ლ. გონსალესი 73), ა. აიუ, ჟ აიუ (ჟინიაკი 61), რემი

**ოლიმპიაკოსი:** მადიერი – მანიატისი, მოდესტო, მელბერგი, ხოლებასი (ფეტფატციდისი 75) – პაპადოპულოსი, მარკანო, ტოროსიდისი, ფუსტერი (იესტე 55) – ჯებური (პოტურიდისი 88), მირალიასი

**გოლები:** 0:1 ფეტფატციდისი (82)

**გაფრთხილება:** რემი – ტოროსიდისი

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10-8 (3-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 42 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 2. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-2 | 7 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| 4. ბორუსია (დ) | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |

## G ჯგუფი

### ზენიტი–აპოელ 0:0

**ზენიტი (4-1-2-3):** მალაფეევი - ანიუკოვი, ჰუბოჩანი, ლომბაერტსი, კრიშიტო - დენისოვი - ზირიანოვი (55. ბისტროვი), შიროკოვი (87. ლაზოვიჩი) - ფაიზულინი, ბუხაროვი, დანი.

**აპოელ (4-2-3-1):** პარდო - სოლომუ, ოლივეირა, პაულო ჟორჟე, ალექსანდრუ (46. ელია) - მორაიში, პინტუ - ხარალამბიდისი, ტრიჩკოვსკი (89. ადორნო), მანდუკა - ალმეიდა (67. იაჰიჩი)

**გაფრთხილება:** კრიშიტო, ლომბაერტსი, ჰუბოჩანი - ალექსანდრუ, ელია, პაულო ჟორჟე

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 21-5 (9-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 21 000

### შახტარი–პორტუ 0:2

**შახტარი (4-2-3-1):** რიბკა - კობინი (87. დუგლასი), კუჩერი, რაკიცკი, რაცი - ჰუბშმანი, ფერნანდინიო - ედუარდო (59. ჟადსონი), მხითარიანი, ვილიანი (69. ტეიშეირა) - ადრიანო.

**პორტუ (4-1-2-3):** ელტონი - მაიკონი, ოტამენდი, როლანდო, ა. პერეირა - ფერნანდო - დეფური (88. სოუზა), მოუტინიო - ჰალკი, ჯალმა (73. კ. როდრიგესი), ჯ. როდრიგესი (81. ვარელა).

**გოლები:** 0:1 ჰალკი (80), 0:2 რაცი (90 ს.კ.)

**გაფრთხილება:** ედუარდო, ჟადსონი, კობინი - როდრიგესი

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-15 (8-9); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 2. ზენიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 4. შახტარი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |

## H ჯგუფი

### მილანი–ბარსელონა 2:3

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა (66. ბონერა), ტიაგო სილვა, ძამბროტა – აკვილანი, ზეედორფი, ვან ბომელი (72. ნოჩერინო) – ბოატენგი – რობინიო (46. პატო), იბრაჰიმოვიჩი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – პუიოლი, მასკერანო, ბუსკეტსი, აბიდალი – ხავი, კეიტა, ტიაგო (90. დოს სანტოსი) – ფაბრეგასი (80. პედრო), ვილია (68. სანჩესი), მესი.

**გოლები:** 0:1 ვან ბომელი (14), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:2 მესი (31-პენ.), 2:2 ბოატენგი (54), 2:3 ჩავი (63).

**გაფრთხილება:** ნესტა, ძამბროტა, აკვილანი, ვან ბომელი – პუიოლი, მასკერანო, აბიდალი, მესი.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-8); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 85 000

### ბატე–ვიქტორია 0:1

**ბატე (4-2-3-1):** გუტორი – იურევიჩი, ფილიპენკო, სიმიჩი, ბორდაჩოვი – პავლოვი (69. გორდეჩუკი), ვოლოდკო – ბაგა, რენანი, კონცევოი (75. რუდიკი) – სკავუში (77. კეჟმანი).

**ვიქტორია (4-2-3-1):** ჩეხი – რაიტორალი, ბისტრონი, სევინსკი, ლიმბერსკი – ჟირაჩეკი, ჰორვატი – პეტრჟელა (83. ფილიო), კოლარი, პილარი (90. რეზნიკი) – ბაკოში (80. დურისი).

გოლი: 0:1 ბაკოში (42).

**გაფრთხილება:** პავლოვი – ბისტრონი, ბაკოში.

**კუთხური:** 7-11; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-14 (5-8); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 16-4 | 13 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 3. ვიქტორია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-9 | 4 |
| 4. ბატე | 5 | 0 | 2 | 3 | 2-10 | 2 |







ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. კანოს ტურნირი

# ტოკიოში – მხოლოდ ირაკლი ცირეკიძე

## ქართულ ძიუდოში უცნაური ამბები ისევ გრძელდება

აქამდე ვიცოდით, რომ 10-11 დეკემბერს ტოკიოში გასამართ ძიგორო კანოს მემორიალზე საქართველოდან ნაკრები გამოვიდოდა, ახლა კი გაირკვა, რომ მხოლოდ **ირაკლი ცირეკიძე** (100) იჭიდავებს. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი მასპინძლებს სპეციალურად მიუწვევიათ. როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი ალექსიძემ** გვითხრა, იაპონელებს მოსაწვევი პარიზში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაუციათ, რაც ჩვენებურმა მათი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი** დაამარცხა, მოგვიანებით კი ბრინჯაოსაც დაეუფლა. ძიუდოს ფუძემდებელ კანოს ტურნირზე მონაწილეთა პერსონალურად მიწვევა ახალი არაა და ეს არც გვიკვირს, მაგრამ ჩვენები ბოლო წლებში იქ ლამის ყოველთვის მთლიანი გუნდით ასპარეზობდნენ. თუმცა ჩვენი გაკვირვება იმან გამოიწვია, რომ ფედერაციას აქამდე არ გაუმხელია, ამჯერად იქ მხოლოდ ერთი კაცით თუ გამოვიდოდით. მართალია, შემადგენლობა ოფიციალურად არც დაუსახელებიათ, მაგრამ ლაპარაკი ყოველთვის გუნდზე იყო და არა კონკრეტულ მონაწილეზე. მეტიც, წინა კვირას ფედერაციაში მისულმა ეს წინასწარი შემადგენლობა ვითხოვე, რაზეც უარი არ უთქვამთ, თუმცა ბოლოს ერთმანეთში მოილაპარაკეს, ჯერ ამსტერდამის ტურნირს დაველოდოთ, რადგან ერთი შეჯიბრება განსაზღვრავს მეორის შემადგენლობასო. არც ამაშია გასაკვირი არაფერი და ამიტომ აღარ დამიჟინია წინასწარი გუნდის გაცნობა, თუმცა ფედერაციის მესვეურთ არც მაშინ უთქვამთ, რომ მხოლოდ ცირეკიძე მიდიოდა. დაგვეთანხმებით, უცნაურია, - თუ მაშინვე იცოდნენ, რომ მხოლოდ ის წავიდოდა და სხვების გაგზავნა არც იგეგმებოდა, რატომღა ელოდნენ ამსტერდამის ტურნირის შედეგებს?

ერთი სიტყვით, მოვლენებში დასაეჭვებლად სრული საფუძველი გვქონდა და ისიც კი ვიფიქრეთ, რომ ფედერაციას ფინანსები არ აქვს. ისედაც დადის ხმები, სეზონის მიწურულს ეკონომიკურად გაუჭირდათო, თუმცა ალექსიძემ ეს ხმები უარყო და გვითხრა, კანოს ტურნირი არც იყო შეტანილი კალენდარში და ამიტომ არ იგეგმებოდა იქ მთლიანი გუნდის გაგზავნაო. თუმცა, აქ უკვე სხვა კითხვები ჩნდება.

საქმე ისაა, რომ ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადს“ ერთ კვირაში ჩინეთში არანაკლებ პრესტიჟული სალიცენზიო შეჯიბრება - „დიდი პრიზი“ მოსდევს ქალაქ ქინგდაოში. სამწუხაროდ, მთელ რიგ წონებში სალიცენზიო ქულები ჰაერივით გვჭირდება, რასაც ამ ორ მნიშვნელოვან ტურნირში წარმატებით გამოსვლით სერიოზულად შევივსებდით. თან კანოს შემდეგ იქ ერთობლივი წვრთნები ჩატარდებოდა, ჩვენები იქაც ივარჯიშებდნენ, მერე ჩინეთში გადავიდოდნენ, იჭიდავებდნენ და ერთობლივ შეკრებაზე თუ არ დარჩებოდნენ, მალევე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. ერთი სიტყვით, იქ წასვლა ფინანსურადაც მომგებიანი ჩანდა და წმინდა სპორტული კუთხითაც - ფაქტობრივად, ერთი გადაფრენით ორ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში გამოვიდოდნენ, რითაც ორ სტარტზე წასასვლელად საჭირო ძალიან ბევრ დამატებით ხარჯს აიცილებდნენ თავიდან, ხოლო კარგად ჭიდაობის შემთხვევაში რეიტინგშიც გაიმყარებდნენ პოზიციებს. თან არც აკლიმატიზაცია დასჭირდებოდათ ბოლო-ბოლო, უცნაურია - სამოას მსოფლიოს თასზე გამოვიდნენ და კანოს ტურნირზე - არა! იქ გამოუსვლელობა მით უფრო გასაკვირია, რომ ტოკიოში ახლაც იმყოფება ჩვენი ნაკრების რამდენიმე წევრი შეკრებაზე - ამსტერდამიდან პირდაპირ გადაფრინდნენ **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (90) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) ნაკრების ავსტრიელ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერსა** და **ზურაბ ზვიადაურთან** ერთად. ისინი ლამის ამ ტურნირის დაწყებამდე რჩებიან ტოკიოში და თუნდაც იმათ მაინც ეჭიდავათ! თუ რატომ აუარა ნაკრებმა გვერდი ორ ასეთ ხელსაყრელ შეჯიბრებას, როცა ქულები გვჭირდებოდა, ამაზე ალექსიძემ გვიპასუხა, რომ ეს მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო, რაშიც ფედერაცია არ ჩაერია! ნაკრების თავკაცს მუშაობა რომ უნდა ვაცალოთ, ესეც ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზაიზენბახერის გადაწყვეტილებები უკვე ვიწვნიეთ საკუთარ თავზე და ძალზე ცუდია, მის საქმეებში ფედერაცია ახლაც თუ არ ერევა. მით უფრო, კითხვები ახლაც ბლომად ჩნდება. ალექსიძემ ასევე ზაიზენბახერის გადაწყვეტილებით ახსნა ის, რომ ამჟამად ტოკიოში მხოლოდ ოთხი ძიუდოისტი წაიყვანა და არა სხვებიც. პრეზიდენტის თქმით, მწვრთნელმა საჭიროდ მიიჩნია, იაპონიაში ესენი გამოეცადა, ხოლო დანარჩენებს ევროპაში დააკვირდება (!) და ასე შემდეგ. ესეც ცოტა გვეუცნაურება - ღმერთმა ჰქნას, სხვებს არ სჭირდებოდეთ იაპონიაში შეკრების გავლა, მაგრამ თუ ლაპარაკი იმაზეა, რომ ჩავლებებს ვერ ილებენ სწორად და იაპონურ სტილზე უნდა გადავიდეთ, მაშინ ვგონებთ, სხვებსაც სჭირდებათ „იაპონური გაკვეთილები“. ერთი სიტყვით, ტოკიოში ახლანდელი შეკრება რალაც უშნოდაა გამოჩხერილი ნაკრების ყოველდღიურობაში - არც გუნდის წევრთა დიდი ნაწილი მონაწილეობს, ხოლო ვინც წასულია, ისინი 3-4 დეკემბერს გასამართ საქართველოს ჩემპიონატსაც გამოაკლდებიან, თან არც იქ იჭიდავებენ, თუმცა ყველაზე დიდ უცნაურობად ის მიმაჩნია, რომ ვერც მთავარი მწვრთნელი დაესწრება ქვეყნის პირველობას.

> **თუ რატომ აუარა ნაკრებმა გვერდი ორ ასეთ ხელსაყრელ შეჯიბრებას, ამაზე ალექსიძემ გვიპასუხა, რომ ეს მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო, რაშიც ფედერაცია არ ჩაერია!**

ალექსიძემ ისიც განმარტა, რა მიზანს ისახავდა სამოაში წასვლა, რაც ფინანსურად არცთუ იაფი დაჯდებოდა, თუმცა მის პასუხში ახალიც არაფერია, რადგან ამ მიზეზს ქომაგი ისედაც ხვდებოდა. პრეზიდენტის თქმით, იქ წასვლა ტურნირის მოსალოდნელმა სისუსტემ განაპირობა (მით უფრო, ზაიზენბახერი კემპზე იყო მიწვეული), თუმცა უბედურება ისაა, რომ ვერც იმ სუსტ შეჯიბრებაში გამოვედით ხეირიანად - მხოლოდ ბრინჯაოს მედლებსა და 40-40 სარეიტინგო ქულას გამოვრჩით, ამისთვის კი გვილირდა ჩიტი ბრდღვნად? 73 კილოგრამში კიდევ ჰო - ტატალაშვილმა ცოტათი გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ ჭრიკიშვილს ბევრი არაფერი შეემატა.

სამწუხაროდ, ასეთ უცნაურობებზე ლაპარაკი კიდევ შეიძლება, მაგრამ დასასრულს ისევ ცირეკიძეს დავუბრუნდეთ - მას იაპონელები საკუთარი ხარჯებით იწვევენ, ამას მხოლოდ ჩასვლა ევალება. კულუარებში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ შეიძლება, ის ტოკიოდან ჩინეთშიც გადავიდეს და იქაურ „დიდ პრიზშიც“ მიიღოს მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ იქ სეზონის ბოლო შეჯიბრებაა, 2012 წლის სეზონი კი 14-15 იანვარს ალმატიში გასამართი „მასტერსია“, სადაც მონაწილეობას წონების მიხედვით რეიტინგის 16-16 საუკეთესო ფალავანი მიიღებს. სადღეისოდ ალმატიში წასვლა ჩვენგან გარანტირებული პაპინაშვილს (60; რეიტინგში VII), **ვალერი ლიპარტელიანს** (90; IX) და ლომერ ჟორჟოლიანს (100; XII) აქვთ, სხვები კი 16-ეულში ვერ შედიან.



**ირაკლი თავაძე**

ძალოსნობა

# პამოსამიზნე ოლიმპიური ჯილდო





ათიოდე დღის წინათ პარიზში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ათლეტებმა შარშან ანტალიის მსგავს შეჯიბრებაში მოპოვებული სალიცენზიო ქულები განიმტკიცეს და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების 3 საგზური დაიბევეს. ამ წარმატებაში ლომის წილი **გია მაჭავარიანმა** დაიდო...

ხარაგაულში დაბადებულ-გაზრდილმა ჭაბუკმა ყმაწვილობისას სპორტის მრავალ სახეობაში სცადა ბედი, მაგრამ დიდხანს ვერც ფეხბურთს დაუდო გული, ვერც კრივსა და ჭიდაობას. ჯანი გერჩის, იქნებ შტანგა მოგესინჯაო, - ურჩია ბიძამ. ასე აღმოჩნდნენ ვაკის ძალოსნობის დარბაზში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ავთანდილ გახოკიძესთან**. მაშინ უკვე 15 წლის იყო.

*- რომ გითხრათ, შტანგა ერთი ნახვით შემიყვარდა და თავდავიწყებით დავიწყე ვარჯიში-მეთქი, ტყუილი იქნება. - მითხრა მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა გია მაჭავარიანმა. - უფრო მწვრთნელისა და ოჯახის წევრების ხათრით დავდიოდი დარბაზში. ამიტომ სამი წელინადი შედეგი არ მქონია. 2003 წელს 94 კილოში საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილი რომ დავიკავე, ვიგრძენი, ჩემში ისეთმა ჟინმა გაიღვიძა, თვალი კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გამექცა. მეტი გულისყურით ვეკიდებოდი მწვრთნელის შენიშვნებსა და რჩევებს. 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულები მივეცი. განსაკუთრებით იმან გამახარა, რომ ათენში გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა...*

მას შემდეგ შვიდი წელინადი გავიდა და გია მაჭავარიანი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდა, ერთხელ 20-წლიანთა ევროპის პირველობაზე ორჭიდში მე-4 ადგილი დაიკავა, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეშვიდე იყო. ვერა და ვერ მიუახლოვდა კვარცხლბეკს. და აი, წლეულს გაზაფხულზე ერთბაშად სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

*- აპრილში ყაზანს გავემგზავრე ევროპის ჩემპიონატზე. ამ შეჯიბრებისთვის კარგად ვიყავი მომზადებული. ხუთი ცდა გამოვიყენე. ჯერ 180 და 183 კილო ავიტაცე...*

**- ვიცი, რომ 185 კილოც დაძლიე, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაგითვალეს. რა მიზეზით?**

- ფეხის წვერი აწიეო, მაგრამ, ეს, უბრალოდ, საბაბი იყო - რუსმა აკაევმა, რომელსაც ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდნენ, ატაცში 185 კილოთი დაიწყო, მაგრამ ისე გაუჭირდა, რომ ალბათ, მასპინძლებმა იფიქრეს, შესაძლოა, მეტი წონა ვერ დაძლიოსო. მაშინ ამ მოძრაობაში ოქრო მე დამრჩებოდა, რადგან პირადი წონით მეტოქეზე მსუბუქი ვიყავი. ჩრდილოელ მეზობელთა გასახარად, აკაევს მეტი ნაშველება ალარ დასჭირვებია. მან საბოლოოდ 195 კილო აიტაცა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვერცხლის მცირე მედალი მე მხვდა. აკვრაში მწვრთნელებთან ერთად რისკს მოვერიდეთ: რადგან რუსი ძალოსანი პირველი მოძრაობის შემდეგ დიდი უპირატესობით მიგებდა, ორჭიდში გამოდევნებას აზრი არ ჰქონდა. მთავარი იყო, მე-2 ადგილი შეგვენარჩუნებინა. ამიტომ 217 კილოს დავჯერდი, არადა, ვარჯიშებზე 220 კილო არაერთხელ ამიკრავს. მთავარი ის იყო, რომ პოლონელ ბონკს გავუსწარი და, როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში ვერცხლის მედლები მოვიპოვე. ეს იყო ჩემი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება დიდ სარბიელზე, რამაც ძალიან გამახარა და სტიმულიც გამიორკეცა.

**- კვარცხლბეკზე ასასვლელად პარიზში უფრო დაძაბული პაექრობები გქონდა.**

- დიახ, ასეა. თუმცა, საფრანგეთის დედაქალაქში მეტის მიღწევა შემეძლო. წლეულს ჩაქვში საქართველოს ლიგის პირველობაზე ორჭიდში 406 კილო მოვაგროვე. პარიზში კარგად ვგრძნობდი თავს. ეს ატაცშიც გამოჩნდა, როცა მესამე მისვლისას 187 კილოთი პირადი მიღწევა გავაუმჯობესე, თან პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის მცირე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე - მხოლოდ რუს მეტოქეებს - აკაევსა და კლოკოვს ჩამოვრჩი. აი, აკვრაში კი უფრო ფრთხილი პოლიტიკა ავირჩიეთ. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო საწყისი წონის დაძლევა, რომ სალიცენზიო ქულები განგვემტკიცებინა. ამიტომ პირველი ცდისთვის 212 კილო შევუკვეთეთ. მერე წონა საგრძნობლად გავზარდეთ და მესამე ცდაზე 222-კილოიანი შტანგა დავიმორჩილე. ორჭიდში ფაქტობრივად, მესამე ადგილზე ვიყავი, რადგან პოლონელმა ბონკმა შეჯიბრება 221 კილოთი დაასრულა და ბრინჯაოსთვის მეტოქეობას ვერ მიწევდა. ერთადერთი უკრაინელ ტარახტის ჰქონდა ორი ცდა დარჩენილი, რომელსაც ატაცში 6 კილოთი ვაჯობე, თან პირადი წონითაც მასზე მსუბუქი ვიყავი. უკრაინელმა გარისკა და 229 კილო შეუკვეთა, რომელიც მანამდე არასდროს დაეძლია. ერთი ცდა გაუცუდდა, მეორე კი შედეგიანი გამოდგა და ორჭიდში ერთი კილოთი გამისწრო. ცხადია, ბრინჯაოც მას ერგო. გული დამწყდა.

**- არა უშავს, ლონდონში მოგეცემა რევანშის აღების შანსი.**

- ტრაბახად ნუ ჩამითვლით და, მარტო ტარახტი კი არა, წლევანდელი ჩემპიონი აკაევი და ვიცე-ჩემპიონი კლოკოვიც მყავს მიზანში. დარჩენილ შვიდ თვეში იმდენი უნდა მოვახერხო, რომ ბრიტანეთის დედაქალაქში მათთვის გადასწრება შევძლო.

**- მაშ, ოლიმპიურ ჩემპიონობას უმიზნებ?**

- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულმა წარმატებებმა საკუთარი ძალების რწმენა შემმატა და საჩემპიონო ამბიციებიც გამიჩინა. მით უმეტეს, რომ მწვრთნელები და ჩვენი ფედერაციის მესვეურები ნუთითაც არ გვაკლებენ ყურადღებას. სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ. აი, ახლაც ნაკრების წევრები ბატონი ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით 5 დეკემბრიდან პოლონეთს გავემგზავრებით სამკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე, ჩეხანოვოში ვივარჯიშებთ. მეორე მსგავსი შეკრება იქვე ნაახალწლევს - 5 იანვრიდან გვექნება. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ოცნება რეალობად ვაქციო.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭიდაობა

# გაროზაშვილი ხელვაჩაურში გაიხსენეს

აჭარის ქართული ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის თაოსნობით ხელვაჩაურში ჩატარდა აჭარაში ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი დამფუძნებლის ვასილ გაროზაშვილის მესამე მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 1994-1995 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: ქუთაისის, ახმეტის, ბათუმის, ხაშურის, ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს და ქედას მოჭიდავეები.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. ჯამბულ ბოლქვაძე (ბათუმი), 2. მინდია ცერცვაძე (ქუთაისი), 3. იანეგ შავაძე (ხულო).

**55 კგ.** 1. გიორგი ჩხაბერიძე, 2. ოლდიმარ გაბიანი (ორივე - ქუთაისი), 3. გოჩა ფარტენაძე (ქედა).

**60 კგ.** 1. ლაშა ჩადუნელი (ხაშური), 2. იუსუფ ხანგოშვილი (ახმეტა), 3. მიხეილ ზოიძე (შუახევი).

**65 კგ.** 1. გია პეტრიძე (შუახევი), 2. ენრი ბერიძე (ბათუმი), 3. გიორგი მურჯიკნელი (ხაშური).

**70 კგ.** 1. გაგა წულუკიძე (ქუთაისი), 2. რუსლან შავაძე (ბათუმი), 3. მანუჩარ კახაძე (ქედა).

**75 კგ.** 1. ცოტნე ზურაბიანი (ქუთაისი), 2. ჯონი ხიმშიაშვილი (შუახევი), 3. ირაკლი ფუტკარაძე (ბათუმი).

**80 კგ.** 1. გიორგი ანთია, 2. გურამ წულუკიძე (ორივე - ქუთაისი), 3. გიორგი აბუსერიძე (შუახევი).

**+80 კგ.** 1. გაგა ჯიხვაძე, 2. გურამ წულუკიძე (ორივე - ქუთაისი), 3. თემურ ზოიძე (შუახევი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

# ქართული სპორტი

ქართულ-აფხაზური სპორტი

## თავისუფალი ჭიდაობა


ლუკა კურტანიძე

ვაგრძელებთ თხრობას ქართულ-აფხაზურ სპორტზე. დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ღვაწლზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. ცნობილია, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში არ მოუპოვებიათ ჩვენს სპორტსმენებს იმდენი გამარჯვება, რამდენიც თავისუფალ ჭიდაობაში და ამაში მნიშვნელოვანია აფხაზეთის წარმომადგენელთა წვლილი.

ყველაზე დიდ წარმატებას თავისუფალ ჭიდაობაში აფხაზეთიდან მიაღწია **ლუკა (ელდარ) კურტანიძემ.** იგი დაიბადა 1972 წელს გულრიფშის რაიონის ქვემო ფშაფში. არის მსოფლიოს ორგზის (2002, 2003) ჩემპიონი, მეორე (1993) და მესამე (1997) პრიზიორი, ატლანტის (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა ბრინჯაოს მედლები, ათენის (2004) ოლიმპიადაში VIII ადგილს დასჯერდა. ევროპის ხუთგზის (1996, 1997, 1998, 2001, 2005) ჩემპიონი, სამგზის მეორე (1993, 1995, 2002) და 1999 წლის მესამე პრიზიორი. პირველ დიდ წარმატებას ახალგაზრდებში მიაღწია - გახდა ევროპის ჩემპიონი (1992). არის მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. სამჯერ - 1996, 2002 და 2003 წლებში დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად. გამოდიოდა 96 კგ წონით კატეგორიაში.

საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე აფხაზეთიდან თავისუფალ ჭიდაობაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს **გურამ მჭედლიძემ** (სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე), **რაშ ხუტაბამ, ვლადიმერ მარშანიამ, რობერტ ჯლამაძემ, ეგია მუსოიანმა, ვლადიმერ მაჩკალიანმა, ალექსანდრე არჯენიამ, ომარ კიკაბიძემ, მურთაზ მეფარიშვილმა, გიორგი კანსურიანმა, ნოდარ სტურუამ, მარლენ ხასიამ, იროდი ევსანჯიამ, იროდიონ პაპანდოპულომ, სპარტაკ კაზარიანმა, ნური ღვინჯილიამ, ტრისტან აბსავამ, ნიკოლოზ კაკავიძემ, გიორგი ლობჟანიძემ** და სხვებმა.

მაღალი კლასის მოჭიდავეთა მომზადებაში განსაკუთრებით დიდია დამსახურებული მწვრთნელების **შოთა კიკაბიძისა** და **დათო ხურციას** დამსახურება.




რუბრიკას უძღვება
**ალექსანდრე ჯინორიძე**




ქართული კინო ცნობილია თავისი მოკლემეტრაჟიანი ფილმებით. ერთ-ერთი უცნობილესი კი საფეხბურთო თემაზე შექმნილი „ფეოლაა“. ალბათ არ არსებობს არც ერთი ქართველი გულშემატკივარი, ვისაც ეს ფილმი არ უნახავს (ისევე, როგორც „პირველი მერცხალი“). სცენარისტებმა **რ. გაბრიაძემ,** და **გ. ჩარკვიანმა,** რეჟისორმა **ბ. წულაძემ,** ოპერატორმა **ი. ფედნევმა,** მსახიობებმა **ი. ხვიჩიამ, ვ. ჩხაიძემ, ჯ. ღლანიძემ, გ. გაბელაიამ, ს. ფილიპოვმა** ისეთი სურათი შექმნეს, რომ რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო რარიტეტული ხდება. ამ საიდუმლოს ახსნა კი ალბათ იმით შეიძლება, რომ ფილმის ყველა მოქმედი პერსონაჟი უბრალო ადამიანია და მათი ფეხბურთთან შეხება მაყურებლისთვის ძალიან საინტერესოა. მით უმეტეს ქართველი მაყურებლისთვის, რომელიც ამავდროულად ფეხბურთის თავგადადებული გულშემატკივარიცაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ფილმის მცირე მეტრაჟისა, ფეოლას როლი იპოლიტე ხვიჩიას ერთ-ერთი საუკეთესოა მის სამსახიობო კარიერაში. ფილმმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ე.წ. საკავშირო ასპარეზზე და რიგის სპორტული ფილმების III ფესტივალზე პრიზიც გადაეცა.

სხვათა შორის, ჩვენს ერთ უცნაურ თავისებურობაზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება. ფილმში ხვიჩიას გმირს ბონდო დოლაბერიძეს, ზედმეტი სახელი ფეოლა, ბრაზილიელთა ცნობილი მწვრთნელის - **ვისენტე იტალო ფეოლას** საპატივცემულოდ შეარქვეს და ეს იმ დროს ხდება (1970 წ), როდესაც ცოცხალია ქართული ფეხბურთის ლეგენდა **ანდრო ჟორდანია!** ეტყობა საბჭოთა კავშირის ჩაკეტილ სივრცეში მოქცეული ქართული ფეხბურთი, ფილმის ავტორთა აზრით, უფრო დიდ, საერთაშორისო ასპარეზს იმსახურებდა და მაშინ ამაზე ოცნება მხოლოდ კინოში თუ შეიძლებოდა... თავად რუსებიც კი ოცდაათიანი წლების ქართველ ფეხბურთელებს „დიდ ურუგვაელებს“ უწოდებდნენ - მაშინდელი მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული ლიდერების სახელს.

ქართული ფეხბურთი კი საერთაშორისო ასპარეზზე მაინც გავიდა და გაიბრწყინა კიდეც და ამაში მას ქართველი ფეოლა **ნოდარ ახალკაცი** დაეხმარა.

ლოტოლო ნასწავლოგიდან
ქართული სპორტის ...

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## ნიკოლოზ დერიუგინი



დაიბადა 30.04.1956, ქუთაისში. კალათბურთი. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1975-85), „თბილისში“ (1991-92), უნგრეთის მაფც-ში (1992-93), თბილისის „ვითაში“ (1993-94), თბილისის სდასუ-სა (1994-95) და სლოვაკეთის „სლოვაკო ფარმაში“ (1995-96). იყო სსრკ-ის (1978-85) და საქართველოს (1995-96) ნაკრები გუნდების წევრი. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1980), მსოფლიოს (1982) და ევროპის (1981) ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი (1978, 79). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

სათავეები

## პლაჟის ფრენბურთი

**პლაჟის ფრენბურთი.** სპორტული თამაში. 2-2-კაციან პლაჟის ფრენბურთს 1920-იანი წლებიდან თამაშობდნენ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. 1930 წლიდან შეჯიბრებები იმართებოდა საფრანგეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ლატვიაში. გუნდში 3 ან 4 მოთამაშე იყო. 2-კაციანი გუნდების პირველი ოფიციალური ტურნირი 1947 წელს ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1974 წელს სან-დიეგოში (აშშ) გაიმართა პირველი კომერციული შეჯიბრება, ორი წლის შემდეგ კი ისევ



ამერიკაში მოეწყო მსოფლიოს პირველი არაოფიციალური ჩემპიონატი. ადრინდელ შეჯიბრებებში მხოლოდ კაცები გამოდიოდნენ, მოგვიანებით კი პლაჟის ფრენბურთში ქალებიც ჩაებნენ. 1986 წელს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ეს თამაში დამოუკიდებელ სახეობად ცნო და ოფიციალური სტატუსი მიანიჭა, 1993 წელს კი სოკმა იგი ოლიმპიურ სახეობად აღიარა. **ევროპის ჩემპიონატი იმართება 1993 წლიდან; მსოფლიოს ჩემპიონატი - 1987-იდან;** ოლიმპიური დებიუტი მოეწყო 1996 წელს, ატლანტაში. კაცების ტურნირი ამერიკელებმა მოიგეს, ქალებისა - ბრაზილიელებმა.

**ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია** დაარსდა 1947 წლს, აერთიანებს 218 ქვეყნის ფედერაციას.

**1980-იანი** წლების მიწურულს კლასიკურ ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად ღია მოედნებზე წყვილთა შეხვედრებსაც აწყობდნენ. ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში პლაჟის ფრენბურთის განვითარებისა. 1997 წლიდან ამ საქმეს უძღვებოდა პლაჟის ფრენბურთის კავშირი. კავშირმა 1997-2000 წლებში ბათუმსა და თბილისში ოთხჯერ ჩაატარა საქართველოს ჩემპიონატი. ქალებში ქვეყნის პირველი ჩემპიონები იყვნენ **თამარ ლატარია** და **ანა ბჟეჟინსკაია** (ბათუმი), კაცებში - ირაკლი ჩაჩუა და **სულხან ახვლედიანი** (თბილისი). იმავე პერიოდში შეიქმნა ბავშვთა ჯგუფები, თბილისში გაიმართა რამდენიმე შეჯიბრება, საქართველოს გუნდები მონაწილეობდნენ თურქეთისა და საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირებში. ბათუმსა და თბილისში მოეწყო პლაჟის ფრენბურთის სპეციალური მოედნები...

ბოლო წლებში ჩვენი პლაჟბურთელები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში.

ვინ რა თქვა...

„უწინაც და ხშირად ახლაც ნიჭიერი ფეხბურთელები დამოუკიდებლად იზრდებოდნენ და იზრდებიან იქაც, სადაც არც ფეხბურთის სკოლები იყო, არც კვალიფიციური პედაგოგ-მწვრთნელები ჰყავდათ, არც რაიმე ინვენტარი ან დღევანდელი გაგებით ნორმალური პირობები ჰქონდათ ფეხბურთში სამეცადინოდ“.

**ავთანდილ ჭკუასელი**

თარიღი

### 24 - 30 ნოემბერი

**24. 1986 წ.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ჩეხოსლოვაკიურ ტურნეში ქ. ოლომოუცში 1:1 ითამაშა ადგილობრივ „სიგმასთან“.

**24. 1955 წ.** დაიბადა **დილარ ხაბულიანი** - ძიუდო.

**24. 1929 წ.** დაიბადა **შოთა ინწკირველი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**24. 1908. წ.** დაიბადა **ედუარდ ნეგრებეცკი** - ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1985 წელს.

**25. 1936 წ.** დაიბადა **გურამ მინაშვილი** - კალათბურთი. დაბადების 75 წელი.

**25. 1941 წ.** დაიბადა **ელდარ ჩიფჩიური** - ფეხბურთი (მსაჯი). დაბადების 70 წელი.

**25. 1942 წ.** დაიბადა **რომან რურუა** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**25. 1948 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ისელიძე** - წყალბურთი.

**26. 1905 წ.** დაიბადა **ვიქტორ გოგლიძე** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1964 წელს.

**26. 1983 წ.** დაიბადა **ბაადურ ჯობავა** - ჭადრაკი.

**29. 1920 წ.** დაიბადა **დავით ჩირაძე** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**30. 1988 წ.** ბორის პაიჭაძე დასახელდა თბილისის საპატიო მოქალაქედ.


გურამ მინაშვილი

ვიქტორინა

**1. რომელია დავით ქუბრიაშვილის გუნდი?**

ა - „კლერმონი“
ბ - „ტულონი“
გ - „ბრივი“

**2. ქართველი მორაგბეებიდან ვინ თამაშობს ფრანგულ „ბრივში“?**

ა - გორგოძე, კაკოვინი, შველიძე
ბ - ჟღენტი, ხინჩაგაშვილი, შეყლაშვილი
გ - ხინჩაგაშვილი, კაკოვინი, ნატრიაშვილი

**3. რომელი გუნდია საქართველოს მოქმედი ჩემპიონი?**

ა - „არმია“
ბ - „ლოკომოტივი“
გ - „აია“

**4. რომელი გუნდი იყო საქართველოს 2011 წლის ჩემპიონატის დებიუტანტი?**

ა - „ივერია“
ბ - „არმია“
გ - „არმაზი“

**5. რომელი მორაგბე დაუბრუნდა საფრანგეთიდან ქუთაისის „აიას“?**

ა - პალიკო ჯიმშელიძე
ბ - კახაბერ უჩავა
გ - ირაკლი გიორგაძე

პასუხები: 1 - ბ, 2 - ბ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - ბ.

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საბაგირო გზა გუდაურზე ადრე დაამონტაჟეს მლეთაში 1976 წელს, რომელიც მომდევნო წლის სექტემბერში ლვარცოფმა წალეკა.

**პირველმა** ევროპის ჩემპიონის ტიტული როგორც საქართველოდან, ისე საბჭოთა კავშირიდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოიპოვა **კონსტანტინე კობერიძემ** 1947 წელს ქ. პრაღაში.

**პირველად** ტელესაჭადრაკო ჟურნალი საქართველოს ტელევიზიით ეთერში გავიდა 1968 წლის 28 მაისს.








კადრები ფილმიდან ფეოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჭადრაკი

# მელაშვილი დაწინაურდა


ნინო მელაშვილი

თბილისელი ოსტატი **ნინო მელაშვილი** საქართველოს 1977 წლის ჩემპიონია, მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. ბოლო წლებში სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა. წლეულს პირველად მონაწილეობს სენიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში. დებიუტი წარმატებული გამოდგა: ხორვატიაში მან რვიდან ოთხ მეტოქეს სძლია, ამდენივეს დაუზავდა და ექვსი ქულით შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე ერთპიროვნულად დაწინაურდა. გუშინ იგი ჩემპიონატის ლიდერ ლუდმილა საუნინას შეხვდა. რუსი დიდოსტატისთვის მე-8 სვლაზე ნათამაშები ლh4 საბედისწერო აღმოჩნდა - მელაშვილმა ათი სვლის შემდეგ ლაზიერი გამოიჭირა და საუნინა 32-ე სვლაზე იძულებული გახდა, ქართველი მოჭადრაკისთვის გამარჯვება მიელოცა.

მერვე ტურში წარმატებას მიაღწია სეით ტიფსეიმ (ინდოეთი), რომელმაც სვეტლანა მედნიკოვას (რუსეთი) სძლია. დაზავდნენ: **თამარ ხმიადაშვილი-ნონა გაფრინდაშვილი**, გალინა სტრუტინსკაია-ელენა ფატალიბეკოვა (ორივე - რუსეთი).

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ბილუნოვა-მელაშვილი, ტიფსეი-სტრუტინსკაია, საუნინა-ხმიადაშვილი, გაფრინდაშვილი-კოზლოვსკაია, ფატალიბეკოვა-კაბანოვა, მირა-ლოპატინა. მედლების მფლობელები სწორედ ამ შეხვედრებში გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

# მერი არაბიძე ფავორიტთან დამარცხდა

ბრაზილიაში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრების მონაწილეებმა რუბიკონი გადალახეს. 18-წლიანთა მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ამ ასაკში რეიტინგფავორიტი რუსი დიდოსტატი ალინა კაშლინსკაია და თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი **მერი არაბიძე**. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი თეთრი ფიგურებით თამაშობდა და მან დებიუტში მიღწეული უპირატესობა ბოლომდე გამოიყენა - გათამაშების ცხრილში მე-6 გამარჯვება ჩაიწერა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: პეტრა პაპი (უნგრეთი) - ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, ალთანულზი ენხთუული (მონგოლეთი) - ხაიალა აბდულა (აზერბაიჯანი) 1:0, მიტრა ნეჯაზიპური (ირანი) - კატარზინა ადამოვიჩი (პოლონეთი) 0:1, დიანა ბასიუ (მოლდოვა) - ანია შულცი (გერმანია) 1:0, დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი) - სარანია (ინდოეთი) 1:0, ფლავია კანსიო-ბელო (არგენტინა) - თი კიმ ჰუნგ ვო (ვიეტნამი) 0:1.

ამდენად, 5 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ კაშლინსკაია ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ენხთუული, შვიდ მოჭადრაკეს, მათ შორის - არაბიძეს, 4-4 ქულა აქვთ. მე-6 ტურში ისინი ასე დაწყვილდნენ: ენხთუული - კაშლინსკაია, არაბიძე - ბასიუ, ჰუნგ ვო - პაპი, კაზიმოვა - სადუაკასოვა, ადამოვიჩი - ჰაკიმიფარდი.

14-წლიან გოგონებში მესამე გამარჯვება იზეიმა **ნინო ხომერიკმა** - თეთრი ფიგურებით ლაურა ჰაიბლერი (ავსტრია) დაამარცხა. ამ ასაკშიც უდანაკარგოდ რუსი ალექსანდრე გორიაჩკინა ლიდერობს. სამ მოჭადრაკეს 4,5-4,5, ექვსს კი - 4-4 ქულა აქვს. მე-6 ტურში ხომერიკი შავებით აპურვა ვირკურდს (აშშ) შეხვდება. დანარჩენი ასაკის გოგონებში ლიდერობენ: **16-წლიანებში:** ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი), ანდრეა როდრიგესი (კოლუმბია), მარია ტანციურა (უკრაინა), ჰანამარი კლეკი (გერმანია) - 4,5-4,5 ქულა; **12-წლიანებში:** ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი, 5), **10-წლიანებში:** ალექსანდრა ობოლენცევა (რუსეთი, 5), **8-წლიანებში:** მაი ხან თრანი (ვიეტნამი) და აკშაია ბომინი (ინდოეთი) - 5-5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# სრული კატასტროფა



ერთი სული გვაქვს, როდის მორჩება წლის უკანასკნელი ბაშო კუნძულ კიუშუზე, რომელიც უპრეცენდენტოდ წარუმატებელია სამი ქართველი სუმოისტისთვის. ბოლოს ჩვენებურმა სუპერტურნირის მე-7 დღეს გაიმარჯვა (გუშინ კი მე-11 დღე იყო). მას მერე **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ზედიზედ 4 ორთაბრძოლა წააგო, **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** - 6, ხოლო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** - 7. საერთო ჯამში 33 შეხვედრიდან 29 მარცხი - ასეთია ქართველთა „მონაგარი“.

იმპერატორის თასისთვის ბრძოლაც კარგავს ინტრიგას - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** 11 მოგებით ძალიან დაწინაურდა, თუკი დღეს უახლოეს კონკურენტ კოტოშოგიკუს მოუგებს, პრაქტიკულად ყველაფერი დასრულდება და პრიზიც მას დარჩება.

### XI დღე

ჰაკუჰო-კისენოსატო (იორიკირი), კოტოოშუ-ჰომაშო (იორიკირი), ტოჩინოვაკა-კოტოშოგიკუ (ჰატაკიკომი), ბარუტო-**გაგამარუ** (შიტატეჰინერი), კაკურიუ-ჰარუმაფუჯი (ოკურიდაში), ტოიონოშიმა-**ტოჩინოშინი** (ჰატაკიკომი), ოკინოუმი-არანი (ოშიდაში), გოეიდო-ტოჩიოძანი (უბრძოლველად), კიტატაიკი-კიოკუტენჰო (იორიკირი), იოშიკაძე-ფუჯიაზუმა (იორიკირი), ამინიშიკი-**კოკაი** (იორიკირი), მიაბიამა-დაიდო (ცუკიდაში), ტოკიტენკუ-ტამავაში (იორიკირი), ტაკეკაძე-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), ტაკაიასუ-საგაცუკასა (ოშიდაში), ვაკაკოიუ-სადანოფუჯი (ჰატაკიკომი), ტოიოჰიბიკი-ცურუგიდაკე (იორიკირი), მიოგირიუ-კიმურაიამა (ოშიდაში), ასასეკირიუ-კაისეი (იორიკირი), აოიამა-შოჰოზანი (კოტენაგე).

### სატურნირო მდგომარეობა

**11-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**9-2**: კოტოშოგიკუ (ოძეკი), ვაკაკოიუ (მაეგაშირა 9).

**8-3**: ბარუტო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კისენოსატო (სეკივაკე), მიაბიამა (მ 6), ტაკეკაძე (მ 7), მიოგირიუ (მ 11), აოიამა (მ 16)... **2-9: გაგამარუ** (მ 3)... **1-9: ტოჩინოშინი** (მ 2), **კოკაი** (მ 10).

### XII დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ბარუტო-ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ-კაკურიუ, კისენოსატო-**გაგამარუ**, **ტოჩინოშინი**-ჰომაშო, ტოიონოშიმა-კიოკუტენჰო, გოეიდო-არანი, ოკინოუმი-ტოჩინოვაკა, ტოიოჰიბიკი-იოშიკაძე, კიტატაიკი-ფუჯიაზუმა, **კოკაი**-საგაცუკასა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# რა ტაქტიკურმა ცვლილებამ განაპირობა სანიკიძის ორი დუბლი?

**იტალიის ჩემპიონატის მეხუთე ტურში გამოცემა „ევრობასკეტმა“ პირველობის №2 კალათბურთელად ვიქტორ სანიკიძე აღიარა, მეექვსე ტურში კი ვიქტორი მესამე იყო. ორივე შემთხვევაში სანიკიძემ ორმაგი დუბლი შეასრულა და „ვირტუსის“ გამარჯვებები განაპირობა.**

**კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ქართველ ფორვარდთან, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.**

**- ბოლო 2 მატჩია, შედეგიანად ირჯები. ამის მიზეზი სათამაშო დროის გაზრდაა, რაც, ალბათ, გუნდიდან ჯარედ ჰოუმანის გაშვებას მოჰყვა?**

- არც ჰოუმანის წასვლამდე ვთამაშობდი ცოტას. მას მერე მხოლოდ 4 წუთი მომემატა. ვფიქრობ, ჩემი გააქტიურების მიზეზი გუნდში სათამაშო სქემის შეცვლაა.

**- აქამდე რატომ არ თამაშობდით ასეთი სქემით?**

- ჰოუმანის მოედანზე ყოფნისას ასე ვერ ვითამაშებდით, რადგან ამ კალათბურთელს ყველა შეტევის დაგვირგვინება თავად სურდა. თუ პასს არ მისცემდი, ხასიათი უფუჭდებოდა. მისი წასვლის შემდეგ უფრო მეტი გასაქანი მომეცა და ეს შედეგზეც აისახა.

**- გასაგდები ყოფილა გუნდიდან...**

- ბომბარდირობის სურვილის გამო გუნდიდან არავინ გაუშვებდა. ის მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა, მაგრამ ხასიათი ჰქონდა რთული. ერთ-ერთ ვარჯიშზე კი მას ნერვებმა უმტყუნა და მწვრთნელს ეჩხუბა.

**- როგორც პრესაში ეწერა, ჰოუმანმა ალესანდრო ფინელის სახეში მოარტყა და მწვრთნელს ცხვირიდან სისხლი წასკდა...**

- ხელით ნამდვილად შეეხო, რასაც წინ სიტყვიერი დაპირისპირება უძღვოდა. მოთამაშემ არ მოუთმინა მწვრთნელს შენიშვნა და ყველაფერი აქედან დაიწყო. ამ ინციდენტის შემდეგ ჰოუმანი დაუყოვნებლივ გაუშვეს გუნდიდან.

**- მისი წასვლის შემდეგ სათამაშო ამპლუა ხომ არ შეგეცვალა?**

- ჯარედი ცენტრი იყო და ფარქვეშ ბრძოლისას ერთმანეთს ვეშველებოდით. ახლა სამწამიანში გაცილებით მეტი ძალისხმევა მმართებს და მიხარია, რომ ამოცანას თავს კარგად ვართმევ. ამჯერად უფრო იმაზეა ჩემი პოზიცია დამოკიდებული, როგორ წამივა თამაში. შემიძლია „პიკენროლი“ ვითამაშო, ან სამწამიანიდან შევუტიო, პერიმეტრზე ავიდე და ასე შემდეგ. სადაც უფრო კომფორტულად ვიგრძნობ თავს შეტევაში, იქ ვთამაშობ. აქამდე ასე არ იყო. ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ გუნდი იგებს და ჩემს შედეგიანობას ფასი ემატება.

**- ბოლო მატჩებში გამარჯვებით ცხრილშიც საკმაოდ დაწინაურდით...**

- ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ ბოლოსწინა ტურში, როცა ბოლონიაში ძლიერი „ვარეზე“ დავამარცხეთ. ამ გუნდს ბოლო 4 თამაში მოგებული ჰქონდა და ბოლონიაშიც დიდი ამბიციით ჩამოვიდა, თუმცა ვერაფერს გახდა. გასულ ტურში კი „მონტეგრანაროს“ სტუმრად ვაჯობეთ. მართალია, ეს გუნდი გასულ ტურებში სუსტად თამაშობდა, მაგრამ მაინც სახიფათო იყო. ხელმძღვანელობამ რამდენიმე ცვლილება განახორციელა და ჩვენთან გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს. საბედნიეროდ, გამარჯვებას მაინც მივაღწიეთ.

**- ასეთი წარმატებული თამაშით იტალიის ლიგის „ოლ სტარში“ სავარაუდოდ პირდაპირ მოხვდები...**

- ამაზე არ ვფიქრობ. არც კი ვიცი, როდის და საერთოდ გაიმართება თუ არა იტალიაში ყველა ვარსკვლავის მატჩი. ჩემთვის მნიშვნელოვანი ფორმის შენარჩუნება და გუნდის გამარჯვებაა.

**- მომავალზე რას ფიქრობ, ბოლონიურ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს გიმთავრდება...**

- ამაზე ჩემი მენეჯერი მუშაობს. ვიცი, რომ თუ ასე განვაგრძობ, მსურველები აუცილებლად გამომიჩნდებიან. ამ საკითხზე უფრო სეზონის მეორე ნახევრიდან ვიფიქრებ, არაა გამორიცხული, რომელიმე გუნდთან წინასწარი, არაოფიციალური კონტრაქტი სეზონის დასრულებამდე გავაფორმო.

**- იყო საუბარი „არმიაში“ გადასვლასთან დაკავშირებით...**

- როგორც ვთქვი, მოქმედი ხელშეკრულება მაკავშირებს „ვირტუსთან“ და თუ რომელიმე გუნდს ჩემი შემატება უნდა, ბოლონიელებისგან ჩემი კონტრაქტი უნდა გამოისყიდოს. თუ ამას „არმია“ გააკეთებს, სიამოვნებით ვითამაშებ ამ კლუბში. ისე კი, ძალიან სასიამოვნოა, რომ ქართული კლუბი ევროპულ ასპარეზს დაუბრუნდა და საკმაოდ წარმატებულადაც. არმიელების თამაშებს თვალს ვადევნებ და კოტე ტულუშსაც მივულოცე სადებიუტო მატჩში გამარჯვება.

**- ბოლონიური კლუბი არ გელაპარაკება კონტრაქტის გახანგრძლივებაზე?**

- როგორც ვიცი, სურთ, რომ გუნდში დავრჩე, მაგრამ ჯერ კონკრეტული საუბარი არ ყოფილა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ევროთასები



# გრინისა და ჰოსლის მეორე გამარჯვება

ევროთასზე ქართველებს ერთი საქომაგო ობიექტი გვყავს - „გრან კანარია“, რომელშიც საქართველოს ნაკრების ორი ნატურალიზებული კალათბურთელი თამაშობს. **ტორინ გრინმა** და **მარკიზ ჰეინსმა** მეორე ტურში ესპანელთა ფრანკფურტულ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშეს. „გრან კანარიამ“ „სკაილაინერსი“ 71:58 დაამარცხა.

მარკიზი სასტარტო ხუთეულში იყო და ოქმში მის გასწვრივ 8 ერთიანი დაფიქსირდა. თავად დათვალეთ: 28:21 წუთი, 11 ქულა (5-დან 1 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი), 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 ფოლი მეტოქეს.

გრინი შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ჰეინსზე 2 ქულით მეტი მოაგროვა - 25 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი. სამქულიანი დისტანციიდან გრინმაც მაღალი შედეგიანობით ისროლა: 3-დან 2.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა ტორინ გრინი იახლა. აი, რა თქვა ქართული პასპორტის მქონე გამთამაშებელმა:

*- ევროთასზე ნებისმიერი მატჩის მოგება რთულია, განსაკუთრებით გასვლითი შეხვედრებისა. პირველ ტაიმში მეტოქეს თამაშის საშუალება მივეცით, მეორე ნახევარში კი დაცვაში უკეთ გავისარჯეთ და დამსახურებულად მოვიპოვეთ მეორე გამარჯვება.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

GBF
სუპერ ლიგა
VII ტური
25 ნოემბერი
ბათუმი
ბათუმი-დინამო 17:00
25 ნოემბერი. რუსთავი
რუსთავი-ოლიმპი 15:00
26 ნოემბერი
სპორტის სასახლე
სოხუმი-ქუთაისი 14:00
სტუ-არმია 16:00
თსსუ-თსუ 18:00

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახალი თაობა

# მომავალშიც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ

ქუთაისის „აიასა“ და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფულბეკს **ზურაბ ძნელაძეს** წლეულს გამორჩეული სეზონი ჰქონდა. 19 წლის მორაგბემ ახლახან ნაკრებთან ერთად ევროპის პირველობაზე წარმატებით ითამაშა და კლუბშიც კარგად ასპარეზობდა. მიუხედავად იმისა, რომ „აიას“ საქართველოს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, ის მიმდინარე სეზონს წარმატებულად მიიჩნევს.

- რაგბის თამაში ქუთაისში, 27-ე რაგბის სპეციალიზებულ სკოლაში დავიწყე. პირველი მწვრთნელი დავით გორდულაძე იყო. ოვალური ბურთით თამაში ძალიან შემიყვარდა და გადავწყვიტე, რომ რაგბის ბოლომდე გავყოლოდი.

**- „აიაში“ როდის მიგიწვიეს?**

- „აიაში“ ორი წლის წინ ამიყვანეს. მანამდე, ბესიკ ხამაშურიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა რაგბის აკადემია. ერთი წელიწადი აკადემიაში ვიყავი, შემდეგ ხამაშურიძე „აიას“ მოთამაშე მწვრთნელი გახდა და გუნდში მეც მიმიწვია. გასულ სეზონში უმაღლეს ლიგაში დებიუტი მქონდა. შარშან ჩატარებულ შეხვედრებში დიდი გამოცდილება მივიღე.

**- ბოლო ორი წელიწადია, „აია“ პროგრესის გზას ადგას, ალბათ ეს ახალი თაობის დამსახურებაცაა?**

- გუნდში ჯანსაღი სიტუაციაა და დისციპლინა მაღალ დონეზეა. ყველამ თავისი საქმე იცის, ახალგაზრდები რომ კარგად შევეწყვეთ გუნდს, ეს მწვრთნელებისა და ვეტერანი მორაგბეების დამსახურებაა. ამ ორი სეზონის განმავლობაში მართლაც ბევრი რამე ვისწავლეთ. პროგრესიც აშკარაა. გასულ წელს ოთხეულში მოვხვდით, წლეულს კი ჩემპიონატის ფინალში ვითამაშეთ.

**- წლეულს ჩემპიონობას ისახავდით მიზნად, მაგრამ ფინალში „არმიასთან“ დამარცხდით...**

- სამწუხაროდ, ფინალში ვერ ვითამაშე. ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი გაშორებს და ამ დროს მარცხდები, მაგრამ სეზონი მაინც წარმატებულად მიმაჩნია, რადგანაც ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი მიზანი ოთხეულში მოხვედრა იყო. შემდეგ, როცა რეგულარულ გათამაშებაში დაუმარცხებლად ვასპარეზობდით, დავრწმუნდით, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო და მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად ვშრომობდით, მაგრამ არ გაგვიმართლა. ფინალში „არმიასთან“ თანაბარ ბრძოლაში წავაგეთ.

**- როგორ ფიქრობ, „აია“ გაისადაც შეინარჩუნებს სტაბილურობას?**

- ჩვენს გუნდს აქვს პოტენციალი, რომ მომავალ წელსაც ჩემპიონობისათვის იბრძოლოს.

**- კლუბში თამაშის პარალელურად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრიც ხარ და ალბათ, ეროვნულ გუნდში მოხვედრაზეც ოცნებობ...**

- ამაზე ყველა ქართველი მორაგბე ოცნებობს და არც მე ვარ გამონაკლისი. ასაკობრივ ნაკრებებთან ერთად სამჯერ ვითამაშე ევროპის ჩემპიონატზე. ბოლოს რუმინეთში 19-წლამდელებმა ევროპის პირველობა მოვიგეთ და მომავალ წელს გასამართი 20-წლამდელთა „მსოფლიო ალაფის“ საგზური მოვიპოვეთ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნაკრებში ადგილი სამომავლოდაც დავიმსახურო.

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ლეგიონერები

# ესპუარებში ორი ლიდერი გვყავს

საფრანგეთის ესპუართა, ანუ სათადარიგო გუნდების შეჯიბრებაში ხუთი ტურის შემდეგ A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, „კლერმონი“ და „ტულონი“ ლიდერობს.

**ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონმა“ შინ გაანადგურა ფრანგული რაგბის გრანდის, „ტულუზის“ სათადარიგო გუნდი - 40:13. „უმცროს ვულკანებს“ 19 ქულა დაუგროვდათ, სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე არიან და ერთი ქულით უსწრებენ მეორეადგილოსან **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“, რომელმაც შინ მოუგო **დავით ლოსაბერიძის** „პოს“ - 23:16. ჩვენებურის ეს გუნდი 8 ქულით მე-7 ადგილზეა.

**A ჯგუფი**

**V ტური**

პერპინიანი-მონპელიე 29:18, ტულონი-პო 23:16, კლერმონი-ტულუზი 40:13, ბურგუენი-აჟენი 37:25, ბაიონი-ლიონი 23:23

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 19 ქულა, 2. ტულონი - 18, 3. ბაიონი - 14, 4. პერპინიანი - 13, 5. აჟენი - 13, 6. ბურგუენი - 11, 7. პო - 8, 8. მონპელიე - 5, 9. ლიონი - 4, 10. ტულუზი - 4.

**VI ტური**

ტულუზი-პერპინიანი, პო-კლერმონი, ლიონი-მონპელიე, აჟენი-ტულონი, ბაიონი-ბურგუენი.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა“, რომელიც 10 ქულით მე-6 ადგილზეა, სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „ლა როშელთან“ - 17:43. „ალპელებს“ ერთი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მე-7 საფეხური უკავია **ირაკლი მირცხულავას** „ტარბს“, რომელმაც შინ მოუგო „მეტრო რასინგს“ - 54:29.

**B ჯგუფი**

ტარბი-მეტრო რასინგი 54:29, ნარბონი-ბიარიცი 25:23, ლა როშელი-გრენობლი 43:17, სტად ფრანსე-ბრივი 32:20, ბორდო-კასტრი 16:30.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 21 ქულა, 2. ლა როშელი - 19, 3. ნარბონი - 16, 4. ბიარიცი - 14, 5. კასტრი - 11, 6. გრენობლი - 10, 7. ტარბი - 9, 8. ბრივი - 8, 9. ბორდო - 5, 10. მეტრო რასინგი - 2.

**VI ტური**

ბიარიცი-ბრივი, კასტრი-სტად ფრანსე, გრენობლი-ბორდო, მეტრო რასინგი-ლა როშელი, ნარბონი-ტარბი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარცხნივ ვიქტორ კოლელიშვილი

● კვირის ამბები



# ვინ ზევით, ვინ ქვევით

**გასული კვირა დახუნძლული იყო სარაგბო სიახლეებით. უქმეებზე კი ევროთასების გათამაშების მორიგი ტური გაიმართა. საინტერესოა, ვინ გამოიჩინა და ვინ შეირცხვინა თავი.**

## წარმატებულები

**რონან ოგარა (მანსტერი):** „ბებერი რონი“ არასდროს იყო პოპულარული ირლანდიის საზღვრებს გარეთ. ძირითადად ალბათ იმიტომ, რომ მას ჩვევად ექცა, მეტოქეს გამარჯვება ბოლო წამებზე გამოსტაცოს ხელიდან. „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში ოგარამ ჯერ ინგლისური „ნორსჰემპთონი“, შემდეგ კი ფრანგული „კასტრი“ დაამწუხრა მატჩის ბოლო წუთზე გატანილი დიდოსტატური არეკნით. ის მშიშარა არასდროს ყოფილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოსტატობასთან ერთად, რკინის ნერვებიც ჰქონია.

**ლენსტერი (ირლანდია):** „ჰეინეკენის თასის“ გათამაშების პირველ ტურში „მონპელიესთან“ ფრად დასრულებული მატჩის შემდეგ „ლენსტერმა“ მეორე ტურში შოტლანდიურ „გლაზგოს“ თამაში საწყის 25 წუთში დაუმთავრა. ირლანდიელებმა დროის ამ მონაკვეთში ოთხი ლელო გაიტანეს და ერთი პრემიალური ქულაც დაიბევეს. მოკლედ, უფრთხილდით ბიჭებს დუბლინიდან.

**ჰლანეჰლი, ედინბურგი, ლესტერი, ტულუზი, ჰარლიქუინზი** - ესენი ის გუნდები არიან, რომლებმაც ევროთასებზე ორიდან ორივე მატჩი მოიგეს და შესაბამისად თავიანთ ჯგუფებში გალიდერდნენ. განსაკუთრებით ხაზგასმით აღსანიშნავია შოტლანდიური „ედინბურგის“ წარმატება, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ირლანდიელი **მაიკ ბრედლი** თავკაცობს.

**ბიარიცის შერკინება:** ბასკურმა გუნდმა წლევანდელ სეზონში შინ პირველად გაიმარჯვა. „ბიარიცმა“ არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის ჩემპიონი „სარასენზი“ დაამარცხა. ამას ბასკებმა, ძირითადად, შერკინებაში მოპოვებული უდიდესი უპირატესობის წყალობით მიაღწიეს. 36 წლის **სილვენ მარკონემ** ყველას დაუმტკიცა, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია მძიმე ჭაპანის ზიდვა, როცა ამის საჭიროება ვითარებამ მოითხოვა.

ალსანიშნავია, რომ ტრავმის გამო არ უთამაშია, ბასკების ერთ-ერთ ლიდერს, ქართული წარმოშობის ცხრა ნომერ **დიმიტრი იაშვილს**.

## შერცხვენილები

**ემლინ ჩელენჯ კაპი:** 49:3... 59:6... 68:0... ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ანგარიშით დასრულებული მატჩებისა, რომლებიც გასულ უქმეებზე „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში გაიმართა. ცხადია, ამ ტურნირის ჩატარებას, რომელიც „ჰეინეკენის თასის“ გათამაშების შემდეგ პრესტიჟით მეორე საკლუბო შეჯიბრებაა, აზრი აქვს, რადგან მასში შეიძლება დაოსტატდნენ მეორე ეშელონის ქვეყნების გუნდები. მაგრამ, შესაძლოა, უკეთესი იქნებოდა, თუ ის სხვა, ყველასათვის უფრო მისაღები ფორმატით ჩატარდებოდა.

მაგალითად, გასულ უქმეებზე პარმაში, ადგილობრივი „კროკიატისა“ და ინგლისური „ვორსტერის“ მატჩს სულ 300 ქომაგი ესწრებოდა. არადა ინგლისურ კლუბს იტალიაში გატარებული უქმეები საკმაოდ ძვირი დაუჯდა. ცხადია, კარგია კონკურენცია, მაგრამ მაშინ, როცა გიგანტი „სტად ფრანსე“ შინ „ბუქარესტს“ ანადგურებს, ყველანაირი ინტერესი იკარგება.

იქნებ ტურნირის სამსაფეხურიანი სტრუქტურა წინ გადადგმული ნაბიჯი გამოდგეს?

**ჟაკ დელმასი:** ის ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი მწვრთნელია. ჟაკ დელმა 2008 წელს „ბიარიციდან“ გაათავისუფლეს, 2010 წელს „სტად ფრანსეში“ სულ რაღაც ექვსი თვე იმუშავა, ახლახან კი ოთხთვიანი მოღვაწეობის შემდეგ კატალონური „პერპინიანიდან“ გაუშვეს. შეგახსენებთ, რომ ეს სამი კლუბი ბოლო წლებში საფრანგეთში ყველაზე წარმატებულები არიან. წარმოუდგენელია, იმ თითქმის იდეალურ სტრუქტურაში, რომელიც მათ აქვთ აწყობილი, საქმეს თავი როგორ ვერ უნდა გაართვა.

როგორც ამბობენ, ინლისში ნაკრების მწვრთნელს ეძებენ....

**ნიულენდს სთედიუმი:** „ბიარიცი“ და „სარასენზი“ მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ. თუმცა მათ იმედი გაუცრუვდათ. შეხვედრა კეიპთაუნში ფართო, ნათელი, ულტრათანამედროვე „რენდ კეიპთაუნ სთედიუმის“ ნაცვლად, ტყეპარკში მდებარე ძველ, ნესტიან, ჩამოძონძილ „რაგბის სახლში“ გაიმართა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● მსოფლიოს თასის ექო

# მუდი ინფორმაციის გაჟონვას გმობს

ინგლისის ნაკრები და მისი პრობლემები მსოფლიოს სპორტული პრესის ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება. „ვარდების“ ყოფილმა კაპიტანმა **ლუის მუდიმ** ახლახან კომენტარი გააკეთა იმ ინფორმაციაზე, რომელმაც ნაკრების ბანაკიდან გაჟონა და ასეთი აურზაური გამოიწვია.

*„კიდევ ერთხელ მწყდება გული, რომ ნაკრების ბანაკიდან ინფორმაციამ გაჟონა. არადა ყველაფერი კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამას თავისი პოლიტიკისთვის იყენებენ.*

*ერთმნიშვნელოვნად უნდა განვაცხადო, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნობა ჩემთვის უდიდესი პატივი იყო და არის. დარწმუნებული ვარ, ჩემს სამუშაოს პირნათლად ვასრულებდი, მაგრამ თუ ზოგიერთ მოთამაშეს ჰგონია, რომ არასათანადოდ გავისარჯე, ეს მათი უფლებაა.*

*საკუთარ თამაშს, საქმიანობას ყოველთვის კრიტიკულად ვუდგებოდი. მსოფლიოს თასის გათამაშებისას იყო გარკვეული დეტალები, რასაც სხვაგვარად გავაკეთებდი. ახლა გამოცდილება უკვე მაქვს და იმედია, რომ სხვებიც იმავეს გააკეთებენ.*

*შემდეგი რამდენიმე თვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინგლისური რაგბისთვის. ვფიქრობ, რომ ინგლისის რაგბის კავშირი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ნაკრების ახალი მწვრთნელის არჩევისას.*

*მე ნაკრებიდან წავედი და ახლა მთლიანად „ბასიში“ საკლუბო კარიერაზე ვარ კონცენტრირებული. თუმცა არც ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე ვიტყოდი უარს“* - თქვა ლუის მუდიმ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1


რობერტ კუბიცა

# ოფიციალურად: კუბიცა სეზონის სტარტს გამოტოვებს

პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** ფრანგულ საჯინიბო „ლოტუს-რენოს" აცნობა იმის შესახებ, რომ თებერვლის ავარიის შემდეგ ინტენსიური აღდგენითი პროგრამის მიუხედავად, ის ჯერ მზად არ არის რბოლებში დასაბრუნებლად. პოლონელ პილოტს დამატებითი დრო დასჭირდება, თუმცა უკვე შეუძლია სხვების დაუხმარებლად გადაადგილება, ხელისა და მაჯის ხმარება...

პილოტის მენეჯერი **დანიელ მორელი** მოლაპარაკებებს აწარმოებს „ლოტუს-რენოსთან" მომავალი სეზონის კონტრაქტთან დაკავშირებით, ხოლო ფრანგული საჯინიბო კი პოლონელი პილოტის ყველაზე ოპტიმალური შემცვლელის ძებნით არის დაკავებული.

„ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში დაძაბული მუშაობა მქონდა, მაგრამ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჯერ მზად არ ვარ მომავალ სეზონში რბოლებში მონაწილეობისთვის. დავურეკე გუნდის ხელმძღვანელობას და სიტუაცია ავუხსენი. ჩემთვის რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე გონივრული ვარიანტია. გარდა ამისა, ვიცი, რომ გუნდმა უკვე აქედანვე უნდა დაიწყოს მზადება მომდევნო სეზონისთვის, ამიტომაც არასწორი იქნებოდა ჩემი დაბრუნების თარილის მუდმივად წინ გადაწევა.

ალდგენითი პროცესით კმაყოფილი ვარ. ჩემი ექიმები კვლავაც გაოცებულნი არიან გამოჯანმრთელების ტემპებით, მაგრამ დიდი დრო დამჭირდება, რადგან აბსოლუტურად მზად უნდა ვიყო რბოლებში დაბრუნების მომენტში.

ვწუხვარ, რომ ხშირად არ გაწვდიდით ინფორმაციას ჩემი მდგომარეობის შესახებ. მადლობას ვუხდი მეგობრებსა და ჟურნალისტებს იმისთვის, რომ გაგებით მოეკიდნენ ამ სიტუაციას. მათი დახმარებით გადავლახე ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე რთული პერიოდი", - განაცხადა რობერტ კუბიცამ.

„მთელი ჩვენი გუნდი ძალიან იმედგაცრუებულია. იმედი გვქონდა, რომ კუბიცა შეძლებდა მომავალი სეზონის პირველ რბოლაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მან აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა. ჩვენ კვლავინდებურად მხარს ვუჭერთ მას და ყველანაირად დავეხმარებით. მას ელის ფორმის ალდგენის პროგრამა, რომელშიც შედის სიმულატორზე მუშაობა და ტესტები ფორმულა 1-ის მანქანაზე.

ჩვენ კი მოლაპარაკებებს ვიწყებთ რამდენიმე პილოტთან, რათა მაქსიმალურად სწრაფად გავარკვიოთ შემადგენლობა მომავალი სეზონისთვის. კუბიცა მაშინვე დაუბრუნდება გუნდს, როგორც კი ამის შესაფერისი მომენტი დადგება. გუნდის 520 თანამშრომლის სახელით მას სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ", - ამბობს „ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელი **ერიკ ბუიე**.

ოლიმპიზმი


ჩინეთი მზად არის

# ჩინეთი ლიდერია

გასულ კვირას ინგლისის ქალაქ შეფილდში ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა და ამით პრაქტიკულად დასრულდა საზაფხულო სპორტის სახეობების სეზონი.

საინტერესოა, როგორ გამოიყურება ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობა ლონდონის ოლიმპიადის წინ. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის აქ მოყვანილი ცხრილი, რომელიც წელს, სპორტის სხვადასხვა საზაფხულო სახეობაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატების შედეგების მიხედვით არის შედგენილი.

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 40 | 27 | 27 | 94 |
| 2. აშშ | 33 | 19 | 22 | 74 |
| 3. რუსეთი | 27 | 22 | 23 | 72 |
| 4. იაპონია | 12 | 12 | 13 | 37 |
| 5. საფრანგეთი | 12 | 8 | 16 | 36 |
| 6. გერმანია | 11 | 16 | 17 | 44 |
| 7. ავსტრალია | 11 | 12 | 6 | 29 |
| 8. იტალია | 11 | 7 | 11 | 29 |
| 9. ბრიტანეთი | 10 | 21 | 13 | 44 |
| 10. კენია | 7 | 6 | 4 | 17 |
| 11. ირანი | 7 | 3 | 4 | 14 |
| 12. ზელანდია | 6 | 4 | 5 | 15 |
| 13. უკრაინა | 6 | 3 | 9 | 18 |
| 14. ბრაზილია | 5 | 4 | 5 | 14 |
| 15. კორეა | 5 | 3 | 13 | 21 |
| 16. ბელარუსი | 4 | 5 | 6 | 15 |
| 17. უნგრეთი | 4 | 4 | 5 | 13 |
| 18. იამაიკა | 4 | 4 | 1 | 9 |
| 19. აზერბაიჯანი | 4 | 3 | 7 | 14 |
| 20. საბერძნეთი | 4 | 2 | 1 | 7 |
| 21. კანადა | 3 | 8 | 3 | 14 |

ფორმულა 1

# ასიანი მასა


ფელიპე მასა

მომავალ უიქ ენდზე ბრაზილიის „ინტერლაგუშის" ტრასაზე ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი გაიმართება. ეს რბოლა გამორჩეულია „ფერარის" მეორე პილოტისთვის **ფელიპე მასასთვის**. ბრაზილიელი „სკუდერიას" ბოლიდით მეასედ გავა სტარტზე.

მასა მესამე პილოტია „ფერარის" ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. ფელიპეზე მეტი სტარტი წითელი ბოლიდით მხოლოდ ორ ავტომრბოლს ჰქონდა - **მიხაელ შუმახერსა** და **რუბენს ბარიკელოს**, რომლებმაც შესაბამისად, 179-ჯერ და 102-ჯერ დაიცვეს „სკუდერიას" ღირსება.

ჯერ კიდევ ბავშვობაში ვოცნებობდი, რომ ჩემს ავტოფარეხში „ფერარის" ბოლიდი მდგარიყო. და როცა პირველად მოვკარი თვალი ამ ავტომობილს ტრასაზე, გავიფიქრე, რომ ეს ჩემი ოცნების ასრულების დასაწყისი იყო. სწორედ ამიტომაც არის განსაკუთრებული ჩემთვის ის, რომ ახლა „ფერარის" ოჯახის ნაწილი ვარ. დაჯერებაც კი მიჭირს, რომ ამ გუნდის რიგებში მეასე რბოლა უნდა ჩავატარო, რითაც სკუდერიას ლეგენდარული პილოტების გვერდით დავიკავებ ადგილს... - განაცხადა ბრაზილიელმა პილოტმა.

ფელიპეს ბრაზილიის გრანპრი ორჯერ აქვს მოგებული - 2006 და 2008 წლებში. ის ამჯერადაც იმედოვნებს საშინაო ტრასაზე წარმატებით გამოსვლას, რაც მასასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ბრაზილიელმა აშკარად ჩააგდო წლევანდელი სეზონი - განვლილ 18 რბოლაში ერთხელაც ვერ შეძლო პოდიუმზე ასვლა.

თუმცა ასეთი წარუმატებელი სეზონის მიუხედავად, „ფერარის" ხელმძღვანელობა მაინც ენდობა ბრაზილიელს და მას 2012 წლის სეზონშიც მისცემს თავის გამოჩენის შანსს.

რაც შეეხება მომავალ რბოლას, ის ასევე მნიშვნელოვანი იქნება მასას თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოსთვის**, რომელიც ვიცე-ჩემპიონის ტიტულისთვის ებრძვის „მაკლარენის" პილოტს **ჯენსონ ბატონს**. ეს უკანასკნელი სეზონის დასკვნითი ეტაპის წინ ათ ქულას უგებს ალონსოს. სწორედ ეს არის წლის ბოლო გრანპრის მთავარი ინტრიგა.

# სტარტი შუმახერისაა


მიხაელ შუმახერი

ფორმულა 1-ის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე სეზონის შესახებ რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი გამოქვეყნდა.

როგორც გაირკვა, 2011 წელს "მერსედესის" პილოტი **მიხაელ შუმახერი** საუკეთესო იყო სტარტზე მოგებული პოზიციების მხრივ - მთელი წლის განმავლობაში უკეთესი სასტარტო თვისებების წყალობით ჯამში 34 პოზიცია მოიგო.

ამ რეიტინგში ბოლო ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** - მხოლოდ ერთი მოგებული პოზიცია, რაც სულაც არ არის გასაკვირი. საქმე ისაა, რომ "რედ ბულის" პილოტი სეზონში მხოლოდ ერთხელ არ იდგა სასტარტო ბილიკის პირველ ხაზზე.

**ლიდერები**

1. შუმახერი (მერსედესი) - 34
2. ბუემი (ტორო როსო) - 29
3. კოვალაინენი (ლოტუსი) - 28
4. ლიუცი (HRT) - 20
5. კობაიასი (ზაუბერი) - 19

■ ■ ■

უშუალოდ რბოლების დროს გასწრებების რაოდენობით ლიდერობს "ტორო როსოს" შვეიცარიელი პილოტი **სებასტიან ბუემი**. მინიმალური ჩამორჩენით მეორე ადგილზეა შუმახერი, მესამეზე იმყოფება "ზაუბერის" პილოტი **კამუი კობაიაში**.

**ლიდერები**

1. ბუემი (ტორო როსო) - 112
2. შუმახერი (მერსედესი) - 111
3. კობაიასი (ზაუბერი) - 95
4. ალგერსუარი (ტორო როსო) - 90
5. პერესი (ზაუბერი) - 89

# ფოლკსვაგენის პრიორიტეტები

"ბენტლის", "ბუგატისა" და "ფოლკსვაგენ მოტორსპორტის" ხელმძღვანელმა **ვოლფგანგ დიურჰაიმერმა** განაცხადა, რომ გერმანული ავტოგიგანტი ფორმულა 1-ში მისვლის შესაძლებლობას განიხილავს.

"ავტოსპორტის რომელ სახეობებში გამოვლენ ჩვენი ბრენდები? იმავე კითხვას მისვამენ დირექტორთა საბჭოზე და მე ყოველ ჯერზე გრძელი სიის ჩამოთვლა მიწევს - დაწყებული "სეატის" სუპერთასიდან დამთავრებული სატვირთო ავტომობილების რბოლით. 2012 წელს ჩვენი გეგმის მიხედვით, "აუდი" დარჩება იქ, სადაც არის. იგივე ეხება "პორშეს", "შკოდა" გააგრძელებს რალიში გამოსვლას. "ბენტლი" ისევ უნდა გამოჩნდეს ავტოსპორტში, რადგან ბოლო დიდი გამარჯვება ამ ბრენდმა 2003 წელს მოიპოვა.

"ფოლკსვაგენი" კი რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მივიდა. არ ვჩქარობთ პილოტების შემადგენლობის გამოცხადებას, რადგან დებიუტამდე ჯერ თითქმის ერთი წელია დარჩენილი. თუმცა უკვე დღეს შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ გუნდის ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს ითამაშებს კარლოს საინსი.

და კიდევ, ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ ფორმულა 1-ში გამოსვლის პერსპექტივას", - ამბობს დიურჰაიმერი ჟურნალ Car-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.



# კულტჰარდი შოუში გამოვა


ტოიოტა კამრი

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ 10 დეკემბერს "რედ ბული" მილტონ-კინსში სპეციალურ სარბოლო შოუს მოაწყობს, რომელიც 2011 წელს **სებასტიან ფეტელისა** და მისი გუნდის ტრიუმფს მიეძღვნება.

გუშინ, "რედ ბულის" პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ შოუპროგრამაში ფორმულა 1-ის მანქანების რბოლის გარდა სხვა საინტერესო გამოსვლებიც იქნება. მაგალითად, **დევიდ კულტჰარდი** სარბოლო "ტოიოტა კამრის" საჭეს მიუჯდება, რომელიც ამერიკის ნასკარის სერიისთვის არის განკუთვნილი, ხოლო გერმანელი კასკადიორი **კრის პფაიფერი** მოტოციკლის მართვის ოსტატობით მოხიბლავს მაყურებელს.

ავსტრიული საჯინიბო ასევე ჰპირდება მაყურებელს, რომ ქალაქ მილტონ-კინსის ცენტრში დააყენებენ სპეციალურ შოუკარს და გუნდის სპეციალისტები პოპულარულ ენაზე აუხსნიან პუბლიკას სარბოლო მანქანის მოწყობილობებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სტუმრების დღე

სამი მატჩი გაიმართა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და სამივე სტუმრების გამარჯვებით დასრულდა. ყველაზე იოლ გამარჯვებას „ტორონტომ" მიაღწია, რომელმაც გასვლაზე 7:1 გაანადგურა „ტამპა ბეი". ორივე გუნდი ცუდ ფორმაში შეხვდა აღნიშნულ შეხვედრას - მათ ბოლო ხუთ მატჩში ოთხი წაგება ჰქონდათ.

პირველ ათ წუთში გუნდებმა შაიბები გაცვალეს, რის შემდეგაც „ტორონტომ" მეტოქეს პირველი დარტყმა საწყისი პერიოდის სტარტზე მიაყენა, როცა ორი წუთის ინტერვალით ორი შაიბა გაიტანა **როლოსონის** კარში - 1:3.

მეორე პერიოდში **ჯო ქობურნმა** განავრცო თავისი გუნდის უპირატესობა, ხოლო თამაშის ბედი მესამე პერიოდის სტარტზე გადაწყდა, როცა წუთ-ნახევრის ინტერვალით **ბოჟაკმა** და **ლუპულმა** ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს და ტორონტო 6:1 დააწინაურეს.

„ტამპამ" მეტოქეზე მეტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ „ტორონტოს" მეკარემ გუსტავსონმა 28-დან 27 შაიბა მოიგერია. კანადელებმა დივიზიონში ლიდერობა ჩამოართვეს „ბოსტონს".

მოულოდნელი იყო „ლოს ანჯელესის" მოგება სტუმრად „სენტ ლუისთან", რადგან „კინგზს" ბოლო ათ მატჩში „ბლუზის" მოედანზე მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული.

ამ შეხვედრაში ბოლო მომენტამდე რთული იყო გამარჯვებულის წინასწარმეტყველება. პირველ ორ პერიოდში გუნდებმა თითო შაიბა გაიტანეს. მესამე პერიოდის მეხუთე წუთზე კი „ლოს ანჯელესი" პირველად გაიყვანა წინ **მაიკ რიჩარდსმა**. თუმცა მე-13 წუთზე ისევ აღდგა თანაფარდობა - „ბლუზმენთა" მხრიდან თავი გამოიჩინა **სობოტკამ**. ისე ჩანდა, რომ მატჩის ბედი ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ზუსტად ორ წუთში **უილი მიტჩელმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ეს იყო „სენტ ლუისის" პირველი წაგება ძირითად დროში მას შემდეგ, რაც ამ გუნდს სეზონის მსვლელობისას სათავეში ჩაუდგა ცნობილი სპეციალისტი **კენ ჰიჩკოკი**. ამ მარცხით „ბლუზი" პლეი ოფის ზონიდან გავარდა, „ლოს ანჯელესი" კი ქულებით „სან ხოსეს" გაუთანაბრდა, მაგრამ „ზვიგენებს" სამი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.


ნეშვილი-ედმონტონი

გუშინ კიდევ ერთ მატჩში ვიხილეთ მასპინძელი გუნდის განადგურება. „ედმონტონმა" პრაქტიკულად პირველ პერიოდში მოამთავრა საქმე „ნეშვილის" წინააღმდეგ.

„ოილერზმა" ექვსი წუთის ინტერვალით სამი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც მასპინძლებმა სათადარიგოთა სკამზე დასვეს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე **პეკა რინე**. პირველ პერიოდში გოლები **ჰორკოფმა, ჰემსკიმ** და **ებერლემ** გაიტანეს. აქედან ორ შაიბაში მონაწილეობა მიიღო წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, 18 წლის **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა**, რომელსაც 21 მატჩში 22 ქულა აქვს დაგროვებული.

რინეს ნაცვლად მოედანზე გასულმა „ნეშვილის" სათადარიგო მეკარემ **ლინდბაკმა** მეორე პერიოდში „მშრალად" შეინახა კარი, მაგრამ მესამე პერიოდში მანაც სამი შაიბა გაუშვა.

„ედმონტონს" კი მეკარის მხრივ პრობლემა არ ჰქონია - **დუბნიკმა** 32-დან 30 დარტყმა მოიგერია.

„ედმონტონმა" ამ მოგებით დასავლეთ კონფერენციაში ერთბაშად მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

**ტამპა ბეი-ტორონტო 1:7**

**1:3, 0:1, 0:3**

**გოლები:** 0:1 მაკარტური-7 (გარდინერი-6, ტიმ კონოლი-6), 1:1 ლეკავალიე-9 (სტემკოსი-9, მელოუნი-7), 1:2 ტიმ კონოლი-3 (კულემინი-7, ფრენსონი-3), 1:3 ბოჟაკი-3 (კესელი-14, ტიმ კონოლი-7), 1:4 ქობურნი-1 (ფრატენი-2, ლაილსი-10), 1:5 ბოჟაკი-4, 1:6 ლუპული-11 (ბოჟაკი-10, ფანოფი-14), 1:7 კრები-3 (ფრატენი-3, გარდინერი-7).

**სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 2:3**

**1:0, 0:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 სტინი-8 (ოში-8), 1:1 კოპიტარი-10 (მ. რიჩარდსი-9), 1:2 მ. რიჩარდსი-9 (ლოკტიონოვი-2), 2:2 სობოტკა-2 (დ'აგოსტინი-3, რასელი-2), 2:3 უ. მიტჩელი-1 (საიმონ განიე-7, ჯასტინ უილიამსი-13).

**ნეშვილი-ედმონტონი 2:6**

**0:3, 0:0, 2:3**

**გოლები:** 0:1 ჰორკოფი-5 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-13, ტ. ჰოლი-9), 0:2 ჰემსკი-2 (რ. სმიტი-10, ებერლე-14), 0:3 ებერლე-6 (ტ. ჰოლი-10, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-14), 0:4 ებერლე-7 (რ. სმიტი-11, შმიდი-1), 1:4 ტუტუ-1 (მ. უებერი-12, რ. სატერი-10), 1:5 პეტრი-1 (ბელანჟე-4, ჰემსკი-5), 1:6 ჰორკოფი-6 (სემ განიე-3, რ. ჯონსი-4), 2:6 ბლუმი-2 (ფიშერი-7, ტუტუ-4).

კრივი

# ვიტალის ულტიმატუმი


ვიტალი კლიჩკო

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** სამი კვირა მისცა ბრიტანელ **დევიდ ჰეის** იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა საბოლოოდ გაარკვიოს - დაასრულებს კარიერას თუ რინგზე საბრძოლველად გავა WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ. ამის შესახებ გაზეთ „დეილი მეილს" უკრაინელი მოკრივის მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განუცხადა.

ბენტეს თქმით, ვიტალი კლიჩკოს სხვა მოკრივეებთან ბრძოლის ვარიანტებიც აქვს, მაგრამ ჰეისთან შეხვედრა მისთვის პრიორიტეტულია. მენეჯერი ამბობს, რომ წარმატებული მოლაპარაკებების შემთხვევაში უფროსი კლიჩკო ბრიტანელს 2012 წლის თებერვალში ან მარტში შეხვდება.

უფრო კონკრეტულ ინფორმაციას ავრცელებს მეორე ბრიტანული გამოცემა - The Sun. ის წერს, რომ ვიტალი კლიჩკოსა და დევიდ ჰეის ბრძოლა უკვე დანიშნულია და ის 2012 წლის 3 მარტს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება. ამავდროულად, გამოცემა ამტკიცებს, რომ მხარეები კონტრაქტს სამ კვირაში მოაწერენ ხელს.

31 წლის ჰეიმ კარიერა 2011 წლის ოქტომბერში დაასრულა, თუმცა ბრიტანელმა არაერთხელ განაცხადა, რომ ისევ გავა რინგზე იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლიჩკოსთან მოლაპარაკებას შეძლებს.

კალათბურთი

# დერონის 50 ქულა

რანგითმესამე ევროტურნირის - ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა „ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა**, რომელიც ამჟამად თურქეთის „ბეშიქთაშში" თამაშობს.

თურქული კლუბი საკუთარ მოედანზე ეთამაშებოდა გერმანიის „გიოტინგენს" და 105:94 გაიმარჯვა. უილიამსმა ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა. ამერიკელმა მოედანზე 36 წუთი დაყო და ამ დროის განმავლობაში 50 ქულის დაგროვება მოეხერხა. მან 13-დან 10 ორქულიანი ტყორცნა მოათავსა კალათში, 10-დან შვიდი სამქულიანი ჩააგდო და 11-დან 9 საჯარიმო გამოიყენა. მის ანგარიშზეა აგრეთვე სამი მოხსნა და ერთი შედეგიანი პასი.

შედეგიანობის წინა პირადი რეკორდი უილიამსმა გასულ წელს დაამყარა, როცა „იუტა ჯაზის" მაისურით 42 ქულა დააგროვა „ოკლაჰომა-სიტის" წინააღმდეგ.


დერონი სარეკორდო მატჩში

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ჩელსი | 2:1 |
| ვალენსია-გენკი | 7:0 |
| არსენალი-დორტმუნდი | 2:1 |
| მარსელი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ზენიტი-აპოელ | 0:0 |
| შახტარი-პორტუ | 0:2 |
| ბატე-პლზენი | 0:1 |
| მილანი-ბარსელონა | 2:3 |

**ინგლისის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბეთი-დაგენჰემი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| უოლსოლი-ექსეტერი | 2:2 დ.დ. 3:2 |

**იტალიის თასი**

**IV რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბოლონია-კროტონე | 4:2 |
| კიევო-მოდენა | 3:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| მაგდებურგი-ჰამბურგი A | 0:3 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სელტიკი-დანფერმლაინი | 2:1 |

**დანიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნაესბი-სონდერიისკი | 1:5 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| აეკ-ლევადია | 2:1 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| გლიფადა-აელ | 1:1 პენ. 2:3 |
| რუვასი-ლარისა | 0:1 |
| აპოლონი-პანთრაკიკოსი | 0:2 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ერჩიესი-ადანა | 2:1 |
| ქართალი-გირეშუნი | 3:1 |
| თავსანლი-გაზიანთეფი ბბ | 4:2 |
| ქარსიაქა-რიზე | 2:4 |
| ქონია-ბოლუ | 1:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ლეგია-ზაგლებე | 3:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-ჟილინა | 3:3 |
| შენიცა-ტრნავა | 1:1 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| მურა-კოპერი | 1:0 |
| ტრიგლავი-ნაფტა | 1:1 |
| ოლიმპია-ცელიე | 0:0 |
| რუდარი-დომჟალე | 6:0 |
| მარიბორი-გორიცა | 2:1 |

**ხორვატიის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-ზაგრები | 1:0 |
| რიეკა-ოსიეკი | 1:2 |

**სერბეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბორაცი-სპარტაკი | 0:0 პენ. 1:0 |
| ოფკ-პარტიზანი | 0:2 |
| ვოივოდინა-იავორი | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა-სარტიდი | 4:0 |

**ბოსნიის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| მოსტარი-ველეზი | 1:1 (0:2) |
| შიროკი ბრიეგი-კრაიშნიკი | 0:0 (1:1) |
| ბორაცი-სარაევო | 0:0 პენ. 1:0 (0:0) |
| სელიკი-ჟელეზნიჩარი | 0:0 (0:2) |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| რაბოტნიჩკი-მეტალურგი | 0:1 |
| ნაპრედოკი-შკენდია | 0:0 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| იმბარურა-მანტა | 4:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ჟალგირისი | 95:82 |
| ოლიმპიაკოსი-ბილბაო | 88:81 |
| ეფესი-პარტიზანი | 67:58 |
| მონტეპასკი-უნიქსი | 73:79 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-გოვერლა | 72:69 |

**ევროლიგა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ნადეჟდა-პოლკოვიცე | 74:71 |
| უგმკ-დიორი | 97:61 |
| სპარტა-მონპელიე | 72:70 |
| ვიჩი-ბურჟი | 67:69 |
| პრაღა-ლოტოსი | 82:77 |
| გოსპიჩი-ვისლა | 65:73 |
| გალათასარაი-ვალენსია | 46:76 |
| კოშიცე-გამბრინუსი | 71:54 |
| ტარბი-ფამილა | 66:75 |
| სალამანკა-ფენერბაჰჩე | 69:77 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-კილი | 24:35 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| იუგრა-მეტალურგი (მ) | 3:5 |
| ცსკა-დინამო (რ) | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პლზენი-კარლოვი ვარი | 5:4 |
| ზლინი-სლავია | 4:3 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ტიმრა | 5:4 |
| ლულეა-ლინჩოპინგი | 2:3 (ბ) |
| ჰ371-მოდო | 2:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-**ბერდიხი** | 6:2, 3:6, 6:7 |
| ჯოკოვიჩი-**ფერერი** | 3:6, 1:6 |

TV პროგრამა

**24 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ფიორენტინა-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური. პსჟ-ნანსი.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ჩელსი-ლივერპული.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტური. ვალენსია-რეალი.
**23:00** გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
**00:30** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**01:30** იტალიის შოუ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ატლეტიკო მინეირო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-არსენალი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლესტერი-ალსტერი
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**20:45** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**23:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უნიკახა-პანათინაიკოსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-სენტ ეტიენი.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** სპორტული ტანვარჯიში. კაცები. გუნდური. შტუტგარტი. გერმანია.
**16:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. როჯერ ფედერერი-მარდი ფიში. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ალსტერ-კლერმონი.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. რაფაელ ნადალი-ჟოვილფრიდ ცონგა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კახა ლაბორალი-ფენერბაჰჩე (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**21:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. დეტროიტი-გრინ ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. როჯერ ფედერერი-მარდი ფიში. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. რაფაელ ნადალი-ჟოვილფრიდ ცონგა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**21:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-შარლერუა (LIVE).
**23:45** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უნიკახა-პანათინაიკოსი (LIVE).

**SPORT+**

**18:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჩეხ. მედვედი-ბიერინბრო (LIVE).

ჩოგბურთი



როჯერ ფედერერი

# ნადალი ნოკდაუნშია

ლონდონში მიმდინარე წლის შემაჯამებელ ტურნირზე მეორე ტური დაიწყო. დღის მთავარი მატჩი **როჯერ ფედერერსა** და **რაფაელ ნადალს** შორის მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა და შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა. როჯერი უკვე ნახევარფინალშია, რაფაელი კი მეორე ადგილისთვის **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეებრძოლება.

დღის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პირველ ტურში დამარცხებული ჩოგბურთელები - ცონგა და **მარდი ფიში**. პირველ ტურში ორივეს ჰქონდა ჯგუფის ფავორიტებთან გამარჯვების შანსი, მაგრამ მესამე სეტის დასკვნითი ნაწილი ჩააგდეს. ისინი ერთმანეთში მეორედ თამაშობდნენ, თანაც პირველი მატჩი წელს, აშშ-ის ღია პირველობაზე გაიმართა, სადაც ფრანგმა მოუგო ამერიკელთა პირველ ნომერს. ამ მატჩში წაგება ერთ-ერთი მათგანისთვის პრაქტიკულად ტურნირიდან გამოთიშვას ნიშნავდა.

სასტარტო გეიმებში ჩოგბურთელებს მაინცდამაინც არ შველოდა მოწოდება. ბრეიკების გაცვლის შემდეგ, უპირატესობას ფრანგი დაეუფლა და წინ გასვლა მოახერხა, მაგრამ 5:4-ზე სეტზე ჩაწოდება ვერ შეძლო, რითაც ურთიერთობის გარკვევა ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა. „შემოკლებულ გეიმში“ ცონგა ბრწყინვალედ ასრულებდა მოწოდებებს. მან მინი-ბრეიკის აღება მოახერხა და შემდეგ უპრობლემოდ შეინარჩუნა ეს უპირატესობა. ჟომ 53 წუთში მოიგო სეტი - 7:6.

თითქოს, მეორე სეტშიც დაძაბული ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ფიშმა პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ცონგამ პირველივე ცდაზე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება და ამის შემდეგ კორტის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ფრანგმა ზედიზედ ხუთი გეიმის აღება შეძლო და გაანადგურა მეტოქე - 6:1.

ორი ტურის შემდეგ ცონგას ერთი მოგება და ამდენივე წაგება აქვს, ფიშს კი ორიდან ორი მარცხი, რაც მას ნახევარფინალში გასვლის არანაირ შანსს არ უტოვებს.

■ ■ ■

გაცილებით დიდ ინტერესს იწვევდა დღის მეორე მატჩი, რომელშიც თანამედროვე ჩოგბურთის კლასიკური დაპირისპირება უნდა შემდგარიყო - შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ესპანელი რაფაელ ნადალი 26-ედ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ფავორიტად, რა თქმა უნდა, როჯერ ფედერერი მიიჩნეოდა. მართალია, ის რეიტინგში მეოთხე პოზიციამდეა ჩამოქვეითებული, მაგრამ სეზონის დასკვნით ნაწილს სხვებზე უკეთ ატარებს. აქ საქმე მხოლოდ კარგ სათამაშო ფორმაში არ არის - ფედერერი ერთადერთია „დიდი ოთხეულიდან“, ვისაც დღეს ტრავმები არ აწუხებს. **ენდი მიურეის** საზარდულის პრობლემები აქვს, **ნოვაკ ჯოკოვიჩს** უჭირს კონდიციების აღდგენა მხარის ტრავმის შემდეგ, ნადალი კი წინა შეხვედრას მუცლის არეში ტკივილით თამაშობდა.

მატჩმა არ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. თამაში სულ რაღაც ერთ საათს გაგრძელდა და ნადალის სრული კრახით დასრულდა.

შეხვედრის დასაწყისი სულაც არ მოასწავებდა ნადალისთვის უბედურებას. ორივენი მშვიდად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას. ფედერერი უფრო აქტიური იყო უკანა ხაზზე, მაგრამ ჰარდზე ასეთი რამ ხშირად ხდება. საბოლოოდ, ყველაფერი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა. ფედერერმა მეექვსე გეიმში აილო მეტოქის მოწოდება, თანაც ეს გეიმი მან „მშრალი“ ანგარიშით მოიგო. 33 წუთში შვეიცარიელმა 6:3 გაიმარჯვა.

უკვე პირველი პარტიის შემდეგ „ვინერსებში“ ფედერერის უპირატესობა აშკარა იყო - 12:1 და ეს ანგარიში მხოლოდ იზრდებოდა (28:4 მატჩის ბოლოს). ვერ ვიტყვით, რომ მეორე სეტში ნადალი ნაადრევად დანებდა და თამაშს შეეშვა, მაგრამ მხოლოდ მონდომება არ აღმოჩნდა საკმარისი თუნდაც ერთი გეიმის მოსაგებად - 3:6, 0:6 61 წუთი „ბრძოლის“ შემდეგ.

*„ეს თავიდან ბოლომდე შესანიშნავი მატჩი იყო ჩემთვის. შევასრულე ყველაფერი, რაც მატჩის წინ დავგეგმე - ვდომინირებდი უკანა ხაზზე, კარგად ვაწვდიდი... არადა, ეს ტაქტიკა ყოველთვის კარგად არ მუშაობდა ნადალთან შეხვედრებში“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ შვეიცარიელმა.

ამ მოგებით როჯერმა გაინაღდა ნახევარფინალში თამაში, B ჯგუფიდან მეორე საგზურის ბედი კი მესამე ტურში ნადალისა და ცონგას შეხვედრაში გაირკვევა. ამ ჩოგბურთელებს თითო-თითო მოგება აქვთ ორი ტურის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ლონდონი მიურეის გარეშე



ენდი მიურეი

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** ვერ შეძლო წლის შემაჯამებელ ჩემპიონატზე ბრძოლის გაგრძელება და ტურნირიდან განაცხადი გამოიტანა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი საზარდულის ტრავმა გახდა, რომელიც ენდიმ ლონდონური ტურნირისთვის მზადებისას მიიღო. ბრიტანელმა ეს დაზიანება **დავიდ ფერერთან** პირველი ტურის მატჩში გაიმიზეზა და იძულებული გახდა ტურნირს ჩამოშორებოდა.

*“ექიმებმა მითხრეს, რომ დაახლოებით ათი დღე დამჭირდება აღდგენისთვის, ამიტომაც უბრალოდ ვერ ვასწრებ შემდეგი მატჩისთვის მწყობრში ჩადგომას. არასოდეს არ მქონია ტურნირის მიტოვების სურვილი, მით უმეტეს, როცა საქმე ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებას ეხება. მაგრამ ამ შემთხვევაში იძულებული ვარ ასეთი გადაწყვეტილება მივიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაცია უფრო დამძიმდება”*, - განაცხადა სააგენტო “როიტერთან” კომენტარში მიურეიმ.

ასე რომ, დარჩენილ ორ ტურში მასპინძელ ჩოგბურთელს სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** შეცვლის.

მიურეის ტურნირიდან გამოსვლა კარგი ამბავია **როჯერ ფედერერისთვის**, რომელიც ბრიტანელს რეიტინგის მესამე პოზიციაში ეცილება. ახლა შვეიცარიელს კლასიფიკაციის ტოპ-სამეულში შესვლისთვის ლონდონის ტურნირის ფინალში გასვლაც ეყოფა, თანაც აუცილებელი არ არის ჯგუფში დარჩენილი ერთი მატჩის მოგება.

# ესპანეთის ოპტიმალურით



რაფაელ ნადალი

არგენტინის ნაკრების შემდეგ დევისის თასის ფინალისთვის შემადგენლობა დაასახელა ესპანეთის ეროვნულმა გუნდმაც. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალი სევილიაში 2-4 დეკემბერს გაიმართება.

ისევე როგორც არგენტინელთა კაპიტანმა **ტიტო ვასკესმა**, ესპანელთა დამრიგებელმა **ალბერტ კოსტამაც** ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება შეძლო: **რაფაელ ნადალი** (მსოფლიოს მე-2 ჩოგანი), **დავიდ ფერერი** (5), **ფელისიანო ლოპესი** (20) და **ფერნანდო ვერდასკო** (24).

სარეზერვო მოთამაშე იქნება ვალენსიას ტურნირის მოქმედი ჩემპიონი **მარსელ გრანოლერსი** (27). ეს ის შემადგენლობაა, რომელმაც ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრების დამარცხება შეძლო.

ალსანიშნავია, რომ ესპანელები დამაჯერებლად ამარცხებენ პირად შეხვედრებში არგენტინის ნაკრებს - 3:0.

# ეკვადორში საშიშია



ნიკოლას მასუ

უსიამოვნო სიტუაციაში მოხვდა ეკვადორში მიმდინარე “ჩელენჯერის” სერიის ტურნირის დროს ჩილელი ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლას მასუ**. როგორც ადგილობრივი პრესის ცნობით, ვეტერანი ჩოგბურთელი გაძარცვეს - მას ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი მოპარეს.

თუმცა სხვა ვერსიას ავრცელებს ნიკოლასის მამა - **მანუელ მასუ**. მისი თქმით, ჩოგბურთელი სასტუმროში ტაქსით დაბრუნდა და როცა დანიშნულების ადგილს მიაღწია, მძღოლმა ყელზე დანა მიადო და ფული და მობილური ტელეფონი წაართვა. რაც შეეხება ჩოგნებს, ის არავის მოუპარავს, რადგან ჩოგბურთელს თავისი სპორტული იარაღი სასტუმროში ჰქონდა დატოვებული.


